საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№21 (445)
13 - 19 ივნისი, 2018

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## რას ეუბნება გრიგოლ ონიანი ზაზა სარალიძეს

12

## კუ-პრაავამ ფეხი გამოყო: სისტემა დამანგრევინეთო

8



უცნობია, ბიძინა ივანიშვილის მიმართ დაგროვილმა ბოღმამ ქნა ეს თუ სხვა რამ იყო მიზეზი, მაგრამ ფაქტია: ამ ე.წ. არაპოლიტიკურ აქციაზე ფსიქიატრიული პრობლემების მქონე მოქალაქეთა ლამის სრული სპექტრი შეიკრიბა

«გიგა ბოკერია საბრალდებო სკამზე უნდა იჯდეს, რადგან ის არის 2004-დან 2012 წლამდე მომხდარი ყველა ბინძური საქმის თავიდათავი»



7

## «ქართული ოცნება» «ნაცმოძრაობის» ასპიტებმა დაგესლეს

## ბუნტი «შვიდეულში»

10






## სახელმწიფო ერთი დეპუტატისთვის წელიწადში დაახლოებით 50 ათასს ხარჯავს, პენსიონერისთვის კი — 23-ჯერ ნაკლებს

5

## ევროდეპუტატებმა პოროშენკოს მოუწოდეს, სათავეში ჩაუდგეს გეიაღლუმს

24

ლგბტ დროშა აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის საელჩოების თავზე ფრიალებს! გაუმარჯოს პედერასტებს(?!)

21

## როდის ინგრევა მომავალი თაობის ფსიქიკა?

18



## ევროკავშირის 23 ანტიქართული და ანტიადამიანური მოთხოვნა

4

რეკომენდაციები, რომლებიც ხელისუფლებამ ქართველ ხალხს დაუმალა



კვირის ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქართველ ხალხსა და საქართველოს ეკლესიას მოვუწოდებთ, არ დაუშვან საქართველოში ამ ურჯულო ანტიქრისტეების მომძლავრება და მათი აღვირახსნილი პარპაში.**



# ისტორიული შეხვედრა: კიმ ჩენ ინი კორეის ნახევარკუნძულის დენუკლეარიზაციას დათანხმდა, სანაცვლოდ ტრამპმა ჩრდილოეთ კორეას უსაფრთხოების გარანტია მისცა და სანქციების ამოქმედება შეუჩერა

**12 ივნისს სინგაპურის კუნძულ სენტოსზე, სასტუმრო „კაპელაში“, გაიმართა აშშ-ისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერების — დონალდ ტრამპისა და კიმ ჩენ ინის შეხვედრა. ეს ქვეყნები, 1953 წლიდან, ფაქტობრივად, ომის მდგომარეობაში იმყოფებიან.**

კიმ ჩენ ინთან მოლაპარაკებების შემდეგ **დონალდ ტრამპმა** განაცხადა, რომ ხელი მოაწერეს დოკუმენტს და ამაყობს მიღწეულით, რადგან ორივე მხარე კმაყოფილია. ამიერიდან კი აშშ-ისა და კსდრ-ის ურთიერთობა „სულ სხვა სიბრტყეში განვითარდება“. ტრამპმა ხელმოწერილ ერთობლივ დოკუმენტს „ყოვლისმომცველი“ უწოდა, რომელიც გადაწყვეტს დიდ და სახიფათო პრობლემას“.

ტრამპმა განაცხადა, რომ კორეის ნახევარკუნძულის დენუკლეარიზაცია (ბირთვული განიარაღება), აშშ-ისგან უსაფრთხოების გარანტიის სანაცვლოდ, „ძალიან-ძალიან მალე დაიწყება“. მისი თქმით, კსდრ-მ გაანადგურა სარაკეტო ძრავების გამოსაცდელი პოლიგონი, მოგვიანებით კი გაანადგურებს რაკეტებს, რომლებსაც იქ ცდიდნენ.

რუსი (არა მხოლოდ) ექსპერტების აზრით, ამ შეხვედრის ერთადერთი შედეგი იქნება მიზნების დეკლარირება და არა დენუკლეარიზაცია, თუმცა ეს შეხვედრა ვითარების განმუხტვის დასაწყისია.



# «ნორმანდიული ოთხეულის» ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები იმედოვნებენ, რომ დონბასში სამშვიდობო პროცესი აღორძინდება

**ამა წლის მაისში რუსეთისა და საფრანგეთის პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ, 11 ივნისს, ბერლინში 2017 წლის თებერვლიდან პირველად გაიმართა „ნორმანდიელი ოთხეულის“ ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, რომელზეც გერმანიის, საფრანგეთის, რუსეთისა და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ, აღორძინონ დონბასში კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების პროცესი, — იუწყება გერმანული გამოცემა Die Zeit.**

„ნორმანდიელი ოთხეულის“ ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა, აგრეთვე, განიხილეს უკრაინის აღმოსავლეთში გაეროს სამშვიდობო მისიის განლაგების შესაძლებლობა. როგორც გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა **ჰაიკო მაასმა** აღნიშნა, მოლაპარაკების ყველა მონაწილე თანახმაა, დონბასში გაეროს „ცისფერი ჩაფხუტები“ გაგზავნონ“.

# ქართველი ვეტერანების განცხადება

**დიდი სამამულო ომის ვეტერანები საქართველოს ეკლესიის გვერდით ვდგავართ ურჯულო ლიბერასტებისა და მათი მსგავსი ვიგინდარების წინააღმდეგ ბრძოლაში.**



ბოლო პერიოდში საქართველოში ძალიან მომრავლდნენ ანტიქრისტიანული აზროვნების ადამიანები, რომლებიც არ მალავენ თავიანთ სიძულვილს მართლმადიდებლური აღმსარებლობის მიმართ და ილაშქრებენ ეკლესიის წინააღმდეგ. არადა, საქართველო და საქრისტიანო ოდითგანვე იდენტურ ცნებებად იგულისხმებოდა, რადგან ქართული კულტურა, ზნეობა, წეს-ჩვეულებები და საზოგადოდ, ეროვნული მენტალიტეტი მომდინარეობდა ქრისტიანული სარწმუნოებიდან, მისგან იღებდა სათავეს. სწორედ ქრისტეს სიყვარული ასაზრდოებდა და აძლიერებდა ქართველ კაცს სამშობლოს დასაცავად მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დიდი სამამულო ომის ვეტერანები ძალიან აღგვაშფოთა უზნეო ადამიანების თავხედურმა გამოხდომებმა ქართული ეკლესიისა და საპატრიარქოს წინააღმდეგ. დიდ სამამულო ომში თითოეული ქართველი თავგანწირვით ვიბრძოდით ჩვენი სამშობლოსა და ეროვნული სიწმინდეების დასაცავად. დღეს კი, იმ ჯოჯოხეთურ ომს გადარჩენილი, თითზე ჩამოსათვლელი, ცოცხლად დარჩენილი ადამიანები არავის მივცემთ უფლებას, შებღალონ და წაბილწონ ჩვენი სარწმუნოება და ის სულიერი ფასეულობები, რომლებისთვისაც უყოყმანოდ ვწირავდით თავს. ვეტერანები **ქართველ ხალხსა და საქართველოს ეკლესიას მოვუწოდებთ, არ დაუშვან საქართველოში ამ ურჯულო ანტიქრისტეების მომძლავრება და მათი აღვირახსნილი პარპაში.**

ჩვენ მხარს ვუჭერთ მის მაღალუსამღვდელოესობას, **მიტროპოლიტ იობს** და მის სამართლიან პროტესტს ამ საშინელი, ერის დამღუპველი ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლაში. სრულიად ვიზიარებთ მეუფე იობის სამართლიან მოწოდებას, რომ ქვეყანას, მლოცველ ეკლესიასთან ერთად, მებრძოლი ეკლესიაც სჭირდება, რათა არ დავუშვათ ერის ზნეობრივი დეგრადაცია. უზნეობა ურწმუნოებიდან მოდის და მტრებს სწორედ ამ გზით უნდათ, აგვაცდინონ უფლისკენ მიმავალ ჭეშმარიტების გზას. ომის ვეტერანები დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ვართ განმჭვალულნი დედაეკლესიის მიმართ, მის მფარველობას ყოველთვის ვგრძნობდით და ამიტომ, ღრმა მოხუცებულობის მიუხედავად (ვართ 93 წლის), შესაძლებლობის ფარგლებში, მზად ვართ, გვერდით დავუდგეთ საქართველოს ეკლესიას და მასთან ერთად ქართველ ხალხს ანტიქრისტეების წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან ხსნა მხოლოდ ქრისტეშია!

**დიდება უფალს!**
**ჩვენთან არს ღმერთი!**

**დიდი სამამულო ომის ვეტერანები:**
**შოთა ბუაძე,**
**ტარას იჩქიტიძე,**
**იოსებ ტუხაშვილი,**
**სერგო მირზოიანი,**
**ტიტე ლეფსაია**

# ჩეხეთის საელჩომ ჩეხეთის გათავისუფლებისთვის მებრძოლ ქართველებთან შეხვედრა გამართა



**2018 წლის 11 ივნისს „კავკასიის სახლში“ საქართველოს ვეტარანთა და შეიარაღებული ძალების კავშირის, საქართველოს ალპინისტთა ნაციონალური ფედერაციის, გაზეთ „ვეჩერნი თბილისის“, საქართველოში ჩეხური მიწათმოქმედების ორგანიზაცია „ზლატა პრაღას“ ინიციატივით დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან შეხვედრა მოეწყო თემაზე: „ჩეხეთ-საქართველოს საბრძოლო და ალპინისტური მეგობრობა“.**

შეხვედრას ესწრებოდნენ: საქართველოს ვეტარანთა და შეიარაღებული ძალების კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, გენერალ-მაიორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **თენგიზ შუბლაძე**, თავმჯდომარე ორგანიზაციისა „ქართველი ალპინისტები კავკასიისთვის ბრძოლაში“ **გივი ქართველიშვილი** და, რაც მთავარია, დიდი სამამულო ომის ვეტერანები.

შეხვედრა მიეძღვნა სამამულო ომის მონაწილის, კავკასიისა და ჩეხეთის გათავისუფლებისთვის მებრძოლ **ირაკლი ყანდარელის** ხსოვნას. შეხვედრა სასიამოვნო გარემოში მიმდინარეობდა, დროდადრო ჟღერდა დიდი სამამულო ომის თემაზე შექმნილი მუსიკა, აჩვენებდნენ მნიშვნელოვანი ბრძოლების კადრებს. თვალცრემლიანი ვეტერანები სიმაყით იხსენებდნენ იმ სასტიკი ომის მძიმე დღეებს...

**ტიტე ლეფსაია, თბილისის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე:**

— დღეს კარგი ღონისძიება ტარდება. საქართველოში ჩეხეთის საელჩოს წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს ჩეხეთის გათავისუფლებისთვის მებრძოლ ქართველებთან და, საერთოდ, დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან შეხვედრა, რაც ძალიან ახარებთ ჩვენს ვეტერანებს. ისინი ცოტანიღა დარჩნენ და ყოველი დღე მათ მოფერებაში უნდა გავატაროთ; ვაჩუქოთ სითბო და სიყვარული, მადლობა გადავუხოთ იმისთვის, რომ მიწა-წყალი შეგვინარჩუნეს. ჩეხეთისთვის ბევრი ქართველი იბრძოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მათგან მხოლოდ ორია დღეს ცოცხალი და მათაც ვერ მოახერხეს დღეს აქ მოსვლა“...

**თენგიზ შუბლაძე, საქართველოს ვეტერანთა და შეიარაღებული ძალების კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, გენერალ-მაიორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:**

— ხშირად ამბობენ, რომ დიდ სამამულო ომში ქართველები სხვის ომში იბრძოდნენ, რაც ძალიან ცუდია. ეს ომი იყო სამშობლოს დასაცავად და იქ უამრავი ქართველი დაიღუპა. საბჭოთა კავშირი იყო ჩვენი სამშობლო, ამიტომ გვაქვს უფლება, ვთქვათ, რომ სამშობლოს ვიცავდით. ჩვენ ყოველ წუთს უნდა გვახსოვდეს ამ ომში დაღუპულები და პატივი მივაგოთ მათ ხსოვნას, ხოლო ომის ცოცხალ მემატიანეებს, ბრძოლებგამოვლილ ვეტერანებს, ქედს უნდა ვუხრიდეთ.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

ხელისუფლების თანხმობას კომისიის შექმნაზე, სავარაუდოდ, ორი მოტივი ამყარებდა: 31 მაისის აქციის შემდეგ უარის თქმა საზოგადოებაზე საკმაოდ ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენდა. ამასთანავე, საინფორმაციო ომის კონტექსტში, კომისიის მუშაობა ქუჩის რადიკალური აქციების ერთგვარ ალტერნატივას ქმნის („კონსტრუქციული“ ოპონირება „დესტრუქციულის“ ნაცვლად).




დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


# რატომ შეუქმნა ხელისუფლებამ პრობლემა საკუთარ თავს?

**ორი კვირა გრძელდება 51-ე სკოლის მოსწავლეების მკვლელობთ გამოწვეული კრიზისი. „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევის წინაშე დგას. მას შემდეგ, რაც ზაზა სარალიძემ მოქალაქეებს მისი მოთხოვნების მხარდაჭერისკენ მოუწოდა, 31 მაისს რუსთაველზე ხალხმრავალი საპროტესტო აქცია გაიმართა, რომელმაც მმართველი პარტია დააფრთხო. ამაზე მიუთითებს ინსაიდერების ინფორმაცია, ხელისუფლების პირველი პირების ქცევის ნიუანსები და მათ მიერ გადადგმული ნაბიჯები.**

კომენტატორების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მთავარი პროკურორის, **ირაკლი შოთაძის**, გადადგომა არსებითად „ბარტყის გადმოგდებას“ ჰგავდა და მიზანი გალიზიანებული მოქალაქეების დამშვიდება იყო. ამავე კონტექსტში ისინი განიხილავენ **მირზა სუბელიანის** დაპატიმრებასაც (ამას ზაზა სარალიძე ჯერ კიდევ კრიზისის დაწყებამდე მოითხოვდა).

მიხეილ სააკაშვილის მიერ დამკვიდრებული მანკიერი ღირებულებების სისტემაში მაღალჩინოსნის გადადგომა ხელისუფლების სისუსტის გამოვლენას ნიშნავდა. ძველი რეჟიმი აღარ არსებობს, მაგრამ ეს თვალსაზრისი კვლავ ფართოდ არის გავრცელებული. შესაბამისად, ხელისუფლება არა მხოლოდ მუშაობდა კრიზისის ლოკალიზების მიმართულებით, არამედ ცდილობდა, ეჩვენებინა, რომ შოთაძის გადადგომა, უკანდახევა კი არა, პასუხისმგებლობისა და კეთილი ნების გამოვლენაა.

ეს დამოკიდებულება გამოვლინდა თეა წულუკიანის გადადგომის მოთხოვნისას. **ერთი მხრივ, ეჭვგარეშეა, რომ პროკურატურის ცუდი მუშაობა დღის წესრიგში იუსტიციის მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხსაც აყენებს, მაგრამ, მეორე მხრივ, თუ ის შოთაძის შემდეგ დაუყონებლივ გადადგებოდა, ივანიშვილის ოპონენტები, სავარაუდოდ, იტყოდნენ, რომ ხელისუფლება ჩამოშლის სტადიაშია და მას გაცილებით რადიკალურ მოთხოვნებს წაუყენებდნენ. ზოგადად კი, ის, რომ მაღალჩინოსნების გადადგომის პრობლემა მხოლოდ „უკან დაიხია-არ დაიხიას“ კონტექსტში განიხილება, დაბალი პოლიტიკური კულტურის მაჩვენებელია.**

ხელისუფლების ერთ-ერთი პრობლემა ისაა, რომ კრიზისი მაშინ დაიწყო, როდესაც პრემიერმა **კვირიკაშვილმა** და მისი კაბინეტის ნაწილმა საიმიჯო რესურსი თითქმის სრულად ამოწურა. ნახევარი წელიწადია, გრძელდება ინტენსიური საუბრები პრემიერმინისტრის შეცვლაზე, ხოლო მოსახლეობის გალიზიანება მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობითა და მთავრობის უნიათობით აშკარად გაიზარდა. ამას დაემატა საკადრო ცვლილებების მოლოდინი, რომელიც საჯარო პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის დაბრუნებას დაუკავშირდა. კრიზისმა სწორედ იმ მომენტში იფეთქა, როდესაც მთავრობას, 2012 წლიდან მოყოლებული, სავარაუდოდ, ყველაზე დაბალი „ნდობის კრედიტი“ ჰქონდა.

ხელისუფლებამ ნაცადი პროპაგანდისტული ილეთი გამოიყენა და 31 მაისის აქციის შემდეგ შეეცადა, მისი ორგანიზატორები „ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაეკავშირებინა, მით უმეტეს, რომ საბაბი ამისთვის, მაგალითად, **ზვიად კუპრავას** შემთხვევაში, ნამდვილად არსებობდა. ამან გარკვეული შედეგი გამოიღო — 1 და 2 ივნისის აქციებზე აშკარად იკლო იმ მოქალაქეების რაოდენობამ, რომლებიც მიუღებლად მიიჩნევენ ნებისმიერი სახის თანამშრომლობას „ნაცმოძრაობასთან“ (ბევრმა მათგანმა შესაბამისი პოზიცია სოცქსელებში გამოხატა). 3 ივნისს კი, როდესაც „ნაცმოძრაობა“ და მისი სატელიტები ღიად შეუერთდნენ პარლამენტის წინ გამართულ აქციას, მან არსებითად პარტიული ღონისძიების ხასიათი მიიღო. ის ძალზე მცირერიცხოვანი გამოდგა, ისევე, როგორც 10 ივნისის აქცია. იმ დღეს, 31 მაისისგან განსხვავებით, ხელისუფლებას, სავარაუდოდ, არ უნერვიულია. მომიტინგეთა რაოდენობა მასზე შთაბეჭდილების მოსახდენად აშკარად არასაკმარისი იყო.

პარადოქსია, მაგრამ, **შესაძლოა, „ქართულ ოცნებას“ ხელს აძლევდა, 10 ივნისს ქუჩაში შედარებით მეტი ნაციონალი გამოსულიყო. ეს შესაძლებლობას მისცემდა, ის პროპაგანდისტული მოდელები გაეცოცხლებინა, რომლებმაც 2016 წელს წინასაარჩევნო პერიოდში წარმატება მოუტანა.** მაშინ ხელისუფლება მიუთითებდა ნაციონალების რევანშისა და სააკაშვილის რეჟიმის რესტავრაციის საფრთხეზე და ამით ეწეოდა იმ ამომრჩევლების მობილიზებას, რომლებისთვისაც „ქართული ოცნება“ გაცილებით ნაკლები ბოროტებაა, ვიდრე „ნაციონალური მოძრაობა“.

სააკაშვილის პარტია, თავის მხრივ, ცდილობდა, სიტუაცია ისე წარმოეჩინა, თითქოს ის მხოლოდ უერთდება სამოქალაქო აქტივისტების მიერ ორგანიზებულ აქციებს და არავითარ შემთხვევაში არ მართავს მათ. ეს შესაძლებლობას აძლევდა მთელ რიგ მოღვაწეებს, რომლებიც, სააკაშვილის მიმართ სიმპათიის მიუხედავად, თავს არიდებენ მასთან პირდაპირი კავშირის გამოხატვას, აქციებში აქტიური მონაწილეობა მიეღოთ.

„ევროპულმა საქართველომ“ სხვა ტაქტიკა აირჩია და კონცენტრირება საპარლამენტო კომისიის შექმნაზე მოახდინა, რომელიც სარალიძის საქმეზე იმუშავებს. ამ კომისიის თავმჯდომარე **სერგი კაპანაძე** და წევრების უმრავლესობა „ევროქართველია“. ხელისუფლების თანხმობას კომისიის შექმნაზე, სავარაუდოდ, ორი მოტივი ამყარებდა: 31 მაისის აქციის შემდეგ უარის თქმა საზოგადოებაზე საკმაოდ ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენდა. ამასთანავე, საინფორმაციო ომის კონტექსტში, კომისიის მუშაობა ქუჩის რადიკალური აქციების ერთგვარ ალტერნატივას ქმნის („კონსტრუქციული“ ოპონირება „დესტრუქციულის“ ნაცვლად). უმრავლესობის დეპუტატებს არ გაუმახვილებიათ ყურადღება იმაზე, რომ **„ევროპული საქართველოს“ წევრები და მათი გულშემატკივრები ლამის ღიად აცხადებენ, რომ კომისიას ხელისუფლების შესასუსტებლად გამოიყენებენ.**

ზოგიერთი ავტორი ხაზს უსვამს იმას, რომ **„ნაცმოძრაობასა“ და „ევროპულ საქართველოს“ კრიზისის მიმართ განსხვავებული მიდგომა აქვთ, ხოლო ბოკერია და უგულავა სააკაშვილის რევოლუციურ გეგმებს საშიშ ავანტიურად თვლიან, მაგრამ ამ ორი პარტიის წარმომადგენელთა კამათი და დაპირისპირება არ გამორიცხავს ერთობლივი ინტერესის არსებობას. ორივეს ხელისუფლების დასუსტება აძლევს ხელს და რეალურად ისინი ერთ საქმეს აკეთებენ, როდესაც ნაციონალები მთავრობას ქუჩიდან „აწვებიან“, ხოლო „ევროქართველები“ — საპარლამენტო კომისიიდან (ამ პარტიამ 10 ივნისის აქციაში მონაწილეობაზე უარი თქვა).**

ძალები არათანაბარია და იმ შემთხვევაშიც კი, თუ კრიზისის პირველ დღეებში **წულუკიანი** ან თუნდაც **კვირიკაშვილი** დაუყონებლივ გადადგებოდა, ეს ხელისუფლებას „დომინოს პრინციპით“, სავარაუდოდ, არ დაშლიდა. არც „ნაცმოძრაობას“, არც რომელიმე სხვა პარტიას (ან თუნდაც ჰიპოთეტურ კოალიციას), ოპოზიციის მკვეთრი დასუსტების პირობებში, არ აქვთ საკმარისი რესურსი იმისთვის, რომ „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლება გამოჰგლიჯონ. თანაც ამას უამრავი მოქალაქე შეეწინააღმდეგება, არა იმიტომ, რომ ივანიშვილი უყვართ, არამედ იმიტომ, რომ სააკაშვილი სძულთ.

აქ გაცილებით მნიშვნელოვანია სხვა პრობლემა: თუ ხელისუფლება მოახერხებს და ისევე, როგორც 2016-ში, პროცესს „ოცნება“-„ნაცმოძრაობის“ დაპირისპირების ჩარჩოში მოაქცევს, საზოგადოება სწრაფად დაივიწყებს ტემპერატურის აწევის მიზეზებს, უპირველესად კი, პროკურატურის ცუდ მუშაობას. 2013-14 წლებში სამართლიანობის აღდგენის ნელ ტემპს ხელისუფლება სწორედ პროკურატურის შეზღუდული შესაძლებლობებით ხსნიდა და პროტესტს ამის გამო მხოლოდ საზოგადოების მცირე ნაწილი გამოთქვამდა. ძველი ქართული ტრადიციის შესაბამისად, შემდეგ ისიც დაიღალა და დამშვიდდა, ხოლო სააკაშვილის რეჟიმისგან დაზარალებული ადამიანები საკუთარი პრობლემების პირისპირ დარჩნენ. თითქმის არავინ მოითხოვა პროკურატურის სწრაფი და რადიკალური რეფორმა, არ მოუწყო ახალ ხელისუფლებას ხმაურიანი აქცია და შედეგიც აშკარაა. **ის, რომ პროკურატურამ კარგად ვერ იმუშავა სარალიძე-დადუნაშვილის საქმეში, იმის გამოც მოხდა, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ამ უწყების გაწმენდა და რეორგანიზაცია თითქმის არავის მოუთხოვია. ამის გარეშე კი ცალკე აღებული კბილაშვილი, ფარცხალაძე, შოთაძე ან ნებისმიერი სხვა განსაკუთრებულს ვერაფერს შეცვლის, თუნდაც ამის სურვილი ჰქონდეს.**

ბოლო პერიოდში ნათლად გამოჩნდა, რომ ხელისუფლება პრობლემაზე მხოლოდ მაშინ რეაგირებს, როდესაც ის, ექიმების თქმის არ იყოს, ტერმინალურ სტადიაშია. მეტროს მემანქანეთა გაფიცვა ლოკალური, მაგრამ საგულისხმო მაგალითია. ისინი ხელფასების მომატებას საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ითხოვდნენ, საბოლოოდ კი გაფიცვა დააანონსეს. სასამართლომ ის ერთი თვით გადაავადა, შემდეგ საერთოდ აკრძალა. ამან მემანქანეები კიდევ უფრო გაალიზიანა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ხელისუფლებას თითქმის არაფერი გაუკეთებია პრობლემის მოსაგვარებლად — არც ხელფასები გაუზრდია, არც მემანქანეების დარწმუნება უცდია, გაფიცვა არ მოეწყოთ. საბოლოოდ, მან მიიღო გაფიცვა და კოშმარული სიტუაცია თბილისის გზებზე. თითქმის იგივე შეიძლება ითქვას 51-ე სკოლის მოსწავლეების მკვლელობის საქმეზეც — ზაზა სარალიძე გამოძიების ხარვეზებზე თვეების განმავლობაში საჯაროდ საუბრობდა. ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ პროცესი ცუდად ვითარდება, სხვა წყაროებიდანაც შემოდიოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ხელისუფლების მაღალ ეშელონებში ჩათვალეს, რომ მათი ხელქვეითები ყველაფერს მოაგვარებდნენ.

დღეს მაღალჩინოსნები საუბრობენ იმაზე, რომ სასკოლო ექსკურსიების ორგანიზება ახალ, გამკაცრებულ სტანდარტებს უნდა დაექვემდებაროს. ვინ უშლიდა ხელს, ეს გომბორის 9 ივნისის ტრაგედიამდე რომ გაეკეთებინათ, რომლის დროსაც საექსკურსიო მიკროავტობუსის ავარიას ოთხი ადამიანის, მათ შორის ორი ბავშვის, სიცოცხლე ემსხვერპლა? **ხელისუფლება მხოლოდ რეაგირებს გამოწვევებზე, თანაც მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი ტრაგიკულ ან მისთვის საშიშ ხასიათს იძენს და პრევენციის მიმართულებით თითქმის არაფერს აკეთებს.**

როგორც ჩანს, ტოტალურმა უპირატესობამ ოპონენტებზე „ქართული ოცნების“ მესვეურებს სიფრთხილე და განსჯის უნარი დააკარგვინა. შესაძლოა, ისინი ვერ აცნობიერებენ, რომ ის რესურსები, რომელიც დღეს უზარმაზარი ჰგონიათ, სინამდვილეში ძალზე მცირეა და თუნდაც ლოკალური პრობლემა, რამდენიმე ნეგატიური ფაქტორის თანხვედრის შემთხვევაში, შეიძლება მათთვის დამღუპველი აღმოჩნდეს. ის, რაც ახლახან მოხდა სომხეთში, თავისუფლად შეიძლება საქართველოშიც განმეორდეს, მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილის ხელისუფლება თავს თითქოს მშვენივრად გრძნობს.



**«ნაცმოძრაობისა» და «ევროპულ საქართველოს» წარმომადგენელთა კამათი და დაპირისპირება არ გამორიცხავს ერთობლივი ინტერესის არსებობას. ორივეს ხელისუფლების დასუსტება აძლევს ხელს და რეალურად ისინი ერთ საქმეს აკეთებენ, როდესაც ნაციონალები მთავრობას ქუჩიდან «აწვებიან», ხოლო «ევროქართველები» — საპარლამენტო კომისიიდან (ამ პარტიამ 10 ივნისის აქციაში მონაწილეობაზე უარი თქვა)**

**ბოლო პერიოდში ნათლად გამოჩნდა, რომ ხელისუფლება პრობლემაზე მხოლოდ მაშინ რეაგირებს, როდესაც ის, ექიმების თქმის არ იყოს, ტერმინალურ სტადიაშია. ხელისუფლება მხოლოდ რეაგირებს გამოწვევებზე, თანაც მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი ტრაგიკულ ან მისთვის საშიშ ხასიათს იძენს და პრევენციის მიმართულებით თითქმის არაფერს აკეთებს**

## მაამებლობა ამერიკული ელფერით

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს სვე-ბედზე „დამწუხრებულმა“ და „გულდათუთქულმა“ „დემოკრატიულმა“ დასავლეთმა ხელისუფლებას მისხალ-მისხალ გაუწერა გეგმა, როგორ უნდა გადატეხოს წელში „საბჭოთა ბნელ წარსულში“ ჩარჩენილი ქართველი ხალხი და როგორ აღზარდოს მომავალი თაობა თავის „ჭეშმარიტ ისტორიულ ფესვებზე“. ეს ფესვები კი, არც მეტი, არც ნაკლები, თურმე ეკლესიის შეურაცხყოფა, ლანძღვა და ქალად გადაკეთებული კოლჰოტიანი კაცების ტაში-ტუში ყოფილა; რომ არა საბჭოთა კავშირში ყოფნის 70-წლიანი პერიოდი, რომელმაც ჩვენს „ბუნებრივ“ სივრცეს, ევროპას, მოგვწყვიტა, ეს ყველაფერი დღეს თურმე ნორმად იქნებოდა მიღებული.**

# ევროკავშირის 23 ანტიქართული და ანტიადამიანური მოთხოვნა

## რეკომენდაციები, რომლებიც ხელისუფლებამ ქართველ ხალხს დაუმალა

**რამდენიმე დღის წინათ ვაშინგტონში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა საქართველოს პრემიერმინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა „ამერიკის მშვიდობის ინსტიტუტში“ სიტყვით გამოსვლისას მორიგი პოლიტიკური უსირცხვილობა გამოავლინა და თავის ოკეანისგაღმელ მამა-მარჩენლებს შემდეგი მაამებლური განცხადებით ლამის ფეხქვეშ გაეგო: „100 წლის წინათ საქართველომ სამუდამოდ დაუკავშირა თავისი გზა დასავლეთს. ჩვენი კულტურა ევროპულია, ამერიკული ელფერით; ჩვენი მსოფლმხედველობა დასავლური და ტრანსატლანტიკურია, ისევე, როგორც ჩვენი ღირებულებები და პოლიტიკა. ჩვენი ერთგულება დასავლური და ევროპული ღირებულებების საფუძვლებისადმი, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვისადმი, მტკიცეა, ღრმა და მდგრადი“...**

ზემოაღნიშნული განცხადებით მან საბოლოოდ დაამტკიცა ორი რამ, რაც მანამდეც, რა თქმა უნდა, ყველამ ვიცოდით: **პირველი** — პოლიტიკური ღირსების და თავმოყვარეობის ნატამალი არ აქვს და **მეორე** — საზოგადოების რეალური განწყობა, მიუხედავად მიმდინარე პროცესებისა, ფეხებზე ჰკიდია. არადა, მთავრობის მეთაურმა, ცხადია, კარგად იცის, რომ ქვეყანაში, სადაც, ბოლო წლებია, თვით ენ-დი-აი და აი-რა-იც კი განგაშის ზარებს არისხებენ მოსახლეობაში ანტიდასავლური განწყობის მატების გამო, ეროვნული ფასეულობების გაიგივება დღევანდელ ევროპულ კულტურასთან, მით უმეტეს, „ამერიკული ელფერით“, უბრალოდ, ცინიზმია. კვირიკაშვილმა, რა თქმა უნდა, კარგად იცის, რომ საზოგადოების, სულ ცოტა, 80-90 პროცენტს უკვე გული ერევა დასავლურ დემოკრატიაზე და განსაკუთრებით ლიბერალების გაუთავებელ გოგმანზე ხელისუფლების სხვადასხვა შტოში, მაგრამ მისთვის ეს ყველაფერი, უბრალოდ, ფაქტია, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.

ახლა ობიექტურად შევხედოთ ამ ყველაფერს: დღევანდელი ხელისუფლებისთვის საზოგადოების განწყობას მნიშვნელობა იმიტომ არ აქვს, რომ „მეოცნებეების“ სულის ჩამდგმელმა **ბიძინა ივანიშვილმა** კარგად იცის ერთი რამ: **რაც უნდა დაეცეს მისი პოლიტიკური შთამომავლების რეიტინგი და გაკოტრდეს „ოცნება“, ქვეყნის ბედის გადაწყვეტის უფლებას ქართველ ხალხს არავინ მისცემს.** ნებისმიერ ვითარებაში, რევოლუცია მოხდება თუ არჩევნების გზით შეიცვლება პოლიტელიტა, საბოლოოდ მაინც ყველაფერი ოკეანის გაღმა უნდა გადაწყდეს, ამიტომ არის სამივე სახელისუფლო შტო დღეს ორიენტირებული არა საზოგადოების გულისცემაზე, არამედ უცხოეთიდან მართული „ლიბერალების“ ამორალურ „კაპრიზებზე“; ამიტომ არ თაკილობს მთავრობაც თუნდაც ნარკობარიგებისთვის ბოდიშის მოხდას და მნიშვნელოვან დათმობებზე წასვლას იმ დროს, როცა მინისტრს წამლით გაბრუებული ნარკოლიბერასტები დედას აგინებენ და სახეში სიგარეტის ნამწვებს ესვრიან.

დავუბრუნდეთ ისევ პრემიერის განცხადებას. **ქართული კულტურა დღეს და ისტორიულადაც, არათუ ევროპული არ არის, თანაც ამერიკული ელფერით, არამედ არსობრივად სრულიად სხვა ცნება, სხვა იდეა და მოცემულობაა. თანამედროვე ამერიკული და ევროპული ნეოლიბერალური ექსტრემიზმი კი, თავის არსითა და ხასიათით, არც მეტი, არც ნაკლები, პირდაპირ გაქრობის, განადგურების საფრთხეს უქმნის ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერების კულტურებს.**

ახლა კონკრეტულად — რამ განაპირობა პრემიერის მაამებლური განცხადება... იმის თაობაზე, რომ ჩვენი კულტურა თურმე ევროპულია ამერიკული ელფერით. უსაგნო მსჯელობა რომ არ გამოგვივიდეს, გავიხსენოთ, რა „რეკომენდაციებით“ მიმართა ბოლო წლების განმავლობაში „დემოკრატიულმა დასავლეთმა“ საქართველოს „მეოცნებე“ ხელისუფლებას. დავიწყოთ ჯერ კიდევ „ნაცსექტის“ მიერ ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე მიზანში ამოღებული და გადავლილ-გადმოვლილი განათლების სისტემით. მაშ, ასე: **2010 წელი, 31 მარტი: ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა შეიმუშავა რეკომენდაცია „სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციასთან ბრძოლის ზომების შესახებ“, რომელშიც ცალკე საკითხად იყო გამოყოფილი განათლების სფერო.** ამ დოკუმენტის შესაბამისად, იმ ქვეყნებს (მათ შორის საქართველოსაც), რომლებიც თავიანთი პოლიტიკური კურსით პროევროპულ გზას ადგნენ, ეძლეოდათ რეკომენდაცია, რომ საგანმანათლებლო პროგრამებში შეეტანათ ლგბტ ქცევისა და გამოვლინებების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამნერგავი მასალები. ამონარიდი დოკუმენტიდან: **„განათლების სამინისტრომ, სხვა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად, უნდა შეიმუშაოს პროგრამები, რომლებიც რეალურად უზრუნველყოფენ ინკლუზიურ განათლებას; მაგალითად, შესაძლებელია სასკოლო პროგრამებში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხების ჩართვა“;**

ასევე: **„ბავშვის უპირატესი ინტერესის გათვალისწინებით, შესაბამისი ზომები უნდა იქნეს მიღებული სკოლებში ურთიერთშემწყნარებლობისა და პატივისცემის მხარდასაჭერად, მიუხედავად სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა. აღნიშნული უნდა მოიცავდეს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას გეგმებსა და საგანმანათლებლო მასალებში. აღნიშნული უნდა მოიცავდეს მოსწავლეთა აუცილებელი ინფორმაციით, დაცვითა და მხარდაჭერით უზრუნველყოფას, რათა მათ შეძლონ მათი სექსუალური ორიენტაციითა და გენდერული იდენტობის შესაბამისად ცხოვრება“.**





თითოეული ეს „რეკომენდაცია“, ცხადია, ჩვეულებრივი მეგობრული რჩევა არ ყოფილა და, შესაბამისად, იმჟამინდელ ხელისუფლებას მისი შესრულება-არშესრულების არჩევანი არ ჰქონია. თუმცა სოროსის გრანტნაწოვი „ნაცსექტანტები“, რა თქმა უნდა, დაძალებას არ საჭიროებდნენ და ნებისმიერი მსგავსი მითითების სისრულეში მოყვანას ისე სწრაფად ახერხებდნენ, რომ თავის მხრივ „დემოკრატიული დასავლეთი“ აღფრთოვანებას ვერ მალავდა, ამიტომ დაარქვეს **სააკაშვილს** დემოკრატიის შუქურა და, ყველაფრის მიუხედავად, დღემდე ვერ ელევიან.

**2016 წელი, 1 მარტი:** ევროპის საბჭომ მიიღო ვრცელი დოკუმენტი შემდეგი სახელწოდებით: **„ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ — მოხსენება საქართველოს შესახებ“. ამ დოკუმენტით „მეოცნებე“ ხელისუფლებამ, არც მეტი, არც ნაკლები, 23 „რეკომენდაცია“, ანუ 23 ანტიქართული და ანტიეროვნული დავალება მიიღო, თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, იგი ფართო საზოგადოების განხილვისა და მსჯელობის საგანი არ გამხდარა, რადგან ივანიშვილის პოლიტიკურ დამქაშებს მისი დღის სინათლეზე გამოტანა ხელს არ აძლევდა.** აი, რას ვკითხულობთ ამ მოხსენების 39-ე გვერდზე: „108. ევროპული კომისია იძლევა რეკომენდაციას, გადაიდგას ნაბიჯები ლგბტ პირთა წინააღმდეგ მიმართულ შეუწყნარებლობასა და დისკრიმინაციასთან საბრძოლველად. ეს უნდა განხორციელდეს ლგბტ თემთან და სახალხო დამცველთან თანამშრომლობით, რომელმაც უნდა მიიღოს სათანადო დახმარება ლგბტ-სადმი მიძღვნილი დეპარტამენტის შექმნაში; ასევე, შემუშავდეს სათანადო ელემენტები სკოლებში ცნობიერების ასამაღლებლად“.

ამ „რეკომენდაციების“ მიღებისთანავე სხვადასხვა საგანმანათლებლო წრეში და მათ შორის განათლების სამინისტროშიც უმალ ალაპარაკდნენ სკოლებში ორი ახალი საგნის — **„მე და საზოგადოება“** და **„ჩვენი საქართველოს“** შემოღებაზე, რომლებიც სხვა არაფერი იყო, თუ არა სწორედ ხორცშესხმა გამრყვნელი დირექტივებისა. შემდეგ ასევე დაიწყეს ლაპარაკი კანონზე **„ოჯახში ძალადობის შესახებ“,** რომელიც, ერთი შეხედვით, თითქოს აუცილებელია, მაგრამ სინამდვილეში ოჯახში განხეთქილების შეტანისკენაა მიმართული. ამით, ფაქტობრივად, მოხდა ახალგაზრდებში იმ განცდის გაჩენა, რომ ისინი ყველაფერში თავისუფალი არიან და, რასაც უნდა, იმას გააკეთებენ...

ზემოაღნიშნულ მოხსენებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავად იყო წარმოდგენილი ტრანსგენდერებისთვის სქესის შეცვლის პროცედურების და მათი ოფიციალური აღიარების საკითხი: **„110. სქესის შეცვლის კრიტერიუმები ბუნდოვანია და არ არის სტანდარტიზებული. ასევე არ არის ცხადი მოთხოვნები ახალი გენდერული იდენტობის ცნობასა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების ცვლილებასთან მიმართებით. ECRI განსაკუთრებულად ამახვილებს ხელისუფლების ყურადღებას ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2048 (2015) რეზოლუციაზე.**

111. ECRI იძლევა რეკომენდაციას, რომ ხელისუფლებამ ნათელი სახელმძღვანელო პრინციპები შეიმუშაოს სქესის შეცვლის პროცედურებსა და მათ ოფიციალურ აღიარებასთან მიმართებით“ (გვ.40).

რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და საყურადღებოა, ჩვენი „მეგობარი“ ევროკომისია თავის დოკუმენტში პატრიარქისა და სამღვდელოების ღია კრიტიკასაც არ მოერიდა. მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ მისმა თავკაცებმა ძალიან კარგად იციან, რას ნიშნავს დღეს საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის პატრიარქის ავტორიტეტი, იგი სიძულვილის ენით საუბარსა და ძალადობის პროვოცირებაში დაადანაშაულეს: **„სიძულვილის ენა გამოიხატა ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავ საჯარო ღონისძიებათა წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებზე — მაგალითად, 2013 წლის მაისში (იხ. თავი 1.3). საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქმა ლგბტ ღონისძიებებს „ქართველი ერის შეურაცხყოფა“, ჰომოსექსუალობას კი „დაავადება“ უწოდა** (გვ. 21)...

მარტივად რომ ვთქვათ, ამ დოკუმენტის მიღებით საქართველოს სვე-ბედზე „დამწუხრებულმა“ და „გულდათუთქულმა“ „დემოკრატიულმა“ დასავლეთმა ხელისუფლებას მისხალ-მისხალ გაუწერა გეგმა, როგორ უნდა გადატეხოს წელში „საბჭოთა ბნელ წარსულში“ ჩარჩენილი ქართველი ხალხი და როგორ აღზარდოს მომავალი თაობა თავის „ჭეშმარიტ ისტორიულ ფესვებზე“. ეს ფესვები კი, არც მეტი, არც ნაკლები, თურმე ეკლესიის შეურაცხყოფა, ლანძღვა და ქალად გადაკეთებული კოლჰოტიანი კაცების ტაში-ტუში ყოფილა; რომ არა საბჭოთა კავშირში ყოფნის 70-წლიანი პერიოდი, რომელმაც ჩვენს „ბუნებრივ“ სივრცეს, ევროპას, მოგვწყვიტა, ეს ყველაფერი დღეს თურმე ნორმად იქნებოდა მიღებული.

...ალბათ, ამაზეა ნათქვამი: ენას ძვალი არ აქვსო. და კვირიკაშვილი ამის ცოცხალი მაგალითია. თუმცა, ამაში, ალბათ, გასაკვირიც არაფერია იმიტომ, რომ „ქართული ოცნება“ სკამებს დახამებული პოლიტიკანების თავშესაყარი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაში გახდა.

ისე, საინტერესოა, პრემიერი მიხვდა თუ არა, რომ ქართული კულტურა ევრო-ამერიკულ ლიბერალურ გარყვნილებასთან გაიგივებით შეურაცხყო? — ალბათ, არა, მაგრამ არა იმიტომ, რომ არ იცის, რას ლაპარაკობს, არამედ იმიტომ, რომ მისთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ხვალ თუ დასჭირდება, იტყვის, რომ ქართულ ჩინურ კულტურას ჰგავს ინდონეზიური ელფერით, ზეგ კი ტანზანიას და ზიმბაბვესაც გულში ჩაიკრავს...

**ჯაბა ჟვანია**

**P.S. წინამდებარე წერილში მოყვანილი „რეკომენდაციები“ მცირე ნაწილია იმ უზნეო და ამორალური დირექტივებისა, რომლებსაც ჩვენი „მეგობარი“ დასავლეთი, უკვე წლებია, დემოკრატიის სახელით თავს გვახვევს, თუმცა ეს, ალბათ, სრულიად საკმარისია დასკვნის გამოსატანად — რამდენად არის ან მომავალში შეიძლება იქცეს ჩვენი კულტურა იმ „კულტურის“ ნაწილად...**

**მხოლოდ ხელფასების მატებაში 2012 წლიდან დღემდე ხელისუფლებამ ბიუჯეტში დაახლოებით 300 მილიონზე მეტი გამონახა, ანუ ცოტა რომ მოეთმინათ და ამ თანხით ახალი სამუშაო ადგილები შეექმნათ, გამოვიდოდა, რომ ახლა ათი ათასი ახალი სამუშაო ადგილი გვექნებოდა. ათი ათასი სამუშაო ადგილი კიდევ ათი ათასი კმაყოფილი ოჯახია, ანუ დაახლოებით 40 ათასი ადამიანი, რომელსაც პურის ფულის პრობლემა არ უდგას. დიახ ბატონები, 40 ათასი ადამიანი და არა რამდენიმე ასეული, რომელზეც ეს 300 მილიონი გადანაწილდა.**

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პარლამენტის რეგლამენტში ცვლილება შევიდა. მართალია, ამ ცვლილების ინიციატორები გვიმტკიცებენ, რომ ეს რიგითი ცვლილებაა და პარლამენტარებისთვის ხელფასების მომატება არ იგეგმება, მაგრამ ყველამ იცის, რომ შემოდგომიდან დეპუტატები მომატებულ ხელფასს აიღებენ. მეტიც, სამტრედიის მაჟორიტარმა დეპუტატმა გიორგი მიქელაძემ კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, პრემიერმინისტრს დაბალი ხელფასი აქვს და უნდა მოემატოს, თორემ რა გამოდის, მარეგულირებელი კომისიის წევრი პრემიერზე მეტ ჯამაგირს იღებსო. მართლაც, მარეგულირებელ კომისიაში ასტრონომიული ხელფასებია და ჯამაგირი თვეში ხუთნიშნა რიცხვებით გამოისახება, მაგრამ ხალხის რჩეულ დეპუტატებს სწორედ ხალხი ავიწყდებათ.**

# სახელმწიფო ერთი დეპუტატისთვის წელიწადში დაახლოებით 50 ათასს ხარჯავს, პენსიონერისთვის კი — 23-ჯერ ნაკლებს




2018 წლის ბიუჯეტის განხილვისას მმართველმა გუნდმა ხმამაღლა და ამაყად გამოაცხადა, რომ 2018 და 2019 წლებში პენსიის მომატება არ იგეგმება, ანუ პენსიონერებს 2017 წელსვე აუხსნეს, მომდევნო ორი წლის განმავლობაში, არაფრის იმედი არ უნდა გქონდეთო. რბილად რომ ვთქვათ, პენსიონერები შეაგუეს იმას, რომ ისინი 180 ლარით როგორმე უნდა მივიდნენ 2020 წლამდე. მოგეხსენებათ, 2020 წელს არჩევნებია და გვერწმუნეთ, მაშინ პენსიონერებს აუცილებლად გადმოუგდებენ მცირე ლუკმას, რათა წინასაარჩევნოდ ქულები ჩაიწერონ. ეს მცირე კი, სავარაუდოდ, 30-40 ლარი იქნება, რასაც ჯერ პენსიონერების რაოდენობაზე გაამრავლებენ, მერე წელზე და საბოლოოდ რამდენიმე ასეულ მილიონს დასვამენ. ჰოდა, გამოვლენ და ამაყად იტყვიან, ხედავთ, რამდენი მილიონი გავიმეტეთ თქვენთვისო?!

მოდი, მანამდე ის ვთქვათ, რამდენ მილიონს იმეტებენ თავისთვის ხალხის რჩეულები. იმაზე აღარაფერს ვამბობთ, ხელფასის გარდა, ფუფუნების საგნებსაც რომ არ იკლებენ და აგერ, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ სათავისოდ 180-ათასლარიანი ჯიპიც რომ იყიდა. მართალია, ჯერ ჯიპის ფერი არ უთქვამთ, მაგრამ ის, სავარაუდოდ, შავი არ იქნება, აკი „მცირეხელფასიანმა“ პრემიერმა ბრძანა: შავი ჯიპები აღარ იყიდოთო.

**როგორც საპროცედურო კომიტეტის თავმჯდომარე, პარლამენტარი გიორგი კახიანი გვიმტკიცებს, 2012 წლის შემდეგ, ანუ რაც ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა, დეპუტატებს ხელფასები არ მომატებიათ. ბატონო გიორგი, თქვენდამი პატივისცემის მიუხედავად (რაც უნდა იყოს, ხალხის რჩეული ხართ), უნდა გითხრათ, რომ უნამუსოდ ცრუობთ.**

სახელფასო ფონდი, რომლის გაზრდასაც პარლამენტი ითხოვდა, ბოლო 3 წელიწადში ისედაც სამჯერ გაიზარდა, თანაც — 7,5 მლნ ლარით. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ თანამდებობრივი სარგო ყველა ხელმძღვანელ პირს გაეზარდა. ერთი შეხედვით, ხელფასი არ გაზრდიათ კანონმდებლებს, თუმცა ისინი დეპუტატის უფლებამოსილების შესრულებისთვის იღებენ ე.წ. სახელფასო დანამატს, რომელიც საკმაოდ მაღალია.

2013 წლის 1 იანვრიდან სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისთვის ყოველთვიური სახელფასო დანამატი შემდეგნაირად განისაზღვრებოდა: **პარლამენტის თავმჯდომარე — 3 905 ლარი, პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე – 3 570 ლარი, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე – 3 505 ლარი, საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის ლიდერები, კომიტეტის თავმჯდომარე — 2 705 ლარი, ფრაქციის თავმჯდომარე — 2 635 ლარი, საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიის თავმჯდომარე — 2 105 ლარი (სერგი კაპანაძეს ახლახან შექმნილი კომისიის თავმჯდომარეობისთვის ზუსტად ამდენი დაემატება), საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის ლიდერების მოადგილეები, კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე — 1 970 ლარი, კომიტეტისა და ფრაქციის თავმჯდომარეების მოადგილეები — 1 905 ლარი, პარლამენტის წევრი — 1 790 ლარი.** შესაბამისად, გამოდის, რომ დღევანდელი პარლამენტარის მინიმალური ხელფასი 3 790 ლარს შეადგენს და არა 2000-ს, როგორც ბატონი კახიანი გვიმტკიცებს. საშუალოდ ერთი დეპუტატის რჩენა ბიუჯეტს წელიწადში დაახლოებით 50 ათასი ლარი — თვეში 4 000 ლარზე მეტი უჯდება.

**ბატონო გიორგი, თუ თქვენ არ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ იმ 2012 წელს ბიუჯეტიდან პარლამენტისთვის გამოყოფილი იყო 30 მლნ ლარი და ეს მემკვიდრეობა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაგიტოვათ. ორ წელიწადში კი ეს თანხა 52 მლნ ლარამდე გაიზარდა, ანუ 22 მილიონით მოიმატა და ხომ ვერ მეტყვით: რას ნიშნავს, ხელფასები არ გაზრდილა?!**

ახლა ვნახოთ, რა უჯდება პენსიონერის რჩენა სახელმწიფოს? წლიურად ეს თანხა 2160 ლარი გამოდის, პარლამენტარის ხელფასზე 23-ჯერ ნაკლები. გამოდის, პენსიონერებმა პარლამენტარებზე 23-ჯერ ნაკლები უნდა ჭამონ, სვან, იარონ, ისუნთქონ... თუმცა არა, ჰაერი უფასოა (ჯერჯერობით).

ახლა რომ გითხრათ, არ გრცხვენიათ-მეთქი, მართალი არ ვიქნები, რადგან სირცხვილი პოლიტიკური ლექსიკონიდან, დიდი ხანია, ამოღებული გაქვთ. უბრალოდ, იმას აღვნიშნავთ, რომ, **პარლამენტარების გარდა, ხელფასების თითქმის 200%-იანი მატება ჰქონდათ საჯარო მოხელეებს. შესაბამისად, საჯარო მოხელეები ჩუმად არიან და პენსიონერები არ ანაღვლებთ, თუმცა არა მხოლოდ პენსიონერები, უმუშევრობამ წალეკა ქვეყანა და ის, რის გამოც კახა ბენდუქიძეს დასცინოდნენ, ახლა „ოცნებისთვის“ თავის მართლების მთავარი ფანდია.** თუ გახსოვთ, ბენდუქიძემ თავის დროზე თქვა: ადამიანი რომ ტაქსაობს, ის დასაქმებულიაო. ამას იმეორებს დღევანდელი ხელისუფლება და ადამიანებს, რომლებიც მთელი დღე, თოვლსა და წვიმაში, სიცხესა და ქარში, ქუჩაში რაღაცას ყიდიან, რათა პურის ფული იშოვნონ და საღამოს სახლში პური მაინც მიიტანონ, დასაქმებულებს ეძახის. და ამ დროს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე **სულხან ზუმბურიძის** წლიური ანაზღაურება (ოფიციალურად დეკლარირებული) **341 700 ლარია.** სხვათა შორის, ბატონ სულხანს ცოლი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ჰყავს დასაქმებული მთავარ სპეციალისტად და ქალბატონი **ქეთი რეხვიაშვილის** წლიური შემოსავალი (ესეც დეკლარირებული) **92 848** ლარია, ანუ ცოლქმარს წლიურ შემოსავლს ნახევარ მილიონამდე ცოტა უკლია. და იცით, ეს ადამიანები რატომ ვახსენეთ? **ოფიციალურად მათ ბანკის კრედიტი აქვთ, ანუ წლიურად ნახევარი მილიონი არ ჰყოფნით და რატომ გგონიათ, ვინ დაგაჯერათ, რომ პენსიონერებს წელიწადში 2160 ლარი ეყოფათ?! და თუ იცით, რომ არ ეყოფათ, სასიკვდილოდ იმეტებთ?!**

არა, ზუმბურიძეს ხელფასს თუ შევხედავთ, კი უნდა ვთქვათ, რომ პრემიერს დაბალი ჯამაგირი აქვს და მეტს იმსახურებსო, მაგრამ პენსიონერებს თუ შევხედავთ...

შესაძლოა, ხელისუფლებაში არ უფიქრიათ იმაზე, რომ საქართველოში ერთი სამუშაო ადგილის შესაქმნელად დაახლოებით 25-დან 30 ათას ლარამდეა საჭირო. **მხოლოდ ხელფასების მატებაში 2012 წლიდან დღემდე ხელისუფლებამ ბიუჯეტში დაახლოებით 300 მილიონზე მეტი გამონახა, ანუ ცოტა რომ მოეთმინათ და ამ თანხით ახალი სამუშაო ადგილები შეექმნათ, გამოვიდოდა, რომ ახლა ათი ათასი ახალი სამუშაო ადგილი გვექნებოდა.** ათი ათასი სამუშაო ადგილი კიდევ ათი ათასი კმაყოფილი ოჯახია — დაახლოებით 40 ათასი ადამიანი, რომელსაც პურის ფულის პრობლემა არ აქვს. დიახ, ბატონებო, 40 ათასი ადამიანი და არა რამდენიმე ასეული, რომელზეც ეს 300 მილიონი გადანაწილდა. და, საზოგადოდ, **არ გნებავთ, რომ ყოველ წელს გამონახოთ 300 მილიონი, მოიკლოთ 180-ათასიანი მანქანები, მოიკლოთ ევროპასა და ამერიკაში სირბილი (მაინც უშედეგოდ დარბიხართ) და ამ თანხებით სამუშაო ადგილების შექმნაზე იფიქროთ?!** იქნებ მერე მაინც მიხვდეთ და დაიჯეროთ, რომ „ტაქსისტების“ არცთუ მცირე რაოდენობას მართლა აქვს ორი დიპლომი, რომ გამოცდილი ეკონომისტები და ინჟინრები ბაზარში პომიდორს ყიდიან, რომ პროფესიონალი კადრების დეფიციტი რეალურად არ გვაქვს საქართველოში და მერე ნახეთ, წინასაარჩევნოდ რომ აღარ დაგჭირდებათ კარდაკარ სირბილი, აქაოდა, ხმა მოგვეცითო. ხალხი სიხარულით მოვა არჩევნებზე და მხარს დაგიჭერთ, მაგრამ თქვენ ეს ხელს არ გაძლევთ. **მერე ხომ ვეღარ ივლით საშოპინგოდ ევროპაში, მერე ხომ ვეღარ გამოიყენებთ კუთვნილ შვებულებას ეგზოტიკური კუნძულების დასათვალიერებლად და, რაც მთავარია, შვილებს ხომ ვეღარ დაუტოვებთ სახლებს, აგარაკებს, მანქანებს, ანაბრებს; ვეღარ მისცემთ მრავალათასიან განათლებას...** თქვენ ხომ ჩვენი შვილები არ გაღელვებთ და არ გაღელვებთ იმიტომ, რომ საკუთარზე ფიქრობთ. თქვენთვის ჩვენი შვილებიც ზუსტად ისეთი დეკორაციაა თქვენი კეთილდღეობისა, როგორც ჩვენ, რიგით მოკვდავებს, გვიყურებთ. თქვენ კი უკვდავებაზე რომ ზრუნავთ, ყველაფერში გეტყობათ, ყველა ქმედებასა თუ უმოქმედობაში, და არ გგონიათ, რომ ერთ მშვენიერ დღეს...

ბევრს არ ეგონა... ძალიან ბევრს!

**ბესო ბარბაქაძე**

**როგორც საპროცედურო კომიტეტის თავმჯდომარე, პარლამენტარი გიორგი კახიანი გვიმტკიცებს, 2012 წლის შემდეგ, ანუ, რაც ხელისუფლებაში «ქართული ოცნება» მოვიდა, დეპუტატებს ხელფასები არ მომატებიათ. ბატონო გიორგი, თქვენდამი პატივისცემის მიუხედავად (რაც უნდა იყოს, ხალხის რჩეული ხართ), უნდა გითხრათ, რომ უნამუსოდ ცრუობთ. ბატონო გიორგი, თუ თქვენ არ გახსოვთ, ჩვენ გეტყვით, რომ იმ 2012 წელს ბიუჯეტიდან პარლამენტისთვის გამოყოფილი იყო 30,011 მლნ ლარი და ეს მემკვიდრეობა «ნაციონალურმა მოძრაობამ» დაგიტოვათ. ორ წელიწადში კი ეს თანხა 52, 091 მლნ ლარამდე გაიზარდა, ანუ 22 მილიონით მოიმატა და ხომ ვერ მეტყვით, რას ნიშნავს, ხელფასები არ გაზრდილა?!**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ხელისუფლებამ კი უნდა იცოდეს, რომ მთავარი ფაქტორი სახიფათო დაძაბულობის განეიტრალებისა, პირველ რიგში, ქართველი საზოგადოების მხარდაჭერა იყო, თუნდაც უნიათო, არაპროფესიონალი, ფარჩაკი ხელისუფლების მიმართ, რადგან სადისტი ნაცების ხელისუფლების რესტავრაციის პერსპექტივა არავის ხიბლავს.**

# ზაზა სარალიძე «ამსტერდამის დაჯგუფების» მიერ დადგმული სპექტაკლის ერთ-ერთი აქტორია

**ხორავას ქუჩაზე მომხდარი შემზარავი ტრაგედიის შესახებ და მის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე ვწერდი წინა სტატიაში (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №20), რომელშიც შვილმოკლულ მამას თანაგრძნობა-თანადგომას ვუცხადებდი, ისევე, როგორც ათიათასობით თბილისელი, რომლებიც სამართლისმაძიებელი გამწარებული მამის პირველივე დაძახილზე გამოვიდნენ რუსთაველის პროსპექტზე მის მხარდასაჭერად. 31 მაისს მართლაც უამრავი ხალხი გამოვიდა პარლამენტის წინ გამართულ საპროტესტო აქცია-მიტინგზე, რომელსაც მალევე შეუერთდა კიდევ ერთი შვილმოკლული მამა, პანკისელი მალხაზ მაჩალიკაშვილი.**



**ქოცების ხელისუფლებამ, 6 წელიწადია, ვერ შეასრულეთ უმთავრესი დაპირება — არ აღადგინეთ სამართლიანობა არც ერთი მიმართულებით და ისეთ მარაზმამდე მიხვედით, რომ მკვლელობების გამოძიების საპარლამენტო კომისიაში სულხან მოლაშვილის მწამებელი გიგა ბოკერია გიზით, ხოლო აფრასიძეების ოჯახის ამომწყვეტი გია ბარამიძე იმის მაგივრად, ციხეში იჯდეს, მორალს გვიკითხავს**

ბუნებრივად გადაიკეტა რუსთაველის გამზირი და მეტიც, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ პირველად დაუშვა, რომ აქციის მონაწილეებს პარლამენტის წინა ტროტუარზე კარვები დაედგათ.

უხერხულობას მიქმნიდა ის, რომ მიტინგი სისხლიანი 26 მაისის ცნობილ ზონდერ-ჯალათ **ზვიად კუპრავას** (როგორც ამბობენ, სარალიძის ნათლ-მირონს) მიჰყავდა, რომელმაც, ხალხის სიმრავლით გულმოცემულმა და ექსტაზში შესულმა გულში მჯიღის ცემით საზოგადოებას ე.წ. ხავერდოვანი რევოლუციის (წაიკითხე, მიშნაცების ხელისუფლების რესტავრაცია) დაწყება აუწყა. როდესაც ზაზა სარალიძემაც რევოლუციური ფრაზების ფრქვევა დაიწყო, ზემოხსენებულ სტატიაში მოკრძალებით დავსვი კითხვა: შვილმოკლული მამაც რევანშისტების მიერ დადგმული სპექტაკლის ერთ-ერთი აქტორი ხომ არ ბრძანდება?

იქვე 11 „ოპოზიციური პარტია“ შეიკრიბა საქართველოს „ნათელი შვილის“, მარად „ოპოზიციონერი“ ლეიბორისტების ოფისში, რომლებსაც მოკლული დათუნა სარალიძეც და თემირლან მაჩალიკაშვილი ფეხებზე ჰკიდიათ და მხოლოდ ვიწრო პარტიული ინტერესი აქვთ — ეგებ ქვეყანა აირიოს და როგორმე ნულოვანი რეიტინგის ჭაობიდან ამოძვრნენ.

**გიორგი ვაშაძე; ნაცები; „ევროპული საქართველო“; პაატა ბურჭულაძის „ნაცვალი“, პოლიტიკის ამომავალი „მეგა-ვარსკვლავი“ ნიკა მაჭუტაძე; ერთ დროს უძლიერესი ედპ-ს სამარცხვინო ლიდერი ბაჩუკი ქარდავა და ა.შ. ყველა პარტიის სახელი, რომელთა გაერთიანების საფუძველი ბიძინა ივანიშვილის ბიოლოგიური ზიზღი და ზემოხსენებული ჭაობიდან ყიყინის სურვილია, არ მახსოვს, მაგრამ, რომც მახსოვდეს, მათ ჩამოთვლას, რა აზრი აქვს?!**

ნულს პლუს ნული, გინდაც 11 ნული, მაინც ნულის ტოლია და, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს რომ ითხოვენ ეს 2-3-კაციანი პარტიები, დიდი-დიდი ყველამ ერთად ხმების 2% მოიპოვოს.

როდესაც შვილმოკლული მამების აქციაზე ისეთი სისხლისმსმელი ნაძირალები გამოჩნდნენ, როგორებიც არიან სააკაშვილის რეჟიმის პროკურორი **მურთაზ ზოდელავა;** სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი პროკურორი, სადისტი მკვლელების — **ბაჩანა** და **დათა ახალაიების** მამა — **როლანდ ახალაია;** ბუტა რობაქიძის მკვლელობის მთავარი გამყალბებელი **გურამ დონაძე,** ჩემთვის ყველაფერი ნათელი შეიქნა, ამიტომ ზემონახსენებ პირველ სტატიაში გამოთქმულ ეჭვნარევ მოსაზრებას ყოველგვარი კითხვის ნიშნის გარეშე მტკიცებითი ფორმით გავიმეორებ: ჩემი აზრით, **ზაზა სარალიძე „ამსტერდამის დაჯგუფების“ (წაიკითხე, მიშნაცების) მიერ დადგმული სპექტაკლის („ნუ მომკლავ“) ერთ-ერთი აქტორია, ნებსით თუ უნებლიეთ!**

როგორც აღმოჩნდა, არა მხოლოდ ჩემი აზრით, რადგან 31 მაისს დაწყებულ საპროტესტო აქციას (რომლის დროსაც გამარჯვებაში დარწმუნებული მიშარასტები სიამოვნებით ხელებს იფშვნეტდნენ) ხალხი დღითიდღე კი არ ემატებოდა, პირიქით — აკლდებოდა და ამ კლებამ კრიტიკულ ზღვარს სწორედ 10 ივნისს, ზაზა სარალიძის მუქარის (გადადგეს შს და იუსტიციის მინისტრები, თორემ!) დღეს მიაღწია, როდესაც, მიშარასტების სრული ფიზიკურ-ფინანსური მობილიზაციის მიუხედავად, გაერთიანებულმა ოპოზიციამ პარლამენტის წინ ფიორა მოედნის შევსებაც კი ვერ მოახერხა და მიტინგი, პრაქტიკულად, ნაცების აქტივისტების აქციად იქცა.

ამ ფაქტით თავზარდაცემულმა მიშარასტებმა შანტაჟს მიმართეს — მიუხედავად იმისა, რომ თითო-ოროლა კაცილა დაბორიალობდა ტროტუარზე, ზაზა სარალიძემ თავის მომხრეებს გაშლილი კარვები პირდაპირ პროსპექტის შუაში გადმოატანინა.

ეს აშკარა პროვოკაცია კი ნიშნავდა — აბა, მოდი, პატრულო (წაიკითხე, ხელისუფლება), და შვილმოკლულ მამებს ხელი გვახლე; რასაც გვინდა, იმას გავაკეთებთო. და გააკეთეს კიდეც — დილამდე ქალაქის ცენტრალური ქუჩა ხელოვნურად პარალიზებული იყო.

ზემოთ ბატონ ზაზა სარალიძეს ერთ-ერთი აქტორი ვუწოდე, რაც იმას ნიშნავს, რომ ამსტერდამის დაჯგუფების სპექტაკლს სხვა მსახიობებიც ჰყავს.

ესენი არიან: **„რუსთავი 2“-ის მეთაურობით უკლებლივ ყველა ე.წ. ნაციონალური ტელევიზია და, პრაქტიკულად, მთელი არასამთავრობო სექტორი კაპიტან ეკა გიგაურის, სახალხო დამცველ ნინო ლომჯარიასა და ბოზი ბაია პატარაიას (ქალთა უფლებადამცველმა ბაია პატარაიამ პირდაპირ ტელეეთერში განაცხადა, რომ ბოზია და ამაყობს ამით)** ხელმძღვანელობით. ყველა ერთად და ცალ-ცალკე თავდაუზოგავად მუშაობდნენ საპროტესტო აქციის მონაწილეთა სასარგებლოდ, ანუ სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად.

ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც **ნიკა გვარამიასა და ეკა კვესიტაძის** ჭყლოპინი (როცა რუსთაველზე კარვებით გადაკეტეს მოძრაობა) — მორჩა, ხელისუფლება ჩიხშია, რადგან შვილმოკლულ მამებს ხელს ვერ ახლებენ და მოუწევთ აშკარად „დაუკრეფავში გადასული“ ზაზა სარალიძის მოთხოვნის შესრულება შს და იუსტიციის მინისტრების გადადგომის შესახებ.

ანალოგიური მოთხოვნები ჰქონდა ე.წ. არასამთავრობო (წაიკითხე, მეხუთე კოლონა) სექტორს, რომელიც **თეა წულუკიანის** გადადგომას იმ მოტივით ითხოვს, რომ თურმე რეფორმებს არ ატარებს თავის უწყებაში და ბარაქალა თეას, ქალიც ეგ ყოფილა და ლეჩაქიც მას ჰხურებია — რეფორმის არგატარება თურმე ის ყოფილა, რომ ქალბატონ მინისტრს კაპიტან გიგაურისა და სახალხო დამცველისთვის უარი უთქვამს მამაკაცის გენიტალიების მქონე ადამიანის ქალად დარეგისტრირებაზე და პირიქით, ქალის სასქესო ორგანოების მქონე ადამიანის მამაკაცად დარეგისტრირებაზე.

სტატიის ბოლოს ვიტყვი, რომ შს მინისტრმა გახარიამ უმაღლესი პროფესიონალიზმით გაანეიტრალა დაძაბული ვითარება რუსთაველზე — პატრულის თანამშრომლებმა კარვებიც აიღეს და ზვიად კუპრავას ვირის აბანოში 14 დღით ბანაობა გამოუწერეს; **ზაზა სარალიძესაც დაუკარგეს დაუსჯელობის სინდრომით გამოწვეული ჰონორი და, მიუხედავად ცალყბა მუქარისა, რომ გონივრულ ვადას აძლევს ხელისუფლებას, მისი აღარავის ეშინია, რადგან ათიათასობით ადამიანის მხარდაჭერას ნაცებთან ალიანსში ეჭვმიტანილი ბატონი ზაზა ველარასოდეს მოიპოვებს.**

ხელისუფლებამ კი უნდა იცოდეს, რომ მთავარი ფაქტორი სახიფათო დაძაბულობის განეიტრალებისა, პირველ რიგში, ქართველი საზოგადოების მხარდაჭერა იყო, თუნდაც უნიათო, არაპროფესიონალი, ფარჩაკი ხელისუფლების მიმართ, რადგან სადისტი ნაცების ხელისუფლების რესტავრაციის პერსპექტივა არავის ხიბლავს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თავს უფლებას მივცემ, სამარცხვინო ხელისუფლებას და პირადად ბიძინა ივანიშვილს ქართველი ერის სახელით მივმართო:

ბატონო ბიძინა! ბოროტად ნუ სარგებლობთ იმ რეალობით, რომ ნაცებს ჯობიხართ — ქუჩაში აღარ გვხვრეტენ და ციხეებში აღარ გვაწამებენ; მიტინგების გარეშე გამოიძიეთ და დასაჯეთ მკვლელებიცა და მათი მფარველებიც. რაც მთავარია და რაზეც არავინ ლაპარაკობს, დადგინდეს ხორავას ქუჩაზე მომხდარი სასტიკი მკვლელობების მოტივი, რადგან, თუ მოტივის გარეშე მოკლეს ორი ყმაწვილი, თანაც დანით მიაყენეს უამრავი ჭრილობა, მაშინ ეს უკვე კლინიკური შემთხვევაა და მკვლელები, კი არ უნდა დავიჭიროთ, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უნდა გავამწესოთ! სკოლებში ჩვენც გვისწავლია და ვიცით: არათუ მკვლელობა, მოტივის გარეშე უბრალო მუშტი-კრივიც არ ხდება...

რადგან ქოცების ხელისუფლებამ, 6 წელიწადია, ვერ შეასრულეთ უმთავრესი დაპირება — არ აღადგინეთ სამართლიანობა არც ერთი მიმართულებით და ისეთ მარაზმამდე მიხვედით, რომ მკვლელობების გამოძიების საპარლამენტო კომისიაში **სულხან მოლაშვილის** მწამებელი გიგა ბოკერია გიზით, ხოლო აფრასიძეების ოჯახის ამომწყვეტი **გია ბარამიძე,** იმის მაგივრად, რომ ციხეში იჯდეს, მორალს გვიკითხავს და ა.შ.

აქედან გამომდინარე, უნდა შეიქმნას, საპარლამენტო კი არა, დიდი უფლებების მქონე, საზოგადოების ნდობით აღჭურვილი პირებისგან შედგენილი კომისია, რომელიც თავისუფალი იქნება კოაბიტაციის მარწუხებისგან და გამოიძიებს იმ სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებიც 6 წელიწადი თაროებზე დევს.

და ყველაზე მთავარი — უნდა მოხდეს სამეგრელოს ტყეებში კასრებში ნაპოვნი ათიათასობით ფაილის (რომლებიც ვითომ განადგურდა, მაგრამ მათი დუბლიკატები არსებობს) გამომზეურება და მათ საფუძველზე და მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, როგორც ფაშისტურ-სადისტური პარტიის, გასამართლება, მისთვის პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვა „ევროპულ საქართველოსთან“ ერთად, რადგან, ერთი კახური გამოთქმისა არ იყოს, ვირი გინდ ღობის იქით დააბი, გინდ — ღობის აქეთ, მაინც ვირია.

**დავით მხეიძე**

**P.S. ასეთ ხალხსა თუ პარტიებს არათუ შვილის მკვლელების დასჯაში დასახმარებლად დავიყენებ გვერდით, არამედ, ასეთ ნაძირლებს, გარდაცვლილი შვილის გაცოცხლებასაც რომ შემპირდნენ, ახლოსაც არ გავიკარებ. ამას მე, დავით მხეიძე, გეუბნებით, ბატონო ზაზა, რომელმაც 13 წლის ანგელოზი ბიჭი ჩავდე მიწაში! მაგრამ ამას, ბონია მეწისქვილისა და დათა თუთაშხიასი არ იყოს, შენ არც დამიჯერებ და ვერც გაიგებ...**

**„თუ მართლაც გაიტანეს თავისი ამ ნაძირალებმა და ხელისუფლება აიძულეს, ეს პიროვნება გახდეს პროკურორი, პირველი მე ვიქნები, ვინც ქვეების სროლას დაიწყებს. პროკურატურაში და, საერთოდ, ძალოვან სტრუქტურებში, საკმაოდ ბევრი „საბოტაჟნიკი“ ჰყავთ, ამიტომ, თუ ახლა ზოდელავას ბარტყს დასვამენ პროკურატურის სათავეში, ჩავთვლი, რომ ხელისუფლება მიზანმიმართულად ცდილობს, ნაცებს გადააბაროს ყველაფერი“.**

რაკურსი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ლალი აფციაური:**

# გიგა ბოკერია საბრალდებო სკამზე უნდა იჯდეს, რადგან ბოკერია არის 2004-დან 2012 წლამდე მომხდარი ყველა ბინძური საქმის თავიდათავი

**ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა პარლამენტში 31 მაისს გადაწყდა. 84-მა დეპუტატმა მხარი დაუჭირა დადგენილების პროექტს „2017 წლის 1 დეკემბერს თბილისში, ხორავას ქუჩაზე, მომხდარი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის მკვლელობის ფაქტის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე“. ინიციატივა პარტია „ევროპულ საქართველოს“ ეკუთვნოდა. კომისია 17 წევრისგან შედგება, მის უმრავლესობას „ევროპული საქართველო“ წარმოადგენს (9 წევრი), „ქართული ოცნება“ კი 6 დეპუტატით არის წარმოდგენილი. კომისიის შემადგენლობაში „ევროპული საქართველოდან“ არიან: სერგი კაპანაძე, ოთარ კახიძე, ელენე ხოშტარია, ოთარ აბესაძე, სერგო რატიანი, ხათუნა გოგორიშვილი, მამუკა ჩიქოვანი, გიგა ბოკერია და ირმა ნადირაშვილი. „ქართული ოცნებიდან“: არჩილ თალაკვაძე, მამუკა მდინარაძე, ეკა ბესელია, ანრი ოხანაშვილი, დიმიტრი ცქიტიშვილი და სოფო კილაძე. კომისიის წევრები, აგრეთვე, არიან „პატრიოტთა ალიანსის“ წევრი ადა მარშანია და დამოუკიდებელი დეპუტატი სალომე ზურაბიშვილი. კომისიის პირველივე სხდომაზე ზაზა სარალიძემ ეკა ბესელიას აცილება მოითხოვა. კომისია სამი თვის განმავლობაში იმუშავებს. ძირითადად, „ევროპული საქართველოს “ წარმომადგენლებით დაკომპლექტებულ კომისიაზე ე.წ. ციხის ბუნტის საქმის ადვოკატი ლალი აფციაური გვესაუბრება.**

**— ქალბატონო ლალი, თქვენ ერთ-ერთი ხართ იმ ადამიანთაგან, რომლებმაც კარგად იციან წინა ხელისუფლების „საქმენი საგმირონი“. აქტიურად იყავით ჩართული „ციხის ბუნტის“ საქმეშიც, სადაც გიგა ბოკერიას სახელი დადებითად არ იყო მოხსენიებული...**

— გიგა ბოკერია სამართლიანობის აღდგენაზე რომ მუშაობს, კატასტროფაა!

კომისიის შექმნა სამართლებრივად ნორმალურია, ისიც ნორმალურია, რომ ყველა პარტია კვოტებით შედის. უნდა გავითვალისწინოთ, რომ შვილმოკლული მამა, ზაზა სარალიძე, არავის ენდობა, გარდა იმ ხალხისა, რომელიც კომისიაში უმრავლესობით არის წარმოდგენილი. ის ამბობს, რომ არ ენდობა **ბესელიას**, რადგან შეურაცხყო, თუმცა ეს სიცრუეა, ვერსად მოვიძიე ინფორმაცია, რომლითაც მსგავსი რამ დადასტურდებოდა. კომისიის შექმნის საქმეში ხელისუფლება მართალია, **სარალიძე არავის ენდობა, გარდა ნაცებისა, ამიტომ სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ. სხვა საქმეა, ნაცები დღესაც რატომ არიან პოლიტიკურ არენაზე.**

რაც შეეხება გიგა ბოკერიას, ის თვითონ უნდა იჯდეს საბრალდებო სკამზე. ბოკერია არის ყველა იმ ბინძური საქმის თავიდათავი, რომლებიც 2004-დან 2012 წლამდე ხდებოდა. ძნელია, ჩამოთვალო ყველაფერი, რაც მან ჩაიდინა, მათ შორის — მკვლელობებიც. ბოკერია ყველა საქმის, ორგანიზატორი თუ არა, მონაწილე იყო. სწორედ ბოკერიას იდეოლოგიის გამო გაუშვეს წინა ხელისუფლება პოლიტიკურ მოუსავლეთში, მაგრამ კოაბიტაციამ ისინი გააცოცხლა.

ზაზა სარალიძეს ენით აუწერელი უბედურება სჭირს, მაგრამ დადგე ნაცების გვერდით, რომლებიც თვითონ სჩადიოდნენ მკვლელობებს, ყოვლად წარმოუდგენელია.

რა სახელიც უნდა დაირქვას ბოკერიამ, ყოფილი ნაცი არ არსებობს. ხელისუფლება შეცდომას უშვებს, თუ ჰგონია, რომ ბოკერიას რაიმეს გამოსტყუებენ, პირიქით — ის ამ მდგომარეობას კარგად გამოიყენებს, რადგან ერუდირებული ნაძირალაა.

ბოკერია და „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი წევრები ცდილობენ, ის კანდიდატი დასვან პროკურორად, რომელიც მურთაზ ზოდელავას უახლოესი გარემოცვის წევრი იყო. ამ ადამიანის სახელისა და გვარის დასახელებისგან ჯერ თავს შევიკავებ, მაგრამ, **თუ მართლაც გაიტანეს თავისი ამ ნაძირალებმა და ხელისუფლება აიძულეს, ეს პიროვნება გახდეს პროკურორი, პირველი მე ვიქნები, ვინც ქვეების სროლას დაიწყებს. პროკურატურაში და, საერთოდ, ძალოვან სტრუქტურებში საკმაოდ ბევრი „საბოტაჟნიკი“ ჰყავთ, ამიტომ, თუ ახლა ზოდელავას ბარტყს დასვამენ პროკურატურის სათავეში, ჩავთვლი, რომ ხელისუფლება მიზანმიმართულად ცდილობს, ნაცებს გადააბაროს ყველაფერი.** სხვას ვერაფერს ვფიქრობ, რადგან, საითაც უნდა გაიხედო, ყველგან ეს კრიმინალები დომინირებენ და მორალს გვიკითხავენ, თვალებში გვიყურებენ და თითს გვიქნევენ. ეს მთავრობის დანაშაულია.

კიდევ ერთხელ ვამბობ: საშინელი ტრაგედია მოხდა, ზაზა სარალიძე და მისი ცოლი, ფაქტობრივად, განადგურებულნი არიან. თუ ვინმემ მათი შვილის მკვლელობის დეტალები დაფარა, მკვლელს ხელი დააფარა, აუცილებლად უნდა დაისაჯოს, მაგრამ ამას მტკიცებულებები სჭირდება და არა „კუპრავას გამოძიება“, როგორც ზაზა სარალიძე ამბობს.

სარალიძე მართალი იქნებოდა მაშინ, თუ აპოლიტიკური ადამიანებისგან შექმნიდა კომისიას და ხელისუფლებას ფაქტებს დაუდებდა. ასეთ შემთხვევაში მე მხარში ამოვუდგებოდი, მაგრამ მან მკვლელებთან დგომა არჩია. ჟურნალისტებმა ჩვენზე უკეთ იცით, ვინ დგას იქ და რა წარსული აქვს თითოეულ მათგანს.

**— როგორ ფიქრობთ, დადებს ბოკერის გუნდი რაიმე შედეგს?**

— დაზარალებულის მოთხოვნა დაკმაყოფილდა — კომისია იმ შემადგენლობით შეიქმნა, როგორიც უნდოდა. ვნახოთ, გაამართლებენ თუ არა სარალიძის იმედებს.

მთელი ამ ხნის განმავლობაში **მირზა სუბელიანის** დაკავებას მოითხოვდნენ, დააკავეს და „ეს არ არის საკმარისიო“, — გაიძახის სარალიძე. მინდა ვიფიქრო, რომ შვილის სიკვდილის გამო სარალიძე არაადეკვატურია, რადგან მისი მოთხოვნები არაადეკვატური ჩანს. თუ ის გავლენის ქვეშ არის, მაშინ ეს ძალიან ცუდია. კომისიამ მუშაობა სამ თვეში უნდა დაასრულოს, დაველოდოთ შედეგებს.

**ვახტანგ მაისაია:**

# «ქართული ოცნება» «ნაცმოძრაობის» ასპიტებმა დაგესლეს



**2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხმების 27,11% მოიპოვა. მაშინ „ქართული ოცნების“ წევრები ამბობდნენ: ანგარიშგასაწევი ძალააო... არჩევნებიდან რამდენიმე თვეში ამერიკის დემოკრატიული ინსტიტუტის (ენ-დი-აის) კვლევამ აჩვენა, რომ ნაციონალებს ამომრჩევლის მხოლოდ 10% უჭერდა მხარს. ქართველ საზოგადოებას კი არც იმ 27%-ისა სჯეროდა და არც ენ-დი-აის 10%-ის, ყველა თვლიდა, რომ ბიძინა ივანიშვილმა ნაციონალებს პროცენტები აჩუქა, რადგან იმხანად ამერიკელი სენატორები ივანიშვილს ანგარიშების გაყინვით დაემუქრნენ. დღეს „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში დაბრუნებას ცდილობს. მისმა წევრებმა შვილმოკლული მამების სახელით დიდი საპროტესტო აქციის გამართვა სცადეს. ერთი კვირის განმავლობაში საქართველოს ყველა რეგიონი მოიარეს და 10 ივნისს დაანონსებულ გრანდიოზულ აქციაზე, სადაც სისტემა უნდა დაენგრიათ, ძლივს გამოიყვანეს... 2-3 ათასი ადამიანი. არის თუ არა ანგარიშგასაწევი ძალა „ნაციონალური მოძრაობა“, გვესაუბრება სამხედრო ექსპერტი ვახტანგ მაისაია, რომელსაც 2009 წელს რუსეთის ჯაშუშობაში დასდეს ბრალი და 20-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.**

**— ყველას კარგად გვახსოვს, რა მოხდა 2012 წლის არჩევნების შემდეგ; გვახსოვს, როგორ დაფრთხნენ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები, მაგრამ ძალიან მალე კვლავ შეძლეს ფეხზე წამოდგომა და დღეს „ქართულ ოცნებას“ უკვე ულტიმატუმს უყენებენ...**

— პირველ რიგში, მინდა, აღვნიშნო, რომ თქვენ ხართ იმ მცირერიცხოვან გაზეთთაგან ერთ-ერთი, რომელიც სიმართლეს წერს, რომელსაც ყველაფერი ახსოვს და ზუსტად იმ შეკითხვებს სვამს, რომლებიც ხალხს, ასე ვთქვათ, გულს ფხანს. დღევანდელი მასმედია შოუმენებით არის დაკომპლექტებული, ყველა ტელევიზია მხარეა, ორკაციან მიტინგს ისე გიჩვენებენ, იფიქრებ, ქვეყანა იქცევაო. აღარ ვლაპარაკობ „რუსთავი 2“-ზე, რომელიც კლოუნადად გადაიქცა, და რომლის მთავარი გმირი **გვარამიაა.**

ქვეყანაში კომიკური სიტუაციაა. „ნაციონალური მოძრაობა“ და მათი სატელიტები, თავიანთი ფიურერი **სააკაშვილით**, მთავარი კომიკოსები არიან. არ შეიძლება ამ ვითარებაში არ ვახსენოთ „ქართული ოცნება“, რომელიც, მართლა ვერ გავიგე, რომელ პოზიციაშია.

„ოცნება“ მაგონებს გასული საუკუნის 20-იანი წლების ბოლშევიკურ **მთავრობას, რომელიც გაურკვეველი წარმოშობის ფრაქციებად არის დაყოფილი, არ აქვთ გამოკვეთილი აზრი, ჰყავს ახალგაზრდები, რომლებიც თანამშრომლობენ „ევროპულ საქართველოსთან“.**

სააკაშვილი გამარგინალებულია, მის მხარეს მდგომი ადამიანებიც ბევრს არაფერს წარმოადგენენ, მაგრამ სულ სხვაა „ევროპული საქართველო“ და მათი წევრები. **ბოკერია** თავისი გუნდით არის მთავარი გმირი იმ ავტოკრატული სახელმწიფოსი, რომელიც გვქონდა. **„ევროპულ საქართველოში“ შემავალი ადამიანები ყველაზე სასტიკები და დაუნდობლები იყვნენ...**

**— 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როდესაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხმების 27,11% აიღო, „ქართულმა ოცნებამ“ გამოგვიცხადა: „ნაცმოძრაობა“ ანგარიშგასაწევი ძალააო. არადა, 10 ივნისის აქციაზე მათ გვერდით ამომრჩევლის 27 პროცენტი არ იდგა...**

— ესაა მთავარი შეცდომა ახლანდელი ხელისუფლების; თვლიდნენ, რომ ნაცები ანგარიშგასაწევი ძალაა და დაიწყეს ურთიერთობა ასპიტებთან, რომლებმაც ახლა სამაგიერო გადაუხადეს. „ქართული ოცნება“ დაგესლილია. **ამჟამინდელი ხელისუფლება დამნაშავეა, რადგან განაჩენი არ გამოუტანა ნაციონალებს, არ გაასამართლა რეჟიმი ისე, როგორც გერმანიაში ფაშისტები გაასამართლეს. მათი ბრალია, რომ ჯალათები დღეს მორალს გვიკითხავენ.**

ნაციონალები არიან ანგარიშგასაწევი ძალა? გაუწიონ ანგარიში და ქვეყანა სამოქალაქო ომის ზღვარზე მივა. ნაცისტებთან ურთიერთობა არავის უნდა, ციხეში ვიჯდები და იქ მომკლავენ თუ ტყეში, ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, თუმცა მირჩევნია, ტყეში ვიბრძოლო და რამდენიმე თან გავიყოლო...

„ოცნება“ უნდა დაფიქრდეს, თორემ სამოქალაქო ომი არ აგვცდება.

**— თქვენი დაკავებისა და წამების ფაქტები საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი. დაისაჯნენ თქვენი მწამებლები? აღდგა სამართალი თქვენთვის?**

— არავინ დასჯილა, დღემდე მაღალ თანამდებობებზე სხედან. აი, თუნდაც ახლა რომ საპარლამენტო კომისია შეიქმნა გიგა ბოკერის გუნდის თაოსნობით, იქ ზის **ოთარ კახიძე**, ასევე, თვითონ ბოკერია, რომელიც მთავარი მწამებელი იყო, **უგულავა**... ამ ადამიანებს ჩემს დაპატიმრებაში დიდი წვლილი მიუძღვით. კარგად გრძნობენ თავს **ოთარ ორჯონიკიძე** და **ლადო დათაშვილი**, რომლებიც დღესაც სუს-ის მაღალჩინოსნები არიან და რომლებსაც ევალებათ მაჩალიკაშვილის საქმის გამოძიება. არის ასეთი ვინმე — **ვალერი ზუმბაძე**, ჯალათი, რომლის ძმაც სუსში კადრების უფროსია.

ჩემსავით დაზარალებულები არიან „მუხროვანის ბიჭები“, მათი საქმეები კვლავ ჯალათების ხელშია.

ლუსტრაცია უნდა მომხდარიყო ყველასი და დღეს ამ მდგომარეობაში არ აღმოვჩნდებოდით. ვადანაშაულებ ყველას ამ ხელისუფლებაში, რადგან იდიოტების ხროვა დატივეს, კლოუნადა მოაწყვეს ქვეყანაში. რაც შეეხება „ნაცისტებს“, გამარგინალდნენ, სასაცილოებად იქცნენ, მაგრამ ეს არავის დამსახურება არ არის, ხალხის გარდა. ხალხმა გამოუტანა მათ განაჩენი და ნურავინ მიიწერს იმას, რაც 10 ივნისს მოხდა. ერთი კვირა დადიოდნენ რეგიონებში და 1000 კაციც ვერ გამოიყვანეს, ახლაც იტყვის „ოცნება“, რომ ნაციონალები ანგარიშგასაწევი ძალაა?!

გვერდი მოამზადა **ეკა ნასყიდაშვილმა**

**ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ბოლო პერიოდია, სოციალური ქსელის ასიათასობით მომხმარებელი უკვე დაუფარავად „ღადაობს“ კუპრავა-სარალიძის დუეტზე და მათ უახლოეს გარემოცვაში მყოფ „სისტემის დამანგრეველებზე“. ყველაზე ტრაგიკომიკური ისაა, რომ ამის მიზეზსა და საბაბს ნამდვილად იძლევა შვილმოკლული მამა. ისევე, როგორც უკვე ის არის სავსებით ნათელი, რომ ზაზა სარალიძე არანაირი „ჩათრეული“ არ არის, იგი თხემით ტერფამდე ნაცია და თავისი ტრაგედიის ასე ულირსად გამოყენების ნება თვითონვე დართო ნაცებს.**

# კუ-პრავამ ფეხი გამოყო: სისტემა დამანგრევინეთო

**11 ივნისის შემდეგ ცნება „არაპოლიტიკური აქცია“ გაურკვეველი ცნებების კატეგორიაში გადავიდა. მას შემდეგ, რაც მოზარდებს შორის მომხდარი გარჩევისას ერთ-ერთი მოკლულის მამამ თითქმის ორი კვირა იძახა: „მე პოლიტიკაში არ ვერევი და ჩვენი აქცია არაპოლიტიკურიაო“, სინამდვილეში კი ყველა მოთხოვნა პოლიტიკური იყო — შვილმოკლულ მამას არ აკმაყოფილებდა არც გენერალური პროკურორის გადადგომა, არც საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნა, მის მიერ დასახელებული პირების პატიმრობაში აყვანა და ყოველდღე ახალ-ახალ მოთხოვნებს აყენებდა ამა თუ იმ პოლიტიკური ფიგურის თუ მინისტრის გადადგომის შესახებ, უკვე მართლა გაურკვეველია, პოლიტიკური აქცია რაღაა?!**



პირდაპირ ვთქვათ: ნაციონალების ულირსი და გარეწრული გათვლა, რომ მოქმედი ხელისუფლების წინააღმდეგ შვილმოკლულ მამას ამოფარებულები გამოსულიყვნენ, მოსალოდნელზე უფრო სამარცხვინოდ ჩაფლავდა. აქვე ვიტყვი: წინამდებარე სტატიის მიზანი არ არის ამ ტრაგიკომიკური მოვლენების სერიოზული ანალიზი. ყურადღებას უფრო იმ წმინდა ფსიქიატრიულ გამოვლინებებს მივაქცევ, რომლებიც ამ აქციების პერიოდში ყველამ თვანლათლივ დაინახა, მაგრამ, სანამ ამაზე გადავიდოდე, მინდა, მცირე შესავალი გავაკეთო.

საზოგადოდ, ძალიან რთულია ასეთ მძიმე მოვლენებზე ირონიული ტონით წერა და ლაპარაკი, მაგრამ ფაქტია: **ბოლო პერიოდია, სოციალური ქსელის ასიათასობით მომხმარებელი უკვე დაუფარავად „ღადაობს“ კუპრავა-სარალიძის დუეტზე და მათ უახლოეს გარემოცვაში მყოფ „სისტემის დამანგრეველებზე“. ყველაზე ტრაგიკომიკური ისაა, რომ ამის მიზეზსა და საბაბს ნამდვილად იძლევა შვილმოკლული მამა. ისევე, როგორც უკვე ის არის სავსებით ნათელი, რომ ზაზა სარალიძე არანაირი „ჩათრეული“ არ არის, იგი თხემით ტერფამდე ნაცია და თავისი ტრაგედიის ასე ულირსად გამოყენების ნება თვითონვე დართო ნაცებს.**

ცოტას წავიტრაბახებ და, მთელი ეს სურათი ამ აქციების დაწყების პირველ დღესვე დავინახე, თუმცა ჩემი მოსაზრებები იმდენად „ნაჩქარევი“ ჩანდა, რომ რედაქციამაც თავი შეიკავა ამ თემაზე დაწერილი ჩემი პირველი სტატიის გამოქვეყნებისგან. ახლა უკვე მართლაც ყველასთვის ნათელია, რეალურად რა მიზნებიც ამოძრავებთ პატივცემულ „არაპოლიტიკურებს“, ამიტომ შეგვიძლია უფრო გაბედულად ვისაუბროთ. იქ, სადაც შვილმოკლული მამა თვითონ არ ფიქრობს, რა უფრო შეურაცხმყოფელია მისი მოკლული არასრულწლოვანი შვილის ხსოვნისთვის — ღირსეული საქციელი თუ გარეწრებისთვის მისი სიკვდილის თემის ულირსად გამოყენების საშუალების მიცემა — მცირე „გათავხდება“ ეგებ ჩვენც მოგვეტევოს, მით უფრო, რომ საქმე ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ უსაფრთხოებას ეხება.

როგორც შეგპირდით, ამ „ლეგენდარული“ საპროტესტო აქციების მიზნებისა და ამოცანების გაანალიზებას შევწყვეტ და მხოლოდ იმაზე ვილაპარაკებ, რატომ იყო ეს აქციები ასეთი „ლეგენდარული“. უწინარესად, იმით, რომ აშკარა იყო „ფსიქიატრიული საქართველო“. **ვერ გეტყვით, ბიძინა ივანიშვილის მიმართ დაგროვილმა ბოღმამ ქნა ეს თუ სხვა რამ იყო მიზეზი, მაგრამ ფაქტია: ამ ე.წ. არაპოლიტიკურ აქციაზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფსიქიატრიული პრობლემების მქონე მოქალაქეთა ლამის სრული სპექტრი შეიკრიბა.**

შვილმოკლული მამის მხარდასაჭერი „არაპოლიტიკური“ აქცია უამრავი კომიკური მოთხოვნის მქონე ინდივიდების ასპარეზად გადაიქცა და ყოველივე 10 ივნისს ახალგამომცხვარი „ეროვნული ლიდერის“ — **ზვიად კუპრავას** მიერ მიტინგზე წაკითხულმა „დეპეშებმა“ დააგვირგვინა: **„ზუგდიდელმა სვეტა დეიდამ დამაბარა, გადადგნენ ესენიო!“, „ბათუმელმა თალიკო დეიდამ დამაბარა, წაეთრიოს ივანიშვილის რეჟიმიო!“ — ისეთი დაძაბული და საინტერესო გამომეტყველებით გაიძახოდა კუპრავა, რომელიმე ახალბედა „ავლიპ ზურაბაშვილისთვის“ ფსიქიატრიული პრაქტიკის დასაწყებად ნაღდად სანატრელი ეგზემპლარი იყო.**

და მაინც, ყველაზე მთავარი „ნოუ-ჰაუ“ ამ აქციებისა იყო საყოველთაო-საჯარო და ტექნიკურად კარგად გახმოვანებული დედის გინებების კორიანტელი!

30 წლის განმავლობაში გამართული უამრავი მიტინგი და მანიფესტაცია მახსოვს, მაგრამ ვინმეს ასეთი უხამსობები ეყვიროს მიკროფონში და ასე უმაღლეს დონეზე მომუშავე „დინამიკებში“, რომელთა ხმა ლამის მთელ რუსთაველზე ისმოდა, მსგავს რამეს, დარწმუნებული ვარ, მრავალ ჭირნახული ქართველი საზოგადოება ვერ გაიხსენებს.

ფაქტობრივად, **მიკროფონთან ყოველი მესამე გამომსვლელი ან ვიღაცას აგინებდა დედას, ან ვიღაცას „ბოზობას“ აბრალებდა და დეტალურად ყვებოდა, სად, რა ვითარებაში და ვისთან „ტ...ურობს“ მის მიერ გალანძღული ესა თუ ის ცნობილი პოლიტიკოსი ქალბატონი.**

მოკლედ, ეს იყო უმაღლესი დონის „საუნდით“ გახმოვანებული საჯარო ჭორაობა და დედის გინება, რაც ისევ და ისევ ქართული პოლიტიკის უნიკალურმა მოვლენამ, ზვიად კუპრავამ, დააგვირგვინა, როდესაც წარმოთქვა ფრაზა: **„ოხერია ეს დედა...მ...ული ბიძინა!“** და თქვენ წარმოიდგინეთ, გაიმეორა კიდეც.

ის, რაც გვარამიამ ჩაატარა პროკურატურასთან, რა თქმა უნდა, ცალკე აღნიშვნის ღირსია — შუა მიტინგში ჯერ პრო-

**ვერ გეტყვით, ბიძინა ივანიშვილის მიმართ დაგროვილმა ბოღმამ ქნა ეს თუ სხვა რამ იყო მიზეზი, მაგრამ ფაქტია: ამ ე.წ. არაპოლიტიკურ აქციაზე ფსიქიატრიული პრობლემების მქონე მოქალაქეთა ლამის სრული სპექტრი შეიკრიბა**

კურატურას აგინა უხამსად და უშვერად, შემდეგ კი ვიღაც ქალბატონს ფიზიკური ანგარიშსწორებით დაემუქრა (მგონი, შეეხო კიდეც).

როგორც ჩანს, **ჩვენს ტელემედიას მხოლოდ კორკოტას მიერ წარმოთქმული გინება ესმის, თუნდაც სუფრასთან, ძმაკაცებს შორის წამოცდენილი... და ყველა ქართული ტელევიზიის ეთერში ტრიალებდა დღეში ოცდაათჯერ, „აღშფოთებული“ „ინგაგრიგოლიები“ კი ეკრანებიდან ძვრებოდნენ: ასეთ ხალხს ქვეყანა როგორ უნდა ვანდოთო?!**

გვარამიას გინება კი მხოლოდ ერთხელ გავიდა ეთერში, ისიც „აუცილებელი რეპორტაჟის“ ფარგლებში, კუპრავას გინება მხოლოდ „ლაივში“ მოხვდა და არავის აღარ გაუმეორებია, ხოლო ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარებზე საერთოდ სიტყვაც არ თქმულა... კორკოტას ხუმრობა სოციალურ ქსელში თათია დოლიძის მისამართით — „ამას ჯგუფური სექსი ესიამოვნებაო,“ ჩვენმა „მგრძნობიარე“ ტელემედიამ მსწრაფლ აღიქვა „ჯგუფური გაუპატიურების მუქარად“ და ლამის ერთხმად მოითხოვდა კორკოტას უმძიმესი მუხლებით გასამართლებას... **კუპრავას, კილაძისა და გვარამიას მუქარას კი, ალბათ, არანაირი ფასი არ აქვს. როგორც ჩანს, ტელემედიამ იცის მათი „კეთილი გულის“ ამბავი და დარწმუნებულია, მუქარას არ შეასრულებენ, ამიტომ არიან მშვიდად. აი, ბოროტი კორკოტა, მეგობრებთან ერთად, აუცილებლად გააუპატიურებდა ჯგუფურად თათია დოლიძეს, „ინგაგრიგოლიებს“ რომ არ ევაჟკაცათ და დროზე არ აღეკვეთათ ეს მზაკვრული ჩანაფიქრი.**

სწორედ ის დროა, შევძახოთ — „კაა!“ და გავიხსენოთ ამ აქციების კიდევ ერთი ლეგენდალური სახე, მსახიობი **ლაშა ცუცქირიძე**, რომელმაც ტელესერიალებში თამაშით ვერ მოიპოვა ისეთი პოპულარობა, როგორც ამ ერთი სიტყვის წამოძახებით მიტინგზე. ეს კაცი უდავოდ დაამშვენებდა „ფსიქიატრიული საქართველოს“ ნებისმიერ პალატას.

და არ უნდა გამოგვრჩეს ქალბატონი, რომელმაც პარლამენტარების — **ეკა ბესელიასა** და **გუგული მაღრაძის** საოცარ „თავგადასავლებზე“ უამბო მიტინგზე დამსწრე საზოგადოებას. თანაც ისეთი დეტალებით, რომ, სულ ცოტა, თეთრეულის მრეცხავად მაინც მუშაობს „გოგისვანიძეებში“, ანუ იმ სასტუმრო-რესტორანში, რომელშიც თურმე ჩვენი პარლამენტარი ქალბატონები „დატ**აურობენ“, როგორც ეს ზუსტად ამ სიტყვებით გვითხრა მომიტინგე ქალბატონმა.

უნდა ითქვას, რომ ასეთი სტილის მიტინგებს, რომლებზეც გამომსვლელები მიკროფონებში უშვერად იგინებიან, ამას წინათ რუსთაველზე გამართულმა ნარკომანების აქციამ ჩაუყარა საფუძველი, სადაც პირველად გაისმა „მოდით, მოვუტ*ათ დედის ტ*კი ამ ბნელებს!“ (**დავით კოვზირიძე**, მძიმე კაცი) „მოგიტ*ანთ სალი კლდეები და სახელოვანი წარსული“ (**ანა სუბელიანი**) „მოდით, ბევრი ვიყოთ, რომ მოეტ*ნათ ამათ კარგის ტ*კები“ (**ხათუნა გოგებაშვილი**) „ვიღაც ყ*ე სამართლამდცველები“ **(მათე ხიდაშელი)** და სხვ.

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ნარკომანების აქციაზე 40 წლამდე თაობა მაინც იდგა და შეიძლება ითქვას, ახალგაზრდულ ემოციებს ვერ აკონტროლებდა. შვილმოკლული მამის აქციაზე კი 50-60 წელს მიტანებულმა ხალხმა დაიწყო დედის გინება საჯაროდ და მიკროფონით.

ერთი რამ მახსენდება: 2011 წელს, პოლიტიკაში მოსვლისას, **ბიძინა ივანიშვილმა** თქვა: „მიყვარს ადამიანების თავის ნებაზე მიშვება და მათზე დაკვირვება“. შეიძლება მაშინ ამას ბევრმა არ მიაქცია ყურადღება, მაგრამ მე, როგორც ძირითადი პროფესიით ფსიქოლოგს, ეს ყურში მომხვდა და მას შემდეგ, რაც ივანიშვილი ხელისუფლებაში მოვიდა, მოვლენებს სულ ამ პრიზმიდან ვუყურებ და ვაფასებ...

სხვა საკითხია, რის ფასად უჯდება ეს სახელმწიფოსა და ქვეყანას, როგორი უზნეობის დანერგვას უწყობს ხელს ასეთი მეთოდები საზოგადოებაში, რა უბედურებას მოგვიტანს ყოველივე ეს შორეულ პერსპექტივაში, როგორ უმორალო და საკუთარი მიზნის მისაღწევად ყველაფერზე წამსვლელ თაობებს მივიღებთ? — ამის ჩამოყალიბებას, ერთი გვერდი კი არა, მთელი გაზეთი არ ეყოფა...

ისე კი, როგორც მისი ჰობის აღსრულებისა და შესრულების მასტერკლასი, აქედან პირადი სარგებლის მიღების კოეფიციენტი, შეფასება მხოლოდ ერთია — **ბრავო, ბიძინა!**

**ყველაზე მთავარი «ნოუ-ჰაუ» ამ აქციებისა იყო საყოველთაო-საჯარო და ტექნიკურად კარგად გახმოვანებული დედის გინებების კორიანტელი!**

„უმეცრება — აი, უმთავრესი სენი, რომელიც ჩვენ ძვალ-რბილში გაგვჯდომია, შეუბრალებლად ჰღრღნის სიცოცხლეს“ (ილია).

განათლება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



გოგი გოგოლაშვილი:

# სკოლისთვის აღმზრდელობითი ფუნქციის ჩამორთმევამ მასწავლებელი მხოლოდ ზედამხედველად აქცია

**განათლების სისტემის მთავარი ამოცანა უნდა იყოს ისეთი ადამიანის აღზრდა, რომ ის სახელმწიფოებრივად მოაზროვნე კანონმორჩილი მოქალაქე, ეროვნული და საგანმანათლებლო ღირებულებების მქონე იყოს. არადა, 27 წელია, ეს პრობლემა მუდმივად დგას ქართველი საზოგადოების წინაშე. ვინ დაწერა დედაენა? ვინ დაარსა თბილისი? რომელ საუკუნეში მოღვაწეობდა ილია ჭავჭავაძე? რა ჰქვია პლანეტას, რომელზეც ჩვენ ვცხოვრობთ? — ეს ის კითხვებია, რომლებზეც პასუხის გაცემა უჭირს საქართველოს მოსახლეობის ნაწილს. საქართველოში განათლების დაბალი დონე რომ არის, საერთაშორისო ორგანიზაცია „პისას“ კვლევის შედეგებშიც აისახა. კვლევის თანახმად, საქართველოში მოსწავლეთა 60%-ს მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში საკმარისი კომპეტენცია არ აქვს იმისთვის, რომ სწავლა შემდგომ საფეხურზე განაგრძოს. საქართველოში განათლების რეფორმის დაწყების დღიდან მიმდინარეობს დავა: შეესაბამება თუ არა განათლების სფეროში განხორციელებული ცვლილებები სისტემაში არსებულ რეალობას, როგორ განათლებას ვაძლევდით ბოლო ათწლეულების განმავლობაში მომავალ თაობას და რა განათლებას ვაძლევთ დღეს? ვის სჭირდება საქართველოში განათლების ცუდი სისტემა? — ამ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრა რუსთაველის საზოგადოების განათლების კომიტეტის თავმჯდომარე გოგი გოგოლაშვილი.**

**«ხდება ცვლილება ცვლილებისთვის, მაგრამ ვინმემ თქვა, რომ ცვლილებამ დადებითი შედეგი მოიტანა? შედეგებზე არავინ საუბრობს»**



**«ვინ ზრდის ბავშვს? — ოჯახი, სკოლა, ქუჩა და საზოგადოება. შესაბამისად, ყველა რგოლმა შეთანხმებულლად უნდა იმუშაოს. მშობელი ბავშვს სკოლაში რომ გაუშვებს, მას სკოლის იმედი უნდა ჰქონდეს, მაგრამ, სკოლის კარს რომ გამოსცდება, ვინ უნდა მიხედოს?»**

— რეფორმის მიზანი ყოველთვის არის სისტემისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესება. რეფორმა მაშინ იქნება წარმატებული, თუ მიზანი იქნება გაუმჯობესება და შედეგები — შესაბამისი. რასაც ვუყურებ ბოლო ორ ათწლეულში, ჩვენდა სამწუხაროდ, რეგულარულად მიმდინარეობს რეფორმა-ცვლილებები, მაგრამ შედეგები უარესი და უარესია. ბოლო სამი წელია, დაახლოებით 11 ათასი მოსწავლე ვერ აბარებს გამოსაშვებ გამოცდებს. ჩვენ ისევ ვსაუბრობთ სტანდარტების შეცვლაზე, ახალი სახელმძღვანელობის შექმნაზე, მაგრამ ის ახალი სტანდარტი მომცემს შედეგს? ვინ გამოიკვლია, რომ ასეთი მწარე შედეგები ძველი სტანდარტების ბრალია? სტატისტიკის გასაუმჯობესებლად უკვე თამასას დაბლა წევენ და მინიმალურ ზღვარს ამცირებენ.

— **რატომ ვერ ხერხდება შედეგზე ორიენტირებული რეფორმების განხორციელება? რა არის ამის რეალური მიზეზი, არაკომპეტენტური ხელმძღვანელები ხომ არა?**

— განათლების სისტემას სათავეში ჩაუდგა ნამდვილად პროფესიონალი და განათლების საქმის კარგი მცოდნე ბატონი **მიხეილ ჩხენკელი.** მას საინტერესო ხედვა და დიდი გამოცდილება აქვს. წლის დასაწყისში მინისტრმა განცხადა, რომ სკოლებში უნდა დაბრუნდეს რელიგიის ისტორიის სწავლება, ჩვენც მხარში უნდა ამოვუდგეთ, როცა ასეთი პროგრესული ინტერესები ჩნდება. დიახ, **არაპროფესიონალიზმი, ვიწრო პარტიული და კლანური ინტერესები დაღუპავს ქვეყანას.** განთლების სამინისტრო არის უზარმაზარი სისტემა, ზევით ცვლილება განხორციელდა მინისტრის დონეზე, მაგრამ ქვედა რგოლებში ცვლილება მოხდა? არ ვიცი, რა ვალდებულება აქვს იმ კადრის მიმართ ვიღაცას, როცა ვერ ელვევა მას და უკეთესით ჩანაცვლების საკითხს არ სვამს, მაგრამ ვიცი, რომ ამით საქმე ფუჭდება.

— **სხვა მინისტრებზე რას იტყვით, თუ გახსენდებათ მათ მიერ გატარებული რეფორმა, რომელმაც დადებითი შედეგი მოგვცა?**

— **ალექსანდრე კარტოზია,** რომელიც სისტემას 6 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა 2003 წლამდე, დაინტერესებული იყო, რომ განათლების სფერო წარმატებული ყოფილიყო. ის უსმენდა აკადემიური წრეების რჩევებს, მაგრამ დევნა დაუწყეს და ამის შემდეგ დაიწყო მინისტრების შეცვლის მარათონი: სასჯელაღსრულების სამინისტროს მინისტრი გადმოიყვანეს განთლების სისტემაში, შედეგად, კურიოზული შემთხვევების მოწმეები ვიყავით. გაჩნდა ეჭვი, რომ ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რომ დაცემულიყო განთლების დონე. ამის რამდენიმე ფაქტს გაგახსენებთ: როდესაც განათლების მინისტრად **ალექსანდრე ლომაია** მოვიდა, მან და განათლების საპარლამენტო კომიტეტის იმჟამინდელმა თავმჯდომარე **ლევან ბერძენიშვილმა** გამართეს ბრიფინგი, რომელზეც ისაუბრეს იმ კვლევაზე, რომელიც ჩაატარეს, რომ საქართველოს მასშტაბით მეხუთეკლასელების უმეტესობამ წერა-კითხვა არ იცოდა. მაშინ ჩვენ დავსვით ასეთი კითხვა: თუ მეხუთეკლასელმა ბავშვმა არ იცის წერა-კითხვა, არც მეოთხე, მესამე და მეორე კლასში იცოდა, და რატომ მოვიდა მეხუთე კლასამდე, ვის ინტერესებში უნდა ყოფილიყო კატასტროფული სტატისტიკის გასაჯაროვება? ეს იყო პოლიტიკური ინტერესები.

— **რას გულისხმობთ?**

— საქართველო აღიარებული იყო ე.წ. განვითარებად ქვეყნად, მოგეხსენებათ, განვითარებადი ქვეყანა საერთაშორისო დახმარებებსა და გრანტებს იღებს. ამიტომ უნდოდათ, მსოფლიოსთვის დაენახვებინათ, რომ განათლებითა და ეკონომიკით განვითრებადი ქვეყანა ვიყავით, ამიტომ მიზანმიმართული ნგრევა დაიწყეს განთლების სისტემის, მეცინერების, შედეგიც სავალალო მივიღეთ.

— **დღეს სკოლაში მასწავლებელი, ფაქტობრივად, ზედამხედველის როლში გამოდის და არა აღმზრდელის...**

— **იაკობ გოგებაშვილმა**, რომელმაც მე-19 საუკუნეში შექმნა ქართული ეროვნული განათლების სისტემა, განაცხადა, რომ ეროვნულ საგანმანათლებლო სისტემას საფუძვლად უნდა დაედოს ორი მთავარი პრინციპი: **ეროვნულობა და ზნეობრიობა.** ამ ორი პრინციპის საფუძველზე უნდა აიგოს საგანმანათლებლო სისტემა. სასკოლო სახელმძღვანელოში შეტანილი მასალის ანალიზის საფუძველზე ვხედავთ, რომ ზნეობრივი საკითხი საერთოდ მოშლილია. მასწავლებელი იქცა ზედამხედველად და არა აღმზრდელად. ხდება ცვლილება ცვლილებისთვის, მაგრამ ვინმემ თქვა, რომ ამ ცვლილებამ დადებითი შედეგი მოგვიტანა? ან შედეგებზე ვინ საუბრობს? — შედეგი უნდა იყოს განთლებული თაობა და, როგორც გოგებაშვილი იტყოდა, ზნეობრივად უნდა აღვზარდოთ განათლებასთან ერთად. **საბჭოთა სკოლას ჰქონდა თავის იდეოლოგიური ლაფსუსები და უარყოფითი მხარეები, მაგრამ საბჭოთა სკოლაში ბევრი რამ იყო დადებითი.**

— **რა იყო ის დადებითი?**

— საბჭოთა პერიოდში სკოლადამთავრებულ ბავშვს საშუალო განათლება გაცილებით უკეთესი ჰქონდა, ვიდრე ახლა. ქართულ ლიტერატურას უკეთ იცნობდა და ენასაც. როდესაც 1960-იან წლებში საბჭოთა კავშირმა გაუსწრო ამერიკის შეერთებულ შტატებს კოსმოსის ათვისებაში, ამერიკის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა დაიბარა სწავლულები და მისცა დავალება, რომ შეესწავლათ მიზეზები, რატომ გაუსწრო საბჭოთა კავშირმა აშშ-ს კოსმოსის ათვისებაში. **ამერიკელი მეცნიერების დასკვნით, საბჭოთა განათლების სისტემა გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე ამერიკის.** ამერიკელებს ეს სადავოდ არ გაუხდიათ, უბრალოდ, დასახეს ღონისძიებები. რა იყო ეს ღონისძიებები: 1970-იანი წლებიდან დაიწყეს ტვინების ე.წ. გადაქაჩვა და გადაიბირეს კარგი სპეციალისტები, შედეგად მთვარეზე კაცი დასვეს, ანუ აღიარეს თავიანთი შეცდომები. ჩვენ კი რა შევისწავლეთ, მსგავსი კვლევა არსებობს? **დღეს ვინც კი არის კარგი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, ხელოვანი თუ მწერალი — ყველამ საბჭოთა სკოლა გაიარა.**

— **სკოლებში თანატოლებს შორის ჩხუბი და დაპირისპირება ყოველთვის იყო, მაგრამ დღეს სასწავლო დაწესებულებებში საკმაოდ მძიმე შემთხვევები მოხდა — ხორავას ქუჩაზე ორი მოზარდი სკოლის გვერდით ეზოში სასიკვდილოდ დაჭრეს...**

— ვინ ზრდის ბავშვს? — ოჯახი, ქუჩა, სკოლა და საზოგადოება. შესაბამისად, ყველა რგოლმა შეთანხმებულად უნდა იმუშაოს. მშობელი ბავშვს სკოლაში რომ გაუშვებს, მას სკოლის იმედი უნდა ჰქონდეს, მაგრამ, სკოლის კარს რომ გამოსცდება, ვინ უნდა მიხედოს? — ყველგან უნდა იყოს ჯანსაღი თვალი, რომელიც ბავშვის აღზრდას დააკვირდება.

— **განათლების სისტემას რა ეშველება?**

— ვინც ამ სფეროს აბრკოლებს, უნდა მოვაშოროთ. უნდა გაანალიზდეს, საით მივდივართ, რა გვქონდა, რა გვაქვს და რა გვინდა მომავალში. ცხადია, თუ ასე გაგრძელდა განათლების სფეროში, უკეთესობისკენ ნამდვილად ვერ წავალთ; ვერ დავასახელებ ვერც ერთ მოვლენას, რომელზეც შემიძლია ვთქვა: ეს არის უკეთესი იმაზე, რაც იყო ადრე-მეთქი. **მე-19 საუკუნეში შეიქმნა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელმაც გააკეთა უზარმაზარი საქმე. დღეს დავსვით საკითხი, რომ შევქმნათ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ილია ჭავჭავაძე წერდა: „უმეცრება — აი, უმთავრესი სენი, რომელიც ჩვენ ძვალ-რბილში გაგვჯდომია, შეუბრალებლად ჰღრღნის სიცოცხლეს. ეს არავისთვის საიდუმლო არ არის. თვითონ ცხოვრება ხმამაღლა ღაღადებს. ჩვენს ცხოვრებაში ისე ფეხს ვერ გადასდგამთ, რომ უმეცრების კვალს ზედ არ წააწყდეთ, რომ უმეცრების მწარე ნაყოფმა თავისი გემო არ გაგაგებინოთ“.**

ესაუბრა **სოფო კაკაჩია**

**ცნობისთვის: საქართველოს განათლების მინისტრი, რომელიც სისტემას ყველაზე დიდხანს, 6 წელი, მართავდა (1998-2004), იყო გერმანისტი ალექსანდრე კარტოზია. სწორედ მისი მინისტრობისას დაიწყო განათლებაში ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმები. ჩაფიქრებული იდეების განხორციელება ხელისუფლების ცვლამ გადაავადა. კარტოზია მოხსნეს, მისი ადგილი კი ალექსანდრე ლომაიამ დაიკავა (2004-2007 წწ.), შემდეგ იყო გია ნოდია (2008 წ.), რომელიც ნიკა გვარამიამ (2009 წ.) შეცვალა; დიმიტრი შაშკინი (2009-2012) — ხატია დეკანოიძემ (2012 წ.), გიორგი მარგველაშვილი (2012-2013 წწ.) — თამარ სანიკიძემ (2013-2016 წწ.). შემდეგ იყო ალექსანდრე ჯეჯელავა (2016 -2017 წწ.), რომელიც მიხეილ ჩხენკელმა (2017 წლიდან დღემდე )შეცვალა. ის დამოუკიდებელი საქართველოს მე-16 განთლების მინისტრია, რომელსაც აკადემიურ წრეებში იმედით შეჰყურებენ.**

ახალი მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ამერიკა აღარ იქნება „ყულაბა“, რომელსაც ყველა ძარცვავს“. ტრამპის განცხადებით, ახალი საბაჟო გადასახადების დაწესების შემდეგ აშშ-ის პარტნიორების საპასუხო ზომები „სასაცილო და მიუღებელია“.**

# ბუნტი «შვიდეულში»

## ტრამპმა კანადის პრემიერი სიცრუეში დაადანაშაულა, ნატოს გენმდივანი კი ალიანსის წევრებს შორის «სერიოზულ უთანხმოებაზე» ალაპარაკდა

**8-9 ივნისს კვებეკის პროვინციის (კანადა) რეგიონ შარლევუას კურორტ ლა მალბეში გაიმართა „დიდი შვიდეულის“ 44-ე სამიტი, რომელზეც გამოჩნდა, რომ „მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკების ელიტურ კლუბს“, როგორც მას ადრე მოიხსენიებდნენ ჟურნალისტები, რბილად რომ ვთქვათ, კარგი პერიოდი არ უდგას.**

ტრამპის მიერ თეთრი სახლის ზღურბლზე გადაბიჯებიდან 500 დღის შემდეგ აშკარაა, რომ აშშ-ის 45-ე პრეზიდენტს განზრახული აქვს, უარი თქვას გლობალიზმის ბევრ პრინციპზე.

**ჟურნალისტებმა ტრამპის მოქმედებას სამიტზე უკვე უწოდეს „სავაჭრო ომი“.** თავდაპირველად, ბევრი ევროპული ქვეყანა, კანადა და იაპონია იმედოვნებდნენ, რომ აშშ-ის ლიდერს დაარწმუნებდნენ, არ დაეწესებინა იმპორტზე საბაჟო გადასახადები ამერიკის ბაზრის დაცვის მიზნით. მეტიც, აშშ-ის ჩრდილოელი მეზობელი ყველანაირად ცდილობდა, გაეჭიანურებინა მოლაპარაკებები თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების (NAFTA) განახლების შესახებ და იმედოვნებდა, რომ ტრამპი ბოლო მომენტში უკან დაიხევდა.

**შედეგი — NAFTA, ფაქტობრივად, აღარ არსებობს.**

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა კანადის პრემიერი **ჯასტინ ტრიუდო** სიცრუეში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ განკარგულება გასცა, აშშ-ის წარმომადგენლებმა ხელი არ მოაწერონ G7-ის სამიტის შემაჯამებელ კომუნიკეს. ტრამპმა სიცრუე უწოდა ტრიუდოს განცხადებას, რომ G7-ის ყველა წევრმა შეათანხმა შემაჯამებელი კომუნიკე. მან კანადა ასევე დაადანაშაულა „მასშტაბური საბაჟო გადასახადების დაწესებაში ამერიკელი ფერმერების, მუშებისა და კომპანიების მიმართ“.

**აშშ-ის პრეზიდენტის განცხადებით, ტრიუდოსთან ურთიერთობა იყო „ხანმოკლე და რბილი“, მაგრამ, როგორც კი თეთრი სახლის მეთაურმა დატოვა სამიტი, კანადის პრემიერმა განაცხადა, რომ აშშ-ის მიერ დაწესებული საბაჟო გადასახადები შეურაცხმყოფელია და რომ „არ დაუშვებს, ვიღაც ისე მოეპყრას, როგორც სულელს“.**

G7-ის შემაჯამებელ კომუნიკეში ნათქვამია, რომ კლიმატის შესახებ პარიზის შეთანხმების შესრულებაზე თანხმობა დაადასტურეს G7-ის ქვეყნების ლიდერებმა, აშშ-ის გარდა. კანადამ, საფრანგეთმა, გერმანიამ, იტალიამ, იაპონიამ, დიდმა ბრიტანეთმა და ევროკავშირმა განცხადეს, რომ განზრახული აქვთ, „იმუშაონ ყველა რელევანტურ პარტნიორთან“ და იბრძოლონ კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ. ტრამპმა სამიტზე კიდევ ერთი სიურპრიზი მოამზადა და განაცხადა, რომ „შვიდეულს“ უნდა დაუბრუნდეს რუსეთი და, შესაბამისად, აღდგეს „დიდი რვიანი“. არადა, სწორედ აშშ უბიძგებდა ევროპელ პარტნიორებს, მოსკოვის მიმართ ხისტი პოლიტიკა გაეტარებინათ, სანქციები შემოეღოთ და ა.შ. ახლა ყველაფერი თავდაყირა დადგა — **ტრამპი „დიდი რვიანის“ აღდგენას მოითხოვს, ხოლო საფრანგეთი, გერმანია და დიდი ბრიტანეთი ამას ეწინააღმდეგებიან.**

**„G7-ის ქვეყნებს შორის უთანხმოება გრძელდება, — განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა, — კანადის ქალაქ კვებეკში გამართულმა სამიტმა ვერ შეძლო ყველა უთანხმოების მოგვარება,** თუმცა G7-ის წევრებს შესაძლებლობა მისცა, არსებული დაძაბულობის პირობებში შეენარჩუნებინა ერთობა ყველა იმ საკითხში, რომლებშიც ეს შესაძლებელი იყო“.

მაკრონმა აღნიშნა, რომ კანადაში G7-ის შეხვედრის შედეგი იმაზე უკეთესია, ვიდრე ელოდებოდნენ.

**აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ამერიკა აღარ იქნება „ყულაბა“, რომელსაც ყველა ძარცვავს“.**

ტრამპის განცხადებით, ახალი საბაჟო გადასახადების დაწესების შემდეგ აშშ-ის პარტნიორების საპასუხო ზომები „სასაცილო და მიუღებელია“.

„ეს შეწყდება ან ჩვენ შევწყვეტთ მათთან ვაჭრობას. ჩვენ ვართ, როგორც ღორი-ყულაბა, რომელსაც ძარცვავენ, მაგრამ ეს დასრულდება“, — განაცხადა დონალდ ტრამპმა.

ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ მსოფლიოს ლიდერები თავს იკავებდნენ ტრამპის საჯარო კრიტიკისგან. უთანხმოებაზე საუბრისას, ისინი იმედოვნებდნენ, რომ მიაღწევდნენ ურთიერთგაგებას ვაშინგტონთან და ხაზს უსვამდნენ აშშ-ის მნიშვნელოვან როლს თანამედროვე მსოფლიო წესრიგში, მაგრამ კანადის სამიტის წინ რიტორიკა გამკაცრდა. თავდაპირველად, პოლიტიკური ექსპერტები თეთრ სახლს მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკების ფორუმებზე იზოლაციით აშინებდნენ, შემდეგ მიხვდნენ, რომ ტრამპი მაინცდამაინც შეშფოთებული არ არის ასეთი იზოლაციით.

და „შვიდეულის“ ლიდერების მოთმინების ფიალა აივსო. **7 ივნისს ოტავაში ერთობლივ პრესკონფერენციაზე კანადის პრემიერმინისტრი ჯასტინ ტრიუდო და საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი ერთმანეთს ასწრებდნენ, ეთქვათ, რომ მზად არიან, „ყველაფერი გააკეთონ ტრამპის გარეშე“.**

მაკრონმა განაცხადა: **„ამბობთ, რომ აშშ-ის პრეზიდენტისთვის ყველაფერი სულერთია? შეიძლება, მაგრამ ლიდერებიდან მუდმივი არავინ არის. G7-ის დანარჩენი 6 წევრი ერთობლივად შექმნის იმაზე დიდ ბაზარს, ვიდრე ამერიკულია. შეიძლება აშშ-ის პრეზიდენტს მართლაც არ ადარდებს იზოლაციაში დარჩენა. რა გაეწყობა, არც ჩვენ ვუფრთხით ექვსეულად დარჩენას, იმიტომ, რომ ეს ექვსეული განასახიერებს ჩვენს ფასეულობებს, საბაზრო ეკონომიკას და, რაც მთავარია, ის არის საერთაშორისო დონეზე მთავარი ძალა**“.



G7: როგორ წაეჩხუბა ტრამპი მოკავშირეებს

**დიდი შვიდეულის ქვეყნებში სერიოზული განხეთქილებაა და G7-ის წევრები ისე იქცევიან, როგორც ივანე კრილოვის ცნობილი იგავის პერსონაჟები — გედი, კიბო და ქარიყლაპია, რომლებიც სხვადასხვა მხარეს ექაჩებიან დატვირთულ ფორანს და ცდილობენ, იქით გააგორონ, საითაც ხელს აძლევს თითოეულ მათგანს**

კარგი ნათქვამია, გამბედაობით აღსავსე, მაგრამ არის კი ერთიანი ევროპა (კანადასა და იაპონიასთან ერთად) მზად, თავისი გამბედაობით განზე გაწიოს აშშ? შეძლებენ კი „დარჩენილი ექვსის“ ლიდერები ლიბერალური მსოფლიო წესრიგის შენარჩუნებას ამერიკის გარეშე?

**საერთოდ, დარჩა კი G7-ში 6 თანამოაზრე ქვეყანა?** მას შემდეგ, რაც იტალიაში ევროსკეპტიკოსებისგან ჩამოყალიბდა ახალი მთავრობა, ევროპის ერთიანობას წყალი შეუდგა. პრობლემა ისიც არ არის, რომ იტალიის პრემიერმინისტრი **ჯუზეპე კონტე** თანამიმდევრულად მიისწრაფვის ანტირუსული სანქციების გაუქმებისკენ.

ბერლინისთვის, პარიზისა და ბრიუსელისთვის გაცილებით სახიფათოა იტალიის ახალი მთავრობისა და საპარლამენტო უმრავლესობის მისწრაფება, თუ ევროკავშირიდან დაუყოვნებლივ არ გავლენ, იმაზე მეტი დამოუკიდებლობა მოიპოვონ სოციალურ-ეკონომიკურ და საგარეო პოლიტიკურ საკითხებში, ვიდრე ეს გლობალისტური მოდელით არის გათვალისწინებული.

ტრამპის მიმართ მკვეთრი განცხადებები, შესაძლოა, იმიტომაც გაისმა, რომ „შვიდეულში“ განხეთქილების კიდევ ერთი საფრთხე გაჩნდა — ამჟამად იტალიის მხრიდან.

ნატოს გენერალური მდივანი **იენს სტოლტენბერგი** სამხედრო ალიანსის წევრთა შორის „სერიოზულ უთანხმოებაზე“ ალაპარაკდა.

„ჩვენ ვხედავთ უთანხმოებას ვაჭრობისა და კლიმატის ცვლილებების საკითხებში, ირანთან ბირთვულ გარიგებაში. ეს კი სერიოზული უთანხმოებაა ნატოს წევრ ქვეყნებს შორის“, — განაცხადა სტოლტენბერგმა ბრიუსელში ნატოს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრის წინ.

გერმანიის კანცლერი **ანგელა მერკელი** ადრეც მოუწოდებდა ევროკავშირს, აშშ-ის იმედი არ ჰქონოდა და შეექმნათ ნატოს მსგავსი სტრუქტურა ამერიკის გარეშე. ნატოს შექმნის წინ, 1948-1949 წლებში, ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა აშშ-ის გარეშე ევროპის უსაფრთხოების კოლექტიური სისტემის არსებობის. მით უმეტეს, არ არსებობს საფუძველი, რომ საერთო ევროპულმა არმიამ დღეს შეძლოს ამერიკული სამხედრო ქოლგის შეცვლა, ყოველ შემთხვევაში, ევროპის პოლიტიკური ინსტიტუტის რადიკალურად გარდაქმნის გარეშე.

**მაკრონსა და მერკელს კი არაფრის გარდაქმნა-გადაკეთება არ სურთ; პირიქით — მაქსიმალურად ეწინააღმდეგებიან ცვლილებებს, რომლებსაც ითხოვენ ევროსკეპტიკოსი პოლიტიკოსების სულ უფრო მზარდი ამომრჩევლები.**

როგორც ხედავთ, დიდი შვიდეულის ქვეყნებში სერიოზული განხეთქილებაა და G7-ის წევრები ისე იქცევიან, როგორც ივანე კრილოვის ცნობილი იგავის პერსონაჟები — გედი, კიბო და ქარიყლაპია, რომლებიც სხვადასხვა მხარეს ექაჩებიან დატვირთულ ფორანს და ცდილობენ, იქით გააგორონ, საითაც ხელს აძლევს თითოეულ მათგანს და, რა თქმა უნდა, არაფერი გამოსდით — ტვირთი კვლავ ძველ ადგილზე რჩება, რადგან „მეგობრებს“ შორის თანხმობა არ არის. სწორედ ასეა ამჟამად G7-შიც. მისი წევრი ყველა ქვეყანა, უწინარესად, **აშშ, თავისკენ ექაჩება სასიცოცხლო რესურსებს, რომლებიც უკვე არავის აღარ ჰყოფნის.**

**ამ ფონზე გაუგებარია საქართველოს ხელისუფლების პირველი პირების განცხადებები, რომლებიც, უკვე ათეული წლებია, არ იცვლება და, რომლებიც ნატოსა და ევროკავშირში ნებისმიერ ფასად (თუნდაც ტერიტორიების დათმობის) შესვლისკენ მოწოდებაა რუსეთთან ურთიერთობის გაუარესების ფასად. არადა, დასავლეთს თავისი გასჭირვებია და, თუ საქართველოს საფრთხე დაემუქრება, ისე დაგვიცავს, როგორც, მაგალითად, ერთა ლიგამ დაგვიცვა გასული საუკუნის 20-იან წლებში ან ნატომ და ევროკავშირმა — 2008 წლის აგვისტოში.**

უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

**თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაციის სამიტის შემაჯამებელი დოკუმენტი იყო დეკლარაცია — 14-გვერდიანი დოკუმენტი, რომელიც ეძღვნება თანამედროვე მსოფლიოს გლობალურ დღის წესრიგს, მათ შორის, ვითარებას ავღანეთში, სირიაში, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ვითარებას მსოფლიოს ეკონომიკაში, პროტექციონიზმთან ბრძოლის საკითხებს, საინფორმაციო და საკომუნიკაციო სფეროში თანამშრომლობას.**

ახალი მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უთანხმოება დასავლეთის წამყვან ქვეყნებში თანდათან იზრდება

# თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაციის ქვეყნები ნაყოფიერად თანამშრომლობენ



**8-10 ივნისს, იმ დღეებში, როცა კანადაში გამართულ G7-ის სამიტზე მისმა წევრებმა კინაღამ დაჭამეს ერთმანეთი, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას სტუმრობდა. სხვათა შორის, ეს იყო ამ ქვეყანაში რუსეთის პრეზიდენტის მე-19 ვიზიტი, რომელიც მძლავრ ბიძგს მისცემს მოსკოვსა და პეკინს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავება-განვითარებას.**
**8-10 ივნისს გამართულმა 2 სამიტმა მსოფლიოს დაანახვა, რომ G7 ღრმა კრიზისშია, თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაცია კი აღმავლობის გზაზე დგას.**



**თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საერთო ტერიტორია 34 მლნ კვ.კმ-ს შეადგენს — ევრაზიის 60%-ს; მისი წევრი ქვეყნების მოსახლეობის საერთო რაოდენობა 3 მლრდ 40 მლნ ადამიანია — პლანეტის მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი; ამ ორგანიზაციის წევრების საერთო მშპ მსოფლიოს მშპ-ს მეოთხედს შეადგენს**



„პუტინი არის ადამიანი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე რუსულ-ჩინურ ურთიერთობებს. მან უდიდესი წვლილი შეიტანა ჩინეთისა და რუსეთის მეგობრობაში“, — განაცხადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ვენ შუანმა**, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის, **სი ძინპინის**, მიერ რუსეთის პრეზიდენტის ჩინეთის უმაღლესი ჯილდოთი — ხალხთა მეგობრობის ორდენით — დაჯილდოების შემდეგ.

ჩინეთში ვლადიმერ პუტინის ვიზიტი ორი ფორმატით წარიმართა — სახელმწიფო ვიზიტი პეკინში და თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაციის (თშო) სამიტში მონაწილეობა ცინდაოში. მიუხედავად ბევრი საინტერესო ღონისძიებისა (მათ შორის, ორი ლიდერის ერთობლივი მგზავრობა ჩქაროსნული მატარებლით და ჰოკეის მატჩზე დასწრება), ვიზიტის ყველაზე მნიშვნელოვან მომენტად შეიძლება ჩაითვალოს რუსეთის პრეზიდენტის დაჯილდოება ჩინეთის უმაღლესი ჯილდოთი — ხალხთა მეგობრობის ორდენით, იმიტომ, რომ ამ ღონისძიებამ ყველაზე უკეთ წარმოაჩინა ორი ხალხისა და ორი პრეზიდენტის ურთიერთობის დონე.

სამდღიანი ვიზიტის შეჯამებისას პუტინმა მადლობა გადაუხადა სამიტის ორგანიზატორებს მეგობრული ატმოსფეროს შექმნისთვის.

„მინდა, მადლიერება გამოვხატო ჩინელი ხალხის, ჩინეთის ხელმძღვანელობის, თავმჯდომარე **სი ძინპინის** მიმართ, განსაკუთრებით თბილი მიღებისთვის ჩემი ოფიციალური ვიზიტისას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. ყველაფერი ორგანიზებული იყო მეგობრულად, თბილად და შედეგიანად“, — განაცხადა პუტინმა პრესკონფერენციაზე.

**რუსეთის ლიდერმა ხაზი გაუსვა რუსეთისა და ჩინეთის ურთიერთობის განვითარების მნიშვნელობას არა მხოლოდ ამ ორი ქვეყნისთვის, არამედ სრულიად მსოფლიოსთვის.**

პუტინმა ილაპარაკა ვიზიტისას ხელმოწერილ დოკუმენტებზე: **„ჩვენ დავადასტურეთ ჩინეთთან ურთიერთობის ძალიან მაღალი დონე, მოვილაპარაკეთ და სი ძინპინთან ერთად ხელი მოვაწერეთ ერთობლივ დეკლარაციას სამომავლო თანამშრომლობის, სხვადასხვა მუქარის წინააღმდეგ ერთობლივად ბრძოლის შესახებ“. ამასთანავე, მიმდინარე სამუშაოებთან ერთად, რომლებიც ძალიან ბევრია, არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებებიც. მათგან ერთ-ერთია ჩვენი ურთიერთქმედება საერთაშორისო არენაზე, საერთაშორისო ორგანიზაციებში — გაეროში, „ოცეულში“, ბრიქს-ში (ორგანიზაცია, რომელიც შექმნა 5 სახელმწიფომ: ბრაზილიამ, რუსეთმა, ინდოეთმა, ჩინეთმა, სამხრეთ აფრიკამ — გ.გ), თშო-ში“.** რუსეთის პრეზიდენტმა განსაკუთრებით აღნიშნა რფ-ისა და ჩინეთის წარმატებული თანამშრომლობა ეკონომიკურ სფეროში. „ვაჭრობის ბრუნვამ შარშან 87 მლრდ შეადგინა და, თუ მომავალშიც ასე წარიმართება ყველაფერი, და დღეს სწორედ ასეა, ჩვენ შორის სავაჭრო ბრუნვის მოცულობა 100 მლრდ-ს მიაღწევს“, — განაცხადა რუსეთის ლიდერმა და დასძინა, რომ თანამშრომლობის სხვა სფეროებს შორის უმნიშვნელოვანესია ენერგეტიკა (მათ შორის, ატომური), მონაწილეობა ჩინეთის მთვარის პროგრამაში, სადაც გამოყენებული იქნება ბევრი მოწინავე ტექნოლოგია, ავიამშენებლობა, სატრანსპორტო დერეფნები და სხვ.

ამ საკითხებზე დიალოგს პუტინი და სი ძინპინი განაგრძობენ აღმოსავლეთის ეკონომიკურ ფორუმზე, რომელიც 11-13 სექტემბერს გაიმართება ვლადივოსტოკში.

## თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაციის შემაჯამებელი დოკუმენტი

თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაციის სამიტის შემაჯამებელი დოკუმენტი იყო დეკლარაცია — 14-გვერდიანი დოკუმენტი, რომელიც ეძღვნება თანამედროვე მსოფლიოს გლობალურ დღის წესრიგს, მათ შორის — ვითარებას ავღანეთში, სირიაში, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ვითარებას მსოფლიოს ეკონომიკაში, პროტექციონიზმთან ბრძოლის საკითხებს, საინფორმაციო და საკომუნიკაციო სფეროში თანამშრომლობას.

თშს-ს ქვეყნების მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილებით, დამტკიცდა 2018-2022 წლების სამოქმედო გეგმა გრძელვადიანი ღონისძიებების სარეალიზაციოდ. ლიდერებმა, აგრეთვე, დაამტკიცეს თშო-ს წევრი ქვეყნების ანტინარკოტიკული სტრატეგია 2018-2023 წლებში.

## G7 და თშო

სამიტის მუშაობაზე საუბრისას რუსეთის პრეზიდენტმა ყველას შეახსენა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემები, რომ თშო-ს ქვეყნების ერთობლივმა ეკონომიკამ მოცულობითა და მსყიდველუნარიანობით უფრო მოიმატა, ვიდრე „შვიდეულის“ ქვეყნების ეკონომიკამ.

„და, თუ გავიხსენებთ, რომ ამ რეგიონის ეკონომიკის ზრდის ტემპი გაცილებით მაღალია მსოფლიოს ეკონომიკასთან შედარებით, შეიძლება ითქვას, რომ თშო-ს ქვეყნების პერსპექტივა ძალიან კარგია“.

მოკლედ, G7-ის წევრებისგან განსხვავებით, თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაციის წევრებმა ნაყოფიერად იმუშავეს და უახლოესი 5 წლის თანამშრომლობის გრანდიოზული გეგმებიც დასახეს.

## რა არის თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაცია

თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაცია (თშო) — ეს არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც 2001 წელს დააარსეს ჩინეთის, რუსეთის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთისა და უზბეკეთის ლიდერებმა. 2017 წლის 9 ივნისს ამ ორგანიზაციის წევრები გახდნენ ინდოეთი და პაკისტანი.

**თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საერთო ტერიტორია 34 მლნ კვ.კმ-ს შეადგენს — ევრაზიის 60%-ს; მისი წევრი ქვეყნების მოსახლეობის საერთო რაოდენობა 3 მლრდ 40 მლნ ადამიანია — პლანეტის მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი; ამ ორგანიზაციის წევრების საერთო მშპ მსოფლიოს მშპ-ს მეოთხედს შეადგენს.**

თშო არ არის სამხედრო ბლოკი (როგორც, მაგალითად, ნატო). ამ ორგანიზაციის მთავარ ამოცანად გამოცხადებულია წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცება; ტერორიზმთან, სეპარატიზმთან, ექსტრემიზმსა და ნარკოტრაფიკთან ბრძოლა; ეკონომიკური თანამშრომლობისა და ენერგეტიკული პარტნიორობის განვითარება; სამეცნიერო და კულტურული თანამშრომლობა.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სპექტაკლი, რომელიც 31 მაისიდან რუსთაველის პროსპექტზე იდგმებოდა, თავისი შინაარსითა და შემაძრწუნებლობით არაფრით ჩამოუვარდებოდა სოფოკლეს ტრაგედია „ოიდიპოს მეფეს“, რომლის მთავარმა გმირმა მამა მოკლა, დედაზე კი იქორწინა. ოიდიპოსის ტრაგედია გენიალურმა ავტორმა გადმოსცა, მაგრამ ვინ უნდა გადმოსცეს ეროვნული სულიერების დამცრობისა და ადამიანური სისუსტეების ეს ამაზრზენი ნიაღვარი? ვინ აღწერს იმ სიბინძურეს, სიფლიდეს, ყალბ ცრემლს, ვერაგულ თანადგომას, ნიღბების სიმრავლეს, გულში ჩაბუდებული შხამისა და ბოღმის გადმონთხევის სურვილს, ვნებააშლილი მდედრების როკვას სიწმინდეებზე?**

# «რომ აშენო — უნდა იცოდე, რომ იცოდე — უნდა ისწავლო»

**სტალინის ეს 90 წლისწინანდელი (1928 წლის მაისი) ცნობილი გამონათქვამი სათაურად იმიტომ გამოვიტანე, რომ დღეს, 2018 წელს, საქართველოში შექმნილ ვითარებას ზუსტად მიესადაგება. ყველა ერის მომავალი მის წარსულში დევს. გამონაკლისი, ალბათ, არც ქართველი ერია. დღეს მსოფლიოს მმართველი ფარული ხელი მილიარდებს არ ზოგავს „გლობალიზაციისთვის“ და ერებს თავს ახვევს ყოვლად მიუღებელი ცხოვრების წესებსა და კანონებს. ძლიერნი ამა ქვეყნისანი ადამიანებს მიერეკებიან ცხოველთა სამყაროში და ცდილობენ, ცივილიზაციის ისტორიის ბორბლის უკან დატრიალებას, ძალისხმევას არ იშურებენ სოდომიისა და საერთოდ სექსუალური გარყვნილების დასამკვიდრებლად.**




**ბატონო ბიძინა, თუ გინდათ, რომ მტკიცედ გეჭიროთ საჭე და მართოთ საქართველო, იცოდეთ, რომ სრულიად უსაფუძვლოდ გადააყენეთ და განტევების ვაცად აქციეთ მთავარი პროკურორი. ეს შეცდომა თქვენვე უნდა გამოასწოროთ და ირაკლი შოთაძე დააბრუნოთ თავის ადგილზე. ასე თითო ბარტყის გადაგდებით მალე დაგიცარიელდებათ ბუდე და შემდეგ მოიტანენ იმ ცულს, «ცუნცულას», რომლითაც ძირში მოჭრიან თქვენ მიერ დარგულ და ნალოლიავებ ხეს**

სხვადასხვა კონტინენტზე, სხვადასხვა გრძედსა თუ განედზე მობინადრე ცხოველებსა და ადამიანებს ცხოვრების სხვადასხვა წესი აქვთ და მათი ერთ სისტემაში მოყვანა ბუნების კანონების საწინააღმდეგო მოქმედებაა. ერები და ხალხები, თავიანთი განვითარების შესაბამისად, თვითონ შეცვლიან თავიანთი ცხოვრების წესს, რომლებიც ბუნებრივი გზით მისთვის კანონი გახდება. დღეს მიმდინარე პროცესები არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქვეყანა შენდება და სახელმწიფოებრიობა მტკიცდება. სახელმწიფო აპარატი ნებისმიერ ქვეყანაში დამსჯელი მექანიზმია, რათა სხვადასხვა ხასიათისა და ტიპის ადამიანები განაწყოს ერთი მიმართულებით და ერთი მიზნის მისაღწევად. **ამერიკელს უყვარს თავისი ამერიკა, ისევე, როგორც ინგლისელს — ინგლისი და ფრანგს — საფრანგეთი. ჩუქჩები თავიანთ ქვეყანას, რომელიც მარადიულ ყინულებშია მოქცეული, „მზიურ ჩუქჩიას“ ეძახიან. ჩვენ, ქართველებს, რატომ გვიყვარს ჩვენს სამშობლოზე მეტად ამერიკა და ევროპის ნებისმიერი ქვეყანა?! განა ამ ქვეყნებში მცხოვრები ერები და ხალხები ჩვენზე ლამაზი და მდიდარი ისტორიის მქონე ერები და ხალხები არიან?!** არა, ბატონებო! ეს იმ 30-წლიანი შრომის ნაყოფია, რომელსაც ფარული ხელი ეწევა დედამიწაზე „საშინელი სამსჯავროს! მოსაწყობად. დაუსჯელობა და ყველაფრის ფულით გამოსყიდვა, პროსტიტუცია, ნარკომანია და ნარკობიზნესი, ადამიანის ტვინის შეჩერება და კომპიუტერის კლავიატურაზე თითების კაკუნით აზროვნება — აი ეს არის ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორის! ბოლო 30-წლიანი მეცადინეობის შედეგი. ბოთლების სროლა, უწმაწური სიტყვებით პრემიერის ლანძღვა, შექსპირის 66-ე სონეტის ცხოვრებაში დანერგვის მცდელობა ხომ დემოკრატიის მონაპოვარია?!

ახლა, როდესაც ვნებები ოდნავ დაცხრა და ადამინებს ნორმალური აზროვნებისა და განსჯის საშუალება მიეცათ, რამდენიმე შენიშვნა უნდა გავაკეთო „გარდასულ დღეთა“ ქრონიკებზე:

მახსენდება უდღეური და პოლიტიკურად მეძავი „პირველი დამოუკიდებელი“ რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც ყველა ევროპულმა ქვეყანამ და პოლიტიკოსმა გამოიყენა, მაგრამ ბოლოს ყველამ რუსეთის შიშით კუდამოძუებულებმა მიატოვეს. 1920 წლის 20 დეკემბერს ამიერკავკასიის ეკონომიკურ თათბირზე ქვეყნის მეთაური **ნოე ჟორდანია** ამბობდა: **„თუ აქამდე ვამბობდით, რომ მივექანებით კატასტროფისკენ, ახლა გარკვევით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვდგავართ უფსკრულთან“.**

უფსკრულთან მდგარი მთავრობის მიერ გადმოწერილი, სხვის კულტურასა და ტრადიციებზე აგებულ კონსტიტუციაზე დავაფუძნეთ ათასწლეულებში გამოვლილი ჩვენი უძველესი კულტურა და აგერ 30 წელიწადი სრულდება, რაც ამ ობობას ქსელში ვართ გახვეული უმწეო მწერებივით...

სპექტაკლი, რომელიც 31 მაისიდან რუსთაველის პროსპექტზე იდგმებოდა თავისი შინაარსითა და შემაძრწუნებლობით არაფრით ჩამოუვარდებოდა სოფოკლეს ტრაგედია „ოიდიპოს მეფეს“, რომლის მთავარმა გმირმა მამა მოკლა, დედაზე კი იქორწინა. ოიდიპოსის ტრაგედია გენიალურმა ავტორმა გადმოსცა, მაგრამ ვინ უნდა გადმოსცეს ეროვნული სულიერების დამცრობისა და ადამიანური სისუსტეების ეს ამაზრზენი ნიაღვარი? ვინ აღწერს იმ სიბინძურეს, სიფლიდეს, ყალბ ცრემლს, ვერაგულ თანადგომას, ნიღბების სიმრავლეს, გულში ჩაბუდებული შხამისა და ბოღმის გადმონთხევის სურვილს, ვნებააშლილი მდედრების როკვას სიწმინდეებზე?

საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, მხოლოდ ჩვენი ხალხისა და ქვეყნის ხვედრი არ არის, მსგავს რყევებს განიცდის მთელი პლანეტა, ნელი მოქმედების ნაღმები, რომლებიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ყველა ქვეყანაში ჩადო, ნელ-ნელა იწყებს მოქმედებას. მხოლოდ ხელისუფლება ვერ შეძლებს ამ ნაღმების გაუვნებლობას. თითოეულმა ქართველმა უნდა აიღოს ხელში გასანაღმი მოწყობილობა და აკონტროლოს თავისი ტერიტორია. რადგან თითოეული პატიოსანი ქართველი მოქალაქის გვერდით დევს მუხტი, რომელიც, ადრე თუ გვიან, აფეთქდება, ამიტომ საჭიროა, დროულად გავაუვნებელოთ ის.

**გაიღვიძეთ, ქართველებო!**

* ქართველი ხალხი ვერ გაალვიძა ილიამ.

* ქართველი ხალხი ვერ გაალვიძა გორგასალმა.

* ქართველი ხალხი ვერ გაალვიძა დავითმა.

* ქართველი ხალხი ვერ გაალვიძა თამარმა.

* ქართველი ხალხი ვერ გაალვიძა სააკაძემ.

* ქართველი ხალხი ვერ გაალვიძა ერეკლემ.

* ქართველი ხალხი ვერ გაალვიძა სტალინმა.

**მივმართავ ტვინნაღრძობ ქართველებს:**

* სად იყავით, როდესაც სადისტურად მოკლეს სანდრო გვირგვლიანი?

* სად იყავით, როდესაც მოკლეს სრულიად უდანაშაულო ბუტა რობაქიძე?

* სად იყავით, როდესაც ქუჩაში სადისტურად მოკლეს ილია ჭავჭავაძის სულიერი შვილი გურამ შარაძე?

* სად იყავით 2011 წლის 26 მაისს, როდესაც საქართველოს, სრულიად ქართველ ერს სულში ჩააფურთხეს?

ნუთუ უფრო ნაკლებად თავდადებული იყო და ნაკლები საპროტესტო მოწოდებები ჰქონდა სანდრო გირგვლიანის დედას — **ირინა ენუქიძეს**, ვიდრე **ზაზა სარალიძეს** აქვს? უფრო გააფთრებით არ იბრძოდა და არ იბრძვის შვილმკვდარი ბუტა რობაქიძის დედა — **ია მეტრეველი?** უფრო მეტი საბაბი არ ჰქონდა ქართველ ხალხს, რომ მთელ საქართველოს მოუკლეს გურამ შარაძე?..

ადამიანები ხშირად კეთილშობილებას სისუსტეს არქმევენ, თავხედობას კი — გამბედაობას.

**გიორგი კვირიკაშვილის** მისვლა ეგზალტირებულ ხალხთან და მისი მცდელობა სიმშვიდის შენარჩუნებისა, კეთილშობილებისა და გაბედულების კლასიკური ნიმუშია, ხოლო 2011 წლის 26 მაისს რუსთაველის პროსპექტზე სპეცრაზმებისა და ჯარის ნაწილების გაგზავნა ხალხის დასარბევად — **სააკაშვილის** სიმხდალისა და თავხედობის საშინელი მაგალითი.

ჩემი მეგობარი კერძო საუბარში მეუბნებოდა: — ხელისუფლებაში რომ ვიყო, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორხევის ტერიტორიაზე აშენებული შემინული შენობის წინ დიდი ზომის ბრინჯაოს ქანდაკებას დავდგამდი **მოსე თოიძის** ცნობილი სურათის „დედა სამშობლო გვეძახის“ მოტივზე, ეს იქნებოდა მაღალ კვარცხბეკზე დადგმული სანდრო გირგვლიანის დედის — ირინა ენუქიძის ქანდაკება, და ეს იქნებოდა საქართველოს სავიზიტო ბარათი არა მხოლოდ დემოკრატიის გზაზე, არამედ მეოცე საუკუნეში სიცოცხლის დაცვის საერთაშორისო სიმბოლოო.

იდეა ისე შთამბეჭდავია, რომ რამდენჯერაც უნდა გაჳარო ამ გზაზე, თითქოს ვხედავ შავი ლეჩაქით ხელში შვილის დასაცავად ძუ ლომივით შემართულ დედას.

ბატონ **ზაზა სარალიძეს** უნდა მივმართო: მეც შვილმკვდარი მამა ვარ. 1980-იან წლებში ჩემი შვილის მკვლელს 8 წელი მიუსაჯეს, მკვლელის მამას კი — 4 წელი. ჩემი შვილი და მისი მკვლელიც არასრულწლოვანები იყვნენ. ეს გაუფრთხილებლობით გამოწვეული მკვლელობა იყო. სასამართლო პროცესზე ორჯერ გამოვედი, რათა მკვლელის მამა, ცალფეხა კაცი, გათავისუფლებულიყო სასჯელისგან, მაგრამ სასამართლომ ჩემი თხოვნა არ გაითვალისწინა (მკვლელობის იარაღი — სანადირო თოფი მას ეკუთვნოდა). მე 1982 წლიდან 20 წლის განმავლობაში შავ პერანგს ვატარებდი, ხოლო სიკვდილამდე, ალბათ, შავი შიგა პერანგით ვივლი.

ჩემო ზაზა, ძალიან განვიცდი და ვწუხვარ შენი შვილის ამბავს, მაგრამ შენ ასე ვაჟკაცურად შენი შვილის მკვლელების ოჯახების მიმართ უნდა დამდგარიყავი და გეთქვა: თუ არ დაასახელებთ ჩემი შვილის მკვლელის ვინაობას, მაშინ თქვენ ხართ ჩემი შვილის მკვლელები. ისინი აუცილებლად გეტყოდნენ სიმართლეს. სხვაც ბევრი მაქვს სათქმელი, მაგრამ შვილმკვდარ მამას აღარ გაგალიზიანებ.

**შენ გვერდით სანდრო გირგვლიანის მამა, ბუტა რობაქიძის მამა და სხვა უამრავი უსამართლოდ დახოცილთა მამები და დედები რომ დამენახა, აუცილებლად ამოგიდგებოდი მხარში. ჩვენი „სტრატეგიული“ პარტნიორი იფიქრებდა, ამ ხალხს უკან ვერაფერი დაახევინებსო და სიმართლესაც ფარდა აეხდებოდა. ეს აქცია სწორედ იმ სიმართლემ დაშალა, რომელიც ბუტა რობაქიძის დედამ, ია მეტრეველმა, პირში მოგახალათ ვაკის პარკში.**

თქვენ ყელზე რომ ეხვეოდით, კოცნიდით და შველას თხოვდით, სწორედ იმ კაცს ესროლეს ბოთლები და სხვა საგნები თქვენ გვერდით მყოფმა არა თქვენმა ჭირისუფლებმა, არამედ რევანშისტულად განწყობილი ძალების წარმომადგენლებმა და იმ ხალხმა, რომელმაც სანდრო გირგვლიანი და ბუტა რობაქიძე დახოცა. აბა, როგორ უნდა დამდგარიყვნენ **გურამ გირგვლიანი, ია მეტრეველი** ან **ჯამბულ გამცემლიძე** მათ გვერდით, ვინც ცოტა ხნის წინათ მათ შვილები დაუხოცა?!

ჩვენს ერთ მეგობარს ნარკომანი შვილი ძილში გაეპარა. მთელი სამეგობრო თანავუგრძნობდით, მაგრამ ვერაფრით ჭირისუფალთა რიგში ვერ ჩავაყენეთ, — თბი- ▶

**სუსტი ხელისუფალი ვნებს არა მხოლოდ თავის თავს, არამედ, პირველ რიგში, ქვეყანას და შემდგომ თითოეულ მოქალაქეს. ხელისუფლების უაპელაციო ლანძღვა-გინება ეროვნული ღირსებების შელახვად უნდა აღიქვან ადამიანებმა და, როდესაც სატელევიზიო არხის ხელმძღვანელი ხელისუფლებას დედას აგინებს, ის უსათუოდ უნდა დაისაჯოს. მოვუწოდებ ყველა გადამხდელს, შეწყვიტოს გადასახადების გადახდა, სანამ „რუსთავი 2“ სახელმწიფოს ვალებს არ გაისტუმრებს. და, თუ დედის გინება ვალის გადაუხდელობის გარანტიაა, რასაც მალე დავინახავთ, ჩვენც ამ ხერხს უნდა მივმართოთ უკლებლივ და უარი ვთქვათ, გაჭირვებული ხალხის გადასახადების ხარჯზე ვაპარპაშოთ ქვეყნის მტერი — „რუსთავი 2“.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ბატონ ზაზა სარალიძეს უნდა მივმართო: მეც შვილმკვდარი მამა ვარ. 1980-იან წლებში ჩემი შვილის მკვლელს 8 წელი მიუსაჯეს, მკვლელის მამას კი — 4 წელი. ჩემი შვილი და მისი მკვლელიც არასრულწლოვანები იყვნენ. ეს გაუფრთხილებლობით გამოწვეული მკვლელობა იყო. სასამართლო პროცესზე ორჯერ გამოვედი, რათა მკვლელის მამა, ცალფეხა კაცი, გათავისუფლებულიყო სასჯელისგან, მაგრამ სასამართლომ ჩემი თხოვნა არ გაითვალისწინა (მკვლელობის იარაღი — სანადირო თოფი მას ეკუთვნოდა)

ლისელები ვაჟკაცად მიცნობენ და ნარკომან შვილს ჭირისუფლად ვერ დავუდგებიო. ცოტა ხანში აბაზანიდან სროლის ხმა გაისმა. შევედით და ვნახეთ, რომ ჩვენს მეგობარს თავი მოეკლა.

ჩვენ, ჩემო ზაზა, ასეთ მეგობრებში და ასეთ ქალაქში ვართ გაზრდილი და, როგორც ყველაფრის ჭამა არ შეიძლება, ისე არ შეიძლება არც ყველაფრის თქმა და გაკეთება!

**მენანება, რომ სამართლიანობის აღდგენის მუხტი, რომელიც თითქოს გაჩნდა საზოგადოებაში და ვფიქრობდი, ამით ხელისუფლებასაც ხელ-ფეხი გაეხსნებოდა ავადსახსენებელი კოაბიტაციის მოსაშორებლად, ასე უშედეგოდ მიინავლა.** მიმდინარე პროცესებმა ნათლად წარმოაჩინა პრეტენზიები, რომლებიც ხალხს ხელისუფლების, „ქართული ოცნების“ მიმართ გაუჩნდა.

**ბატონო ბიძინა,** შეიცვალეთ თქვენი გზა და მიმართულება. უკეთ მიიხედეთ-მოიხედეთ ირგვლივ. თქვენ საკმარისზე მეტი საცხოვრებელი ფართობი გაქვთ და, თუ თქვენი ახლობლების გარეშე ცხოვრება არ შეგიძლიათ, თავისუფლად **შეძლებთ, ყველას მოუყაროთ თავი და ერთად იცხოვროთ. საჭმელიც საკმარისი გექნებათ და სასმელიც, ჩვენ კი მოგვშორდება ეს მოსაბეზრებელი და უსახური სახეები.**

**ჩემი შვილის საფლავს გეფიცებით, თქვენ მიმართ არავითარი შიში არ მაქვს, მაგრამ მაქვს იმედი იმისა, რომ იმ საბავშვო ბაღში, რომელშიც ჩემი შვილიშვილიც დადის, ვამპირები არ შევარდებიან და ბავშვების სისხლს არ დალევენ. მე, ოთხმოც წელს გადაცილებულს, არც თქვენი პენსია მინდა და არც თქვენი ჯანდაცვა, ისედაც უზრუნველყოფილი ვარ ყველაფრით.**

ნუ ემსახურებით ამერიკასა და რუსეთს, იყავით საქართველოსა და ქართველი ხალხის ნების აღმსრულებელნი. **ნუთუ, თქვენი რჩეულების გარდა, საქართველოში ადამიანებს ვერ ხედავთ? ნუთუ, ვინც პარლამენტში გიზით, ყველა ხალხის არჩეული გგონიათ? ზოგი თქვენ დასვით დეპუტატად, ზოგმა იყიდა მანდატი; ზოგი მინისტრი ხომ თქვენდამი ერთგულების გამო დაინიშნა თანამდებობაზე, ზოგი კი ამერიკის ელჩმა დაგვინიშნა (დაგანიშნინათ), მათგან ზოგი უცოდინარია, ზოგი — გამყიდველი, საქართველო ხომ სავსეა მეხუთე კოლონით?** სად არის რიგითი ქართველის ადგილი, რა უნდა ქნას, რა უნდა გააკეთოს? ვისაც სადმე წასვლა შეეძლო, წავიდა; ვისაც არაფერი შეუძლია, შინ ზის. რატომ დათანხმდით და ხმოს აღტაცებით გამოთქვით აზრი პროკურორის გადადგომაზე — იმიტომ, რომ სკამები შეგენარჩუნებინათ? — არა, ბატონო ბიძინა, **თუ გინდათ, რომ მტკიცედ გეჭიროთ საჭე და მართოთ საქართველო, იცოდეთ, რომ სრულიად უსაფუძვლოდ გადააყენეთ და განტევების ვაცად აქციეთ მთავარი პროკურორი. ეს შეცდომა თქვენვე უნდა გამოასწოროთ და ირაკლი შოთაძე დააბრუნოთ თავის ადგილზე. ასე თითო ბარტყის გადაგდებით, მალე დაგიცარიელდებათ ბუდე და შემდეგ მოიტანენ იმ ცულს, „ცუნცულას“, რომლითაც ძირში მოჭრიან თქვენ მიერ დარგულ და ნალოლიავებ ხეს.**

ვინ არის **ვოლსკი** ან **მდინარაძე,** ან **თალაკვაძე** თუ **ჩუგოშვილი,** დღენიადაგ რომ გვმოძღვრავენ თავიანთი უნიჭო შეგონებებით? თქვენ ფიქრობთ, რომ ნაციონალების ხმა ჰგავს ყიყინს ჭაობსა შინა, მაგრამ ასევეა, ბატონო ბიძინა, თქვენი უმრავლესობის ხმაც.

ყოველგვარი აქციისა და დემონსტრაციის გარეშე უნდა დანიშნოთ რიგგარეშე არჩევნები და თავი დაანებოთ ქართველ ხალხით მანიპულირებას. ხალხი თვითონ მიხვდება, ვინ უნდა აირჩიოს. არჩევნები უნდა ჩატარდეს ლოზუნგით: „არც ერთი ბიზნესმენი პარლამენტში“. ქვეყანაში უნდა იყოს ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობა ძლიერი აპარატით (ჩვენ ძველთაგანვე მონარქიის ქვეყანა ვართ), პრეზიდენტი კი უალტერნატივოდ თქვენ უნდა იყოთ და თქვენ მიერ გაფუჭებული საქმე თქვენვე გამოასწოროთ.

**ბოლომდე უნდა ამოიძირკვოს „ნაციონალური მოძრაობის“ ნარჩენები. ქართველი ხალხის საუკუნოვანი მონაპოვარი — ქართული მიწა ხმლით ხელში უნდა დაუბრუნდეს ქართველ გლეხს, აღდგეს სამართლიანობა და ერის, სახელმწიფოს ძალისხმევა უნდა მიიმართოს სახალხო განათლებისკენ.**

**სუსტი ხელისუფალი ვნებს არა მხოლოდ თავის თავს, არამედ, პირველ რიგში, ქვეყანას და შემდგომ თითოეულ მოქალაქეს. ხელისუფლების უაპელაციო ლანძღვა-გინება ეროვნული ღირსების შელახვად უნდა აღიქვან ადამიანებმა და, როდესაც სატელევიზიო არხის ხელმძღვანელი ხელისუფლებას დედას აგინებს, ის უსათუოდ უნდა დაისაჯოს.**



## თქვენ ყელზე რომ ეხვეოდით, კოცნიდით და შველას თხოვდით, სწორედ იმ კაცს ესროლეს ბოთლები და სხვა საგნები თქვენ გვერდით მყოფმა არა თქვენმა ჭირისუფლებმა, არამედ რევანშისტულად განწყობილი ძალების წარმომადგენლებმა და იმ ხალხმა, რომელმაც სანდრო გირგვლიანი და ბუტა რობაქიძე დახოცა



მოვუწოდებ ყველა გადამხდელს: შეწყვიტოს გადასახადების გადახდა, სანამ „რუსთავი 2“ სახელმწიფოს ვალებს არ გაისტუმრებს. და, თუ დედის გინება ვალის გადაუხდელობის გარანტიაა, რასაც მალე დავინახავთ, ჩვენც ამ ხერხს უნდა მივმართოთ უკლებლივ და უარი ვთქვათ გაჭირვებული ხალხის გადასახადების ხარჯზე ვაპარპაშოთ ქვეყნის მტერი — „რუსთავი 2“.

თუ საქართველოში ძველად და შემდგომაც უახლესი ისტორიის მკვლევარნი ჩუმად და ვილაცის კარნახით აყალბებდნენ ისტორიას, რომელიც დღეს არავის სჭირდება, დღეს ისტორიას აყალბებენ მიტინგებზე ათასობით ეგზალტირებული ადამიანის ტაშისკვრის ფონზე. **დღეს სიცრუისა და სიმართლის ზღვრები ისეა დაცილებული, როგორც ქართული ფულის კუპიურები. ხუთლარიანზე დიდი ივანე ჯავახიშვილია გამოსახული, ხოლო ორასლარიანზე ქაქუცა ჩოლოყაშვილი. ისტორიკოსებო! აი ეს არის თქვენი დაწერილი ისტორია, ამით იზრდება დღევანდელი ახალგაზრდობა. ჩვენ იმ დარბაზში ვწერთ საკანონმდებლო აქტებს, სადაც მკვლელობის იდეოლოგი (ნოე ჟორდანია) და მოკლულის (ილია ჭავჭავაძე) სურათები ერთ დარბაზშია გამოფენილი.** სიყალბეზეა დაფუძნებული 1918-1921 წლების მენშევიკური მთავრობის სამარცხვინო ხელისუფლებისა და მმართველობის წლები. „თეთრი თაგვის“ ზღაპრების დონეზეა ემიგრაციაში მყოფი მენშევიკური მთავრობის პარიზული ქრონიკები.

**ბურუსითაა მოცული და გაყალბებულია 1921-1953 წლების არნახული მიღწევებისა და გამარჯვებების ფაქტები, რომლებიც გადაფარულია ათასი ჯურის პროვოკატორებისა და მუცლითმეზღაპრეთა მონაჩმახებითა და მონაჭორებით.**

ყოველგვარ ზღვარს სცილდება 1953-1991 წლების სრულიად უსახური და ფანტასტიკამდე ასული ფალსიფიკატორი ისტორიკოსების, მწერლებისა თუ დრამატურგების შემოქმედება. ისტორიის ფალსიფიკაციის კლასიკური ნიმუშია სტალინის მიერ რუკების უცოდინარობის სიცრუის ტირაჟირება. ადვილად წარმოსადგენია, რა დონის ფალსიფიკაციაა სხვა ჩვენთვის ხელმიუწვდომელ დოკუმენტებში. ან როგორ არის დანახული ჩვენ თვალწინ მომხდარი 1990-იანი წლების მოვლენები ისტორიკოსებისა და სხვა დაინტერესებული პირების მიერ? ნუთუ ამ ისტორიას ვუტოვებთ შთამომავლობას გასაანალიზებლად?

შევარდნაძის კომუნისტური ეპოქის გაშავება (რაშიც თვითონ მიუძღვის დიდი წვლილი — გრ. ონიანი) და მისი პრეზიდენტობის პერიოდის დადებითად წარმოჩენა ხომ შავის თეთრად და თეთრის შავად წარმოჩენის მცდელობაა?

**რატომ არ იწერება ნაცმოძრაობისდროინდელი საქართველოს ბედუკუღმართი ისტორია? „ნაცმოძრაობა“ ხომ უცხო ძალების ძალისხმევით, ხავერდოვნად შეერწყა და შეეთვისა სამართლიანობის აღდგენის ლოზუნგით მოსულ „ოცნებას“, მათმა სიმბიოზმა კი საქართველოს ფიზიკურად თუ მორალურად განადგურების პროგრამა შეიმუშავა.** თუ საქმით ვერ ვასწორებთ შექმნილ კატასტროფულ მდგომარეობას, ჟამთააღმწერელმა ქაღალდზე მაინც ხომ უნდა გადაიტანოს XX-XXI საუკუნეების საქართველოს დაცემა-დაკნინების ქრონიკები. ყველა ერის მომავალი მის წარსულში დევს. გამონაკლისი, ალბათ, არც ქართველი ერია.

ისტორიკოსებო, ფრთხილად! თქვენ ბეწვის ხიდზე გადიხართ. ყველამ კარგად იცით, რომ ძველ რომში ისტორიის ფალსიფიკატორებს ისევე წვავდნენ კოცონზე, როგორც ფულის გამყალბებლებს.

## ჩემო ზაზა, ძალიან განვიცდი და ვწუხვარ შენი შვილის ამბავს, მაგრამ შენ ასე ვაჟკაცურად შენი შვილის მკვლელების ოჯახების მიმართ უნდა დამდგარიყავი და გეთქვა: თუ არ დაასახელებთ ჩემი შვილის მკვლელის ვინაობას, მაშინ თქვენ ხართ ჩემი შვილის მკვლელები. მაშინ ისინი აუცილებლად გეტყოდნენ სიმართლეს

დასასრულის დასაწყისი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**წინააღმდეგობების გაღრმავების გამო, „შვიდეულის“ მორიგი სამიტი (მომავალ წელს საფრანგეთში) შეიძლება საერთოდ არ გაიმართოს. ავსტრიულმა „დერსტანდარტმა“ დაახასიათა სამიტი, როგორც „ლურსმანი დასავლური ღირებულებების კუბოსთვის“.**

# სიტუაცია «დიდ საჭადრაკო დაფაზე» რუსეთის სასარგებლოდ შეტრიალდა

**„დიდი შვიდეულის“ სამიტმა, რომელიც გასულ კვირას კანადაში ჩატარდა, ნათლად აჩვენა, რომ აშშ-ისა და ევროპის წამყვან ქვეყნებს შორის სერიოზული დაპირისპირებაა. ეს ამცირებს იმის შესაძლებლობას, რომ ისინი რუსეთთან ურთიერთობაში ერთიანი სტრატეგიით იხელმძღვანელებენ.**

## მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატი, შესაძლოა, რუსეთის იზოლაციის პოლიტიკის კრახის კიდევ ერთ სიმბოლოდ იქცეს



**რუსეთისთვის ძალზე მომგებიანია, რომ ეს საიმიჯო ცვლილებები დაემთხვა დაპირისპირებას დასავლურ სახელმწიფოებს შორის და უშედეგოდ დასრულებულ «დიდი შვიდეულის» სამიტს. როგორც ჩანს, დონალდ ტრამპი ვარაუდობს, რომ რუსეთის ამ ფორმატში დაბრუნება ბალანსის აღდგენაში დაეხმარება**

დონალდ ტრამპის ერთ-ერთი მთავარი წინასაარჩევნო იდეა გულისხმობდა პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებას და ამერიკული ბიზნესის ინტერესების დაცვას იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის სტრატეგიული პარტნიორების ინტერესებს ეწინააღმდეგება. 1 ივნისს აშშ-ში ძალაში შევიდა ნორმები, რომლის თანახმად ფოლადისა და ალუმინის იმპორტი ევროკავშირიდან, კანადიდან და მექსიკიდან (შესაბამისად) 25 და 10 პროცენტით დაიბეგრება. ევროპელი ლიდერები ამაზე პროტესტს გამოთქვამდნენ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ჩიოდნენ, მაგრამ შტატების პრეზიდენტმა გადაწყვეტილება მაინც არ შეცვალა.

ამასთანავე, ევროპაში მტკივნეულად აღიქვეს აშშ-ის გასვლა პარიზის კლიმატური შეთანხმებიდან, რომელიც გლობალური ეკოლოგიური პოლიტიკის ქვაკუთხედს წარმოადგენს, და ცალმხრივი უარი „ბირთვულ გარიგებაზე“ ირანთან — ამ შემთხვევაში ტრამპმა სრულად უგულებელყო ევროპელი მოკავშირეების პოზიცია. მეტიც, ამერიკელებმა მკაფიოდ გამოხატეს სანქციების შემოღების სურვილი იმ ქვეყნებისა და კომპანიების წინააღმდეგ, რომლებიც თეირანთან თანამშრომლობას გააგრძელებენ.

ფოლადისა და ალუმინის იმპორტის დაბეგვრამ ევროკავშირს კონტრ-ზომებისკენ უბიძგა. 1 ივლისს ძალაში შევა ამერიკული საქონლის „საპასუხო დაბეგვრა“ (ჯინსების, მოტოციკლების, ვისკის). საინტერესოა, რომ ევროპულმა მხარემ სანქციებისთვის სწორედ იმ შტატების პროდუქცია შეარჩია, რომლებსაც რესპუბლიკელი გუბერნატორები მართავენ. მეტიც, ევროპელი პოლიტიკოსები პრაქტიკულად ღიად აცხადებენ, რომ იმედოვნებენ, რომ ეს გუბერნატორები მომავალში ხელს შეუშლიან ტრამპის არჩევას მეორე ვადით.

ამერიკული „საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს“ წარმომადგენელი **სებასტიან მალაბი** მიიჩნევს, რომ ევროკავშირის, კანადისა და იაპონიის საპასუხო ნაბიჯების არსენალი მცირეა და მათ სიტუაციის გამწვავება და სავაჭრო ომის დაწყება ხელს არ აძლევთ: „წააგებს ყველა, ჩინეთისა და რუსეთის გარდა“.

სამიტი ტრადიციული, ყველა ლიდერის მიერ ხელმოწერილი კომუნიკეს მიღების გარეშე დასრულდა. გერმანიის კანცლერმა **ანგელა მერკელმა** განაცხადა, რომ ეს „გულწრფელი აღიარებაა“ იმისა, რომ უთანხმოების დაძლევა ვერ მოხერხდა. გერმანელმა პოლიტოლოგმა **ალექსანდრე რარმა** ივარაუდა, რომ, **წინააღმდეგობების გაღრმავების გამო, „შვიდეულის“ მორიგი სამიტი (მომავალ წელს საფრანგეთში) შეიძლება საერთოდ არ გაიმართოს.**

ის პრეტენზიები, რომლებიც ევროპელებს დაუგროვდათ, ყველაზე ლაკონურად, ალბათ, ბრიტანულმა „თაიმსმა“ ჩამოაყალიბა: „ტრამპი თავისი პროტექციონისტული პოლიტიკით მსოფლიო ეკონომიკის ზრდას აფერხებს, მაშინ, როდესაც ამის აუცილებლობა არ არსებობს. უფრო დიდი ზიანი მოაქვს მის სიგნალს იმის თაობაზე, რომ პლანეტის ყველაზე მძლავრი სახელმწიფო აღარ აპირებს, საერთო წესები დაიცვას. იქმნება სიტუაცია, როდესაც „შვიდეულის“ ექვსი ქვეყანა იცავს სისტემას, ხოლო მეშვიდე დარწმუნებულია, რომ სისტემა აღარ მუშაობს“. **ავსტრიულმა „დერსტანდარტმა“ დაახასიათა სამიტი, როგორც „ლურსმანი დასავლური ღირებულებების კუბოსთვის“.**

ტრამპმა კიდევ ერთი სიურპრიზი მოამზადა და განაცხადა, რომ „დიდ შვიდეულს“ რუსეთი უნდა დაუბრუნდეს და, შესაბამისად, „დიდი რვიანი“ აღდგეს. სიტუაციის აბსურდულობა იმაში მდგომარეობს, რომ სწორედ აშშ უბიძგებდა ევროპელ პარტნიორებს, მოსკოვის მიმართ ხისტი პოლიტიკა გაეტარებინათ, სანქციები შემოეღოთ და ა.შ. ახლა ყველაფერი თავდაყირა დადგა — **ტრამპი „დიდი რვიანის“ აღდგენას მოითხოვს, ხოლო საფრანგეთი, გერმანია და დიდი ბრიტანეთი ამას ეწინააღმდეგებიან.**

იტალიის ახალმა (1 ივნისიდან) პრემიერმა **ჯუზეპე კონტემ** მხარი დაუჭირა ტრამპის წინადადებას, მომდევნო დღეს კი მიიღო ევროპელი კოლეგების დაპირება, რომ ისინი რუსეთთან დიალოგის აღდგენაზე იმსჯელებენ. საგულისხმოა, რომ 6 ივნისს, სამიტზე გამგზავრებამდე, **კონტე იტალიელი სენატორების წინაშე გამოვიდა და განაცხადა, რომ მისი ერთ-ერთი პრიორიტეტი რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება იქნება.**

დიდმა ბრიტანეთმა კი სამიტზე მკვეთრად ანტირუსული პოზიცია დაიკავა. პრემიერმინისტრი **ტერეზა მეი** „სწრაფი რეაგირების მექანიზმის“ შექმნის ინიციატივით გამოვიდა, რომელიც, დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საჭიროა უცხო სახელმწიფოების, უპირველესად კი, რუსეთის „მტრული საქმიანობის აღსაკვეთად“. **დასავლურ სამყაროში განსხვავებული პოზიციების არსებობა პრაქტიკულად გამორიცხავს ერთობლივი პოლიტიკის გატარებასა და რუსეთის იზოლაციას.**

იზოლაციის პოლიტიკის კრახის კიდევ ერთ სიმბოლოდ შეიძლება იქცეს მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატი, რომელიც 14 ივნისს იწყება. გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ მას რუსეთი უმასპინძლებს, ფიფამ 2010 წლის დეკემბერში, ანუ ახალი „ცივი ომის“ დაწყებამდე მიიღო. იმ პერიოდში გაცილებით აქტუალური „გადატვირთვის“ პოლიტიკა იყო. მას შემდეგ, რაც უკრაინის კრიზისის კვალობაზე სიტუაცია მკვეთრად დაიძაბა, არაერთმა ამერიკელმა, ბრიტანელმა, ზოგიერთი სხვა ქვეყნის პოლიტიკოსმა გააკეთა განცხადება ჩემპიონატის გადატანის ან მისი ბოიკოტის უცილებლობაზე, თუმცა, საბოლოო ჯამში, მათ სასურველ მიზანს ვერ მიაღწიეს.

ჩემპიონატის მატჩები 11 ქალაქში ჩატარდება — მოსკოვში, სანქტ-პეტერბურგში, ნიჟნი ნოვგოროდში, კალინინგრადში, ვოლგოგრადში, ყაზანში, სამარაში, სარანსკში, დონის როსტოვში, სოჭსა და ეკატერინბურგში. ამ ქალაქებში განახლდა საავიაციო და სარკინიგზო ინფრასტრუქტურა, აშენდა ახალი სასტუმროები და ა.შ. ჩემპიონატის შეხვედრებს 12 სტადიონი უმასპინძლებს — ხუთს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა, შვიდი კი „ნულიდან“ აშენდა. მთლიანობაში მოსამზადებელ სამუშაოებზე დაახლოებით 13,2 მილიარდი დოლარი დაიხარჯა. ეს ყველაზე დიდი თანხაა მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში.

შედარებისთვის: საფრანგეთმა 1998-ში 2 მილიარდი დოლარი დახარჯა, სამხრეთ კორეამ და იაპონიამ (2002წ.) — 2,5 მილიარდი, გერმანიამ (2006წ.) — 3,5 მილიარდი, სამხრეთ აფრიკამ (2010წ.) — 2,9 მილიარდი, ბრაზილიამ (2014 წ.) — 11,63 მილიარდი.

**რუსეთის ცენტრალური ბანკის პროგნოზით, ჩემპიონატი ქვეყანას მნიშვნელოვან სარგებელს მოუტანს და მშპ-ს დაახლოებით 0,5%-ით გაზრდის.** საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი არკადი დვორკოვიჩი მიიჩნევს, რომ „ეს ინვესტიციებია და არა ხარჯები. ეს პროდუქტიული ხარჯებია, რომლებიც მოქალაქეების ცხოვრებას აუმჯობესებს“. მან მაგალითად 20 სარკინიგზო სადგურის რეკონსტრუქცია და ახალი გზების გაყვანა (178 კილომეტრი) მოიყვანა. **მუნდიალისთვის მზადების პერიოდში რუსეთში 200 ათასამდე ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა. კერძო ბიზნესის გააქტიურებამ ჩემპიონატის მასპინძელ ქალაქებში ფედერალურ და რეგიონულ ბიუჯეტებს 2,3 მილიარდამდე დოლარი მოუტანა.**

ყველაზე ფრთხილი შეფასების თანახმად, **ჩემპიონატის პერიოდში რუსეთში ნახევარ მილიონზე მეტი გულშემატკივარი ჩავა. რუსი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ისინი 2 მილიარდამდე დოლარს დახარჯავენ, მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ოპტიმისტური ეკონომიკური პროგნოზები არ გამართლდება, პოლიტიკური და საიმიჯო ეფექტი ჩემპიონატისგან მაინც დარჩება; ის რუსეთის იზოლაციის პოლიტიკასა და შესაბამის იდეებს, სავარაუდოდ, დიდ ზიანს მიაყენებს.**

„მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატი, — წერს ესპანური „ელპაისი“, — ქმნის იზოლაციის გარღვევის ან შესუსტების შესაძლებლობას სახალხო დიპლომატიით და იმ გულშემატკივრების მეშვეობით, რომლებიც რუსეთში ვიზების გარეშე, „გულშემატკივრების პასპორტებით“ ჩავლენ. პუტინისთვის მნიშვნელოვანია, რომ ეს ადამიანები მსოფლიოს ყველა კუთხიდან სტუმართმოყვარე და სასიამოვნო ქვეყანაში აღმოჩნდნენ, რაც გაანეიტრალებს აგრესიული, მტრული და მილიტარისტული რუსეთის იმიჯს, რომელიც 2014 წლიდან იქმნება“.

**რუსეთისთვის ძალზე მომგებიანია, რომ ეს საიმიჯო ცვლილებები დაემთხვა დაპირისპირებას დასავლურ სახელმწიფოებს შორის და უშედეგოდ დასრულებულ „დიდი შვიდეულის“ სამიტს. როგორც ჩანს, დონალდ ტრამპი ვარაუდობს, რომ რუსეთის ამ ფორმატში დაბრუნება ბალანსის აღდგენაში დაეხმარება.** ტრამპს აშკარად არ მოეწონა, რომ „შვიდეულის“ სამიტი ჩატარდა ფორმულით „ექვსი ერთის წინააღმდეგ“, მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს — აშშ ცდილობს, ჩაძიროს რუსეთისა და ევროპის დამაკავშირებელი ახალი გაზსადენის — „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის პროექტი, რადგან ის ხელს შეუშლის ამერიკული თხევადი გაზის ექსპორტს ევროპულ ბაზარზე. ამ საკითხზე გერმანიისა და რუსეთის პოზიციები ერთმანეთთან გაცილებით უფრო ახლოა, ვიდრე აშშ-ისა და გერმანიის ან რუსეთისა და აშშ-ის. არის სხვა პრობლემური მიმართულებებიც და ახალ რეალობაში ვლადიმერ პუტინს დასავლეთის ქვეყნების წინააღმდეგობაზე თამაშის შესაძლებლობა ეძლევა.

დამოკიდებულება „რვიანში“ დაბრუნების მიმართ რუსეთში ფრთხილი და არაერთგვაროვანია. ვლადიმერ პუტინის პრესმდივანი **დიმიტრი პესკოვი** შემოიფარგლა მოკლე კომენტარით: „რუსეთი აქცენტს სხვა ფორმატებზე აკეთებს“. ადრე მან თქვა, რომ რუსეთისთვის „დიდი რვიანის“ აქტუალობა მცირდება. როგორც ჩანს, ამ ეტაპზე კრემლი აჩქარებას არ აპირებს, დაელოდება მომენტს, როდესაც ამერიკელი ან ევროპელი პარტნიორები „რვიანის“ აღდგენაზე თავიანთ პოზიციას უფრო მკაფიოდ ჩამოაყალიბებენ. რამდენიმე თვის წინათ ეს წარმოუდგენელი იყო, ახლა კი ამ იდეას მსოფლიოს წამყვანი პოლიტიკოსები და ექსპერტები განიხილავენ, როგორც სავსებით რეალურს. თუ „დიდი შვიდეულის“ სამიტის შედეგებით ვიმსჯელებთ, სიტუაცია „დიდ საჭადრაკო დაფაზე“ მოულოდნელად რუსეთის სასარგებლოდ შეტრიალდა.

**ლუკა ნემსაძე**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1971 წლის 26 ოქტომბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია 2758 (XXVI) გაეროში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებების აღდგენის შესახებ. ჩინეთის შესვლას გაეროში მხარი დაუჭირა 76-მა ქვეყანამ, მათ შორის სსრკ-მა, ინდოეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და ევროპის ბევრმა სახელმწიფომ. წინააღმდეგი იყო 35 ქვეყანა, აშშ-ის მეთაურობით.**

# როგორ გახდა ჩინეთი გაეროს წევრი, აშშ-ის წინააღმდეგობის მიუხედავად

**65 წლის წინათ აშშ-ის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მისთვის კატეგორიულად მიუღებელია, გაეროს წევრი იყოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, მაგრამ ცოტა დრო დასჭირდა ჩინეთს იმისთვის, რომ გაეროს წევრის სტატუსი მოეპოვებინა. გაეროში ჩინეთის შესვლის საკითხი გაეროს გენერალური ასამბლეის კომპეტენციის საკითხი იყო და ვეტოს უფლება, რომელიც ჰქონდა აშშ-ს უშიშროების საბჭოში, პეკინის საერთაშორისო აღიარების გზაზე წინააღმდეგობად ვერ იქცა.**

## სამოქალაქო ომისგან წარმოქმნილი პრობლემა

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ჩინეთი, რომელსაც დინასტია **ცინი** მართავდა, უმძიმეს კრიზისს განიცდიდა, ცენტრალური ხელისუფლება უძლური იყო უცხო სახელმწიფოების წინაშე, რომლებიც საკითხებს პირდაპირ ჩინეთის ტერიტორიაზე აგვარებდნენ; ხელისუფლება უძლური იყო, აგრეთვე, მრავალრიცხოვანი რევოლუციურ-მილიტარისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლაშიც.

1911-1912 წლების სინხაის რევოლუციის შედეგად ცინის დინასტია დაემხო და გამოცხადდა რესპუბლიკა. მისი დროებითი პრეზიდენტი იყო ცნობილი რევოლუციონერი **სუნ იატსენი**, მაგრამ, იმის გამო, რომ მას რეალური სახელისუფლო ბერკეტები არ ჰქონდა, თანამდებობა იმპერატორის არმიის სარდალს, **იუან შიკაის**, დაუთმო. 1916 წელს, მისი სიკვდილის შემდეგ, ქვეყანა რამდენიმე მილიტარისტულმა დაჯგუფებამ გაიყო, მათი ნაწილი ორიენტირებული იყო იაპონიაზე.

სუნ იატსენმა ჯერ კიდევ ემიგრაციაში ყოფნისას, 1894 წელს, შექმნა „ჩინეთის აღორძინების საზოგადოება“. 1919 წელს ამ საზოგადოების საფუძველზე აღმოცენდა პოლიტიკური ორგანიზაცია „ჩინური გომინდანი“ და იატსენი განაგრძობდა ქვეყნის გაერთიანების მცდელობას. 1923 წელს მას ამ მიმართულებით მხარდაჭერა აღუთქვა საბჭოთა კავშირმა.

1925 წელს სუნ იატსენი მოკვდა და გომინდანში ყველაზე გავლენიან ადამიანად იქცა **ჩან კაიში**, რომელმაც შეძლო თავისი წინამორბედის ინიციატივების გამოყენება — მოსკოვის, აგრეთვე, მემარცხენე ძალების დახმარებით 1927 წელს კონტროლი დაამყარა ჩინეთის ტერიტორიაზე. მაგრამ ჩან კაიში უკმაყოფილო იყო პოლიტიკით კომუნისტებისა, რომლებიც ცდილობდნენ, ხალხში პოპულარული სოციალური გარდაქმნები განეხორციელებინათ და წინააღმდეგი იყვნენ, ეთანამშრომლათ მიწათმფლობელებსა და მრეწველებთან. კომუნისტებისა და ჩან კაიშის მხარდამჭერი მემარჯვენეების დაპირისპირებამ გამოიწვია 1927 წლის შანხაის ხოცვა-ჟლეტა. ჩან კაიშიმ ბრძანება გასცა, სახელისუფლო ორგანოები გაეწმინდათ კომუნისტებისგან. დაიწყო მასობრივი მკვლელობები, დაიღუპა 5 ათასი ადამიანი. იარაღი კომუნისტებმაც აიღეს და გაჩაღდა სამოქალაქო ომი.

**ჩინეთში იაპონიის შეჭრის შემდეგაც კი ჩან კაიში უარს ამბობდა კომუნისტებთან გაერთიანებაზე ნაციონალური სუვერენიტეტის დასაცავად.** ერთიანი ფრონტის შექმნაზე რომ დაეყოლიებინათ, გომინდანის გენერლებს თავიანთი ლიდერის დაპატიმრებაც კი მოუწიათ 1936 წელს, თუმცა იაპონელებთან ომის პერიოდში ნაციონალისტებისა და კომუნისტების რაზმებს შორის რეგულარულად ხდებოდა კონფლიქტები.

ტოკიოს კაპიტულაციის შემდეგ ვერც გომინდანმა და ვერც კომუნისტებმა სწრაფად ვერ დაამყარეს კონტროლი ქვეყნის ტერიტორიაზე. იმხანად ნაციონალისტებს მატერიალურად და ტექნიკურად ამერიკელები ეხმარებოდნენ, ჩინეთის კომუნისტური პარტიის წევრებს კი საბჭოთა კავშირმა იაპონიისთვის წართმეული იარაღი გადასცა.

ცოტა ხნისწინანდელ მოკავშირეებს შორის დაპირისპირებამ ახალი ძალით იფეთქა 1945 წელს. 1947 წლამდე გომინდანელები ავიწროებდნენ კომუნისტებს, მაგრამ კომუნისტურმა პარტიამ იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც აკონტროლებდა, დაიწყო მიწის რეფორმა, რომელსაც მხარი დაუჭირა გლეხობამ. შედეგად კომუნისტების არმიაში გადავიდა ბევრი იდეოლოგიურად მოტივირებული მებრძოლი.

იაპონური ტანკებისა და ქვემეხების გამოყენებით ჩინეთის კომუნისტური პარტიის მომხრეები შეტევაზე გადავიდნენ. 1948 წელს გომინდანმა რამდენიმე სერიოზული მარცხი განიცადა, ფრონტი დაიშალა.

1949 წლის 1 ოქტომბერს პეკინში გამოაცხადეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის შესახებ. ამ პერიოდში გომინდანელთა ქვედანაყოფების ნარჩენები ქვეყნის სამხრეთის საზღვრებთან მიიმწყვდიეს და ჩაუკეტეს გადასასვლელები ბირმასა და საფრანგეთის ინდოჩინეთში. გომინდანის მთავრობას ამერიკელებმა უშველეს — გადაიყვანეს ტაივანზე.

## ეკლიანი გზა აღიარებისკენ

1945 წელს ჩინეთი, როგორც მეორე მსოფლიო ომში ერთ-ერთი გამარჯვებული, მონაწილეობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაფუძნებაში, მაგრამ გაეროში შევიდა ჩინეთის რესპუბლიკა — ჩინეთის ძველი მთავრობა, რომელმაც 1949 წელს გადაინაცვლა ტაივანზე.

მას შემდეგ, რაც გომინდანელებმა დატოვეს მატერიკული ჩინეთი, გაჩნდა კითხვა — ვინ უნდა წარადგინოს ქვეყანა გაეროში? 15 ნოემბერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი **ჟოუ ენლაი** გაეროს გენასამბლეისადმი გაგზავნილ მიმართვაში შეეცადა, გაეპროტესტებინა ჩინეთის ძველი მთავრობის უფლება, ჩინეთის ხალხი წარმოედგინა საერთაშორისო არენაზე.



**1950 წლის დასაწყისში საბჭოთა კავშირმა მოამზადა პროექტი რეზოლუციისა, რომელიც შესაძლებლობას იძლეოდა, შეეცვალათ ჩინეთის რესპუბლიკის წარმომადგენლები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციით, მაგრამ გაეროს უშიშროების საბჭომ უარყო ეს წინადადება. პროტესტის ნიშნად საბჭოთა კავშირი რამდენიმე თვის განმავლობაში უარს ამბობდა უშიშროების საბჭოს მუშაობაში მონაწილეობაზე. ამერიკელებმა ისარგებლეს გაეროს უშიშროების საბჭოში საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის არყოფნით და 1950 წლის 25 ივნისს მოძებნეს მეთოდი, რომლითაც გაამართლეს თავიანთი ინტერვენცია კორეაში. ამ ქმედებას მათ გაეროს სამშვიდობო ოპერაციის სტატუსი მიანიჭეს.**

1950 წლის შემოდგომაზე, როდესაც ამერიკის არმიამ მძიმე მარცხი აგემა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს, პეკინი იძულებული შეიქნა, სიტუაციაში ჩარეულიყო. ჩინეთისა და კორეის ერთობლივმა ძალებმა უკუაგდეს ამერიკელები და 1951-ში ძალების დაპირისპირების ხაზი ომამდელ საზღვარზე აღდგა.

კორეის ომის დაწყებამდე გაეროს წევრმა 17-მა ქვეყანამ აღიარა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და თანახმა იყო, ეს ქვეყანა გაეროს წევრად მიეღო. მაგრამ აშშ-მა კორეის ნახევარკუნძულზე გაჩაღებულ ომში პეკინის ჩარევა გამოიყენა კომუნისტური ჩინეთის წინააღმდეგ მიმართულ სააგიტაციო ომში და გაეროში ჩინეთის შესვლის საკითხი დაამუხრუჭა.

ცოტა ხნის შემდეგ კი საერთაშორისო დონეზე დაიწყეს მსჯელობა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გაეროში შესვლა „მიებათ“ კორეის ნახევარკუნძულზე მშვიდობის დამყარებისთვის. ამ იდეას აქტიურად უჭერდა მხარს ინდოეთი. და, როცა საქმე საფინალო სტადიას მიუახლოვდა, ვაშინგტონი შეშფოთდა.

კორეის ომის პერიოდში აშშ ახორციელებდა ჩინეთ-ტაივანის ურთიერთობებში ჩაურევლობის პოლიტიკას და აღმოსავლეთ აზიის სანაპიროსთან ჰყავდა ფლოტი, რათა არ დაეშვათ სტატუს კვოს შეცვლა რომელიმე მხარის სასარგებლოდ. აღსანიშნავია, რომ 1953 წელს აშშ-ის პრეზიდენტის პოსტზე მოსული **დუაიტ ეიზენჰაუერის** ადმინისტრაციის განცხადებებიდან ერთ-ერთი პირველი იყო განცხადება **ე.წ. თავისუფალი სამყაროს რომელიმე ტერიტორიის კომუნისტების კონტროლის ზონაში გადასვლის დაუშვებლობის შესახებ.**

1953 წლის მარტში აშშ მიანიშნებდა, რომ ჩინეთში სტატუს კვოს შენარჩუნებას აღარ აპირებდა და ხელს არ შეუშლიდა გომინდანს, თუ ის შეეცდებოდა, შეეტია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისთვის.

1953 წლის 5 ივნისს კი, კორეის ნახევარკუნძულზე ოფიციალურ ზავამდე ცოტა ხნით ადრე, აშშ-ის სენატმა განაცხადა გაეროში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შესვლის დაუშვებლობის შესახებ.

1953 წლის ნოემბერში ეიზენჰაუერმა ხელი მოაწერა აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად „უსაფრთხოების შესანარჩუნებლად“ ტაივანი გამოცხადებული იყო აშშ-ის თავდაცვის სისტემის მნიშვნელოვან ელემენტად. ამ პერიოდში მოხდა კონფლიქტი სანაპირო კუნძულების გამო, რომლებიც დაკავებული ჰქონდათ გომინდანის ჯარებს. ვაშინგტონში პირდაპირ სამხედრო დაპირისპირებასაც კი განიხილავდნენ, მაგრამ ზომიერმა პოლიტიკოსებმა და ოფიციალურმა ლონდონმა შეძლეს, არ დაეშვათ ვითარების გამწვავება.

1955 წელს ჟენევაში დაიწყო მოლაპარაკებები აშშ-სა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ელჩების დონეზე, მაგრამ გაეროში ჩინეთის შესვლის საკითხში აშშ შეუვალი იყო.



## საკვანძო მომენტი

1950-იანი წლებიდან პეკინი ცდილობდა, ეწარმოებინა პოლიტიკა იმ სახელმწიფოების წრის გასაფართოებლად, რომლებიც მხარს დაუჭერდნენ გაეროში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შესვლის იდეას.

საკვანძო მომენტი დადგა 1971 წელს. ამ მომენტისთვის ჩინეთს უკვე ჰქონდა საკმაო საერთაშორისო მხარდაჭერა.

**1971 წლის 26 ოქტომბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია 2758 (XXVI) გაეროში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებების აღდგენის შესახებ.**

ჩინეთის შესვლას გაეროში მხარი დაუჭირა 76-მა ქვეყანამ, მათ შორის სსრკ-მა, ინდოეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და ევროპის ბევრმა სახელმწიფომ. წინააღმდეგი იყო 35 ქვეყანა, აშშ-ის მეთაურობით.

ჩინეთის წევრობის საკითხი მიეკუთვნებოდა გენერალური ასამბლეის კომპეტენციას და ვეტოს უფლება, რომელიც ჰქონდა აშშ-ს უშიშროების საბჭოში, არანაირ როლს არ თამაშობდა.

ტაივანმა დატოვა გაერო და მხოლოდ 1990-იან წლებში დაიწყო წარუმატებელი მცდელობები წევრობის აღსადგენად. გაეროს წევრის სტატუსის მოპოვებიდან ცოტა ხანში ჩინეთს ეწვია აშშ-ის პრეზიდენტი **რიჩარდ ნიქსონი**, მაგრამ ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობები ვაშინგტონსა და პეკინს შორის მხოლოდ 1979 წელს დამყარდა.

**იმ სახელმწიფოების რაოდენობა კი, რომლებიც ტაივანზე ჩან კაიშის რესპუბლიკას აღიარებდნენ, მკვეთრად შემცირდა. პეკინმა პრინციპული პოზიცია დაიკავა: თუ ვინმე აღიარებს ტაივანს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მასთან დიპლომატიურ ურთიერთობას წყვეტს.**

დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ეკონომიკის სიმძლავრით მსოფლიოში მეორე სახელმწიფოა და მასთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა არასარგებლიანია.

რაც შეეხება ტაივანისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკების გაერთიანებას, მიუხედავად იმისა, რომ ტაივანი დღეს დე ფაქტო დამოუკიდებელი სახელმწიფოა, ამის შანსი, ძალიან ცოტა, მაგრამ მაინც არსებობს, თუმცა უახლოეს პერსპექტივაში ნაკლებ სავარაუდოა.

მოამზადა
**გიორგი ბახეჩილაძე**

საუნჯე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქართველო ჩემთვის არის ყველაფერი — უწინარესად, ის, რაც ქართული სიტყვაა. მე სიტყვით ვცოცხლობ. სიტყვა ჩემთვის არის ეკლესიაც, მწვერვალიც. ერთი სიტყვაც კი, დიდხანს გაუფიქრებელი, ანდა დიდი ხნით სადღაც მიკარგული ქართული სიტყვა რომ გავიგო, ერთი კვირა ბალღივით დავფრინავ: რა მიხარია, რა მიხარია, და იმ სიტყვას მივადგები“.**

# «საქართველო დაილალა, საქართველო ბერდება»

ყველას ახლად შობა უნდ,
მე რად ძველისკ მაბრუნებ,
სულო-დ ბედისწერაო?
ყველა ახალ ბუდეს ღობს,
მე რად უფრო მენატრებ,
დანახავსარ კერაო?

ეთერ თათარაიძე

**იმ საღამოს მოვუსმინე ეთერ თათარაიძეს. ტელეეთერში.
საქვეყნოდ ცნობილ მეცნიერ-ფოლკლორისტს, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ზეპირსიტყვიერების მიმართულების ხელმძღვანელს, პოეტს, მრავალი წიგნის — მეცნიერული ნაშრომებისა და ლექსების კრებულების ავტორს.
„უნივერსიტეტიდან მახსოვს პატარა თუში გოგო, რომელიც მოკრძალებით იდგა მისაღებ გამოცდაზე და რადგან ვერ ჩაეწერა ამ ხისტი პროცედურის სტანდარტებში, მიუხურეს ალმამატერის კარნი. ვერ გაუგეს, ან არ მოინდომეს, გაეგოთ...“**



**თუ სადმე შემორჩა საქართველოს (ჯერ კიდევ შემორჩა) იდენტურობა, სიკისკასე ადგილობრივი დიალექტის, უწინარესად, — თუშეთის მხარეში. სწორედ მან, ეთერ თათარაიძემ, გვაზიარა ამ ფენომენს, გაგვაოცა და აღგვაფრთოვანა თუშური კილოს მელოდიურობით. ფენომენს — კი, მაგრამ თავისი უნიკალური შემოქმედების მეშვეობით, ლექსებით**

ვუკითხავ წინდაწინ მომზადებულ ამ ტექსტს, ინტერვიუს ლიდად რომ უნდა წარვუმძღვარო (მოვემზადე), და პირველ ჩასწორებაზე პირველი შეკითხვის დასმამდე კინაღამ წავიმტვრიე კისერი:

— მეშვიდედ ვიდექი მისაღებ გამოცდებზე უნივერსიტეტში, — განმარტავს ეთერი, — ჩემი სასკოლო ატესტატი 4,5 ქულა იყო, არც ოქროს, არც ვერცხლის მედალზე არ დამიმთავრებია. გამოცდებზე მიღებულ ქულებს ატესტატის ქულებიც ემატებოდა. ბევრჯერ ნახევარი ქულა დამაკლდა, ერთ-ნახევარიც დამაკლდა ზოგ წელს. ბოლოს მივიღე ორიანი.

**— მეექვსე მცდელობაზე?**

— დიახ. ქართული ენისა და ლიტერატურის წერით გამოცდაზე.

**— თემა?**

— „ბუნება ვაჟა-ფშაველასთან“. მუხლები 15 წუთს სიხარულისგან მიკანკალებდა, თემა რომ გამოგვიცხადეს. ალბათ, უფალმა გამომიგზავნა და ახლა კი ნამდვილად მივიღებ-მეთქი ხუთიანს, მაგრამ ორიანი დამიწერეს. გავასაჩივრე და რა აღმოჩნდა, იცით? ვაჟას დაუწერეს ორიანი — მისი ციტატები ჩაასწორეს(!). ერთი ციტატა, მახსოვს, იწყებოდა ასე:

**დაწუხებულმა, არაგვო,
რო გნახე, გავიხარეო...**

სქელი წითელი ხაზი ჰქონდა გადასმული **დაწუხებულს** და ასე იყო ჩასწორებული: „**დამწუხრებულმა**, არაგვო, რომ გნახე გავიხარეო“. ამ დროს დაწუხებულმა ფშავურად დამწუხრებულს კი არ ნიშნავს, არამედ — მონატრებულს: მონატრებულმა, არაგვო, რომ გნახე, გავიხარეო, ხოლო **რომ** კავშირი მთის დიალექტებში არის ყოველთვის **რო**. აი ასე იყო ჩასწორებული ვაჟას ციტატები. ამის შესახებ შემდეგ, რომ გავთავხედდი, დავწერე და გამოვაქვეყნე კიდეც გაზეთში. ჩემს მსჯელობაში ერთი უბრალო წითელი მონასმიც არ იყო გაკეთებული — ვაჟას ასწორებდნენ. ენა დაუწუნეს ვაჟას.

„საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ნუგზარ ფოფხაძემ** საქართველოს იმდროინდელი ხელმძღვანელის, ედუარდ შევარდნაძის დახმარებით მიაღებინა ეთერი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. სტუდენტად. როგორც გამონაკლისი. ეს მოხდა 1979 წელს“, — ვაგრძელებ შესავლის კითხვას.

— უგამოცდოდ, — მისწორებს ეთერი. მეორე შესწორება — დავით ჩხიკვიშვილის რეტორობის დროს.

„თუ სადმე შემორჩა საქართველოს (ჯერ კიდევ შემორჩა) იდენტურობა, სიკისკასე ადგილობრივი დიალექტის, უწინარესად, — თუშეთის მხარეში. სწორედ მან, ეთერ თათარაიძემ, გვაზიარა ამ ფენომენს, გაგვაოცა და აღგვაფრთოვანა თუშური კილოს მელოდიურობით.

ფენომენს — კი, მაგრამ თავისი უნიკალური შემოქმედების მეშვეობით, ლექსებით“.

— ჩემი ლექსი საზომით, საწონით, აზროვნებით არ არის ხალხური ლექსი. გავთავხედდები და გეტყვით, რომ წმინდა თუშურ დიალექტზე ლექსი პირველად მე დავწერე. ერთ-ერთი ჩემი სალექსო კრებულის შესავალში ზურაბ კიკნაძე ამბობს, რომ თუ ვიტყვით — რით უნდა იყოს ეთერი დავალებული, მხოლოდ თუშური ხმით ნატირლებითო. მხოლოდ თუშური ხმით ნატირალი სრულდებოდა დიალექტზე მანამდე, უცებ ამოითქმებოდა, თუშურად ელაპარაკებოდნენ მიცვალებულს. მთელი თუშური ხალხური პოეზია არის დაწერილი კოინეზე, ანუ ნაზავ მთიურ კილოებზე. ჩემი ლექსი არის კლასიკური ლექსი, შეიძლება ასე ითქვას, თუშურ დიალექტზე შექმნილი და ერთადერთი საქართველოს პოეტურ სივრცეში, — ამიხსნა ქალბატონმა ეთერმა.

გასამდა.

საკმარისია და ამას იქიდან ჩემს შეფასებას გადავდებ და შეკითხვებით შემოვფარგლავ ჩემს აქტიურობას (აქტივობებს, როგორც ახლა ხშირად ამბობენ — „ევროპულად“. მხოლოდ ერთს ვიტყვი, საქმეში ჩახედული სპეციალისტების ნათქვამს გავიმეორებ: ჩვენი წელთაღრიცხვის მეცხრე საუკუნის ხანმეტ დიალექტზე წერს ეთერ თათარაიძე და ამითაც ერთადერთი და განუმეორებელია).

მაშ, შეკითხვა:

**— ვახოს ერთი ლექსის სტროფი მახსენდება, — უადგილო გაშინაურებასავით წამომცდება სახელი ვახო. უცებვე ბოდიშს ვუხდი ეთერს — სკოლაში 11 წლის განმავლობაში ერთ მერხზე ვისხედით მე და ლეგენდარული ვახუშტი კოტეტიშვილი, იმ დროიდან მომყვება-მეთქი ეს ბიჭური სახელი.**

— როგორ უყვარდით, აი, არ ვიცი! ეგ ხომ ჩვენი ბალღია, ეგრე ამბობდა. ძალიან დიდი სითბოთი მოგიხსენიებდათ, მართლა (**აღადგინა პარიტეტი**). შეიძლება ჩემზე უკეთ იცნობდით, მაგრამ მე ძალიან დიდხანს ვხედავდი, როგორც ადამიანობის მაგალითს. ჩემთვის ყველაფერი იყო... და ჩუბჩიკა ხომ... (**თენგიზ მირზაშვილზე თქვა ასე**).

**— ვახუშტი კოტეტიშვილს აქვს ერთგან ნათქვამი (ვაგრძელებ):**

**„გავიბითურეთ სამშობლო,
მართლაც სამოთხის
სადარი,
სხვა საქართველო კი არა,
თვით საქართველო
სად არი?!“
ამის გაგრძელებასავით
არის თქვენეული:
„საქართველო დაილალა?
საქართველო ბერდება“
რამ დაგასმევინათ
ეს დიაგნოზი?**

— როცა ადამიანს ასაკი ემატება და შორს მშვიდად რომ იხედება, სწორედ იმ ასაკში ვარ. ახლა მივხვდი, რა მოკლეა ეს წუთისოფელი, საერთოდ, მაგრამ რა ბევრია ადამიანისთვის, თუ უნდა, რომ ჯანმრთელ თემებზე იფიქროს. საქართველო ჩემთვის არის ყველაფერი — უწინარესად, ის, რაც ქართული სიტყვაა. მე სიტყვით ვცოცხლობ. სიტყვა ჩემთვის არის ეკლესიაც, მწვერვალიც. ერთი სიტყვაც კი, დიდხანს გაუფიქრებელი, ანდა დიდი ხნით სადღაც მიკარგული ქართული სიტყვა რომ გავიგო, ერთი კვირა ბალღივით დავფრინავ: რა მიხარია, რა მიხარია, და იმ სიტყვას მივადგები.

ახლა მე დავინახე, რომ მართლა ბერდება საქართველო: დაიკარგა ყველაფერი, და იკარგება ისე სტიქიურად, რო გული მისკდება. ალბათ — მაგან მათქმევინა.

ხანდახან ვფიქრობ — ვისთვის ვწერ, არის საჭირო?

მერე უცებ გადავწვდები ან ფანტასტიკურ ჩემს ერთ სტუდენტს ან მოწაფეს — სკოლებში რომ მივდივარ, რომლებიც ისეთ ჯანმრთელ კითხვას დამისვამენ, რომ მაშინვე ვიფიქრებ — არა, არასოდეს ეს არ მოხდება-მეთქი, არ ბერდება საქართველი იმიტომ, რომ იცოცხლებს და განვითარდება.

ძალიან მძიმეა, როცა მიხვდები, რომ ის, რასაც მთელი ცხოვრება ემსახურები, მთელი გულით, მთელი რწმენით, ზოგადობისთვის ზედმეტია და „სასაცილოც“ კი, სატირალი რო არ იყოს, მაშინ ფიქრობ, რო მიბერდება ქვეყანა, ჩემსავით ბერდება და ჩემსავით გაეფარება ერთ დღეს საითკენლაც.

**— დაბერება — კი, მაგრამ მოხუცებით მდიდარ სოფელს თქვენ სიყვარულით იხსენებთ. ერთ-ერთ ინტერვიუში ამას ხაზგასმით აღნიშნავთ.**

— ჩემს ბავშვობაში თუშური სოფელი მართლა მდიდარი იყო ცხოვრებაგამოვლილი მოხუცებით, რომლებიც სრულ ფერადოვნებებს ყვებოდნენ თავიანთ წარსულზე, ქვეყანაზე. იმიტომ ვიყავი მათზე მიჯაჭული, რომ ერთადერთს მე არა მყავდა ბებო და პაპა. ბერდედა მარიამი იყო მხოლოდ ცოცხალი, დედაჩემის დედა. აი, იმასთან კი ფერადოვანი ბედნიერება მახსოვს სურათებად. ერთ-ერთი უკანასკნელი წავიდა თავისი თუშური სამოსით ამ ქვეყნიდან. არ გაიხადა.

სულ შავოსანი იყო, რადგან ხუთი ბიჭი ყავდა დამარხული, სხვა ფერებში ბებო არ მინახავს.

ნათლიმცემლის ძირში, მწვანე ყანებს იქით რომ გამოჩნდებოდა (ვიცოდი, რომელ დღეს მოვიდოდა: რომ იტყოდა, არ არსებობდა არ მოსულიყო. დილითვე გავეპარებოდი დედას და იმ ყანებში ველოდებოდი), რომ გამოჩნდებოდა, გავიქცეოდი ამ ყანებზე, შესახვედრად. მოდიოდა, წნული კალათი ჰქონდა ხელზე შემოცმული, რომელშიც ფერადი ძაფები ელაგა, დულუკაებს ეძახიან თუშეთში, მრგვალი ბურთებივითაა, და ჩვენ წინდებს ქსოვდა, შვილიშვილებისთვის. სულ წინდა ეჭირა ხელში. რო მივუახლოვდებოდი, გაუნათდებოდა სახე, მეხუთე ჩხირს ჩაათავებდა, გაურჭობდა წინდას და იმ მწვანე ყანაში შორს მოისროდა, საქსოვ ჩხირებს რომ არ შევჯახებოდი, გამიშლიდა ხელებს, მეც მუხლებზე შემოვეხვეოდი, და დიდხანს ვიჯექით იმ ყანაში. იმის სურნელიც მახსოვს.

რიტუალივით იყო.

ბერდედების, ბებიებისა და ბაბუების გარეშე საქართველო ვერ იარსებებს. ეგ ზუსტად ვიცი.

ახლა კი დედებიც არ ჰყავთ ბავშვებს! სხვა ცხოვრებააო, ამბობენ, სხვა რიტმი, მაგრამ სხვა ცხოვრება იყო ყოველთვის: ყველა დროში სხვა ცხოვრებაა. ასე არის, როცა გამოდის ეს ჭრელი სივრცე გარეთ. მე არ ვამბობ, რომ უნდა იმალებოდეს, მაგრამ ჯანმრთელი ურთიერთობები მკვდარია — ნათესავები აღარ ნათესაობენ, ოჯახები ერთმანეთთან ვერ მიდიან. ანუ ყველაფერი, რითაც საქართველო ინარჩუნებდა თავის სითბოს, ნათესაურს, ქრება. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ისე უკვდებათ ახლა დედები და მამები, და-ძმები, რომ სამუშაოს საპოვნელად სადღაც გადახვეწილები ტელეფონით დასტირიან თავისიანებს. ამაზრზენია. საშინელი რამ ხდება.

მე ვამბობ, რომ უწინარეს ყოვლისა, უდედოდ ბერდება საქართველო, უბერდედოდ. ნამდვილი დედისა და ბერდედის წინ ყოფნა ყოველთვის იყო პირველი ამბავი საქართველოსთვის. ეგ აღარ არის და ძალიან მწყინს!

**— ალვანებს ამბობთ კახეთის სოფლების ზემო ალვანისა და ქვემო ალვანის ხსენებისას. სხვებისგან არ მსმენია.**

**ალვანებიდან თუშებს ბავშვები ზაფხულობით ომალოში აჰყავდათ: „ბალღებ თუშეთში გარეკეთო“. იქ ითვისებდნენ ურთიერთობათა ეთიკას, თუნდაც ყოფით დონეზე...**

— კახეთის ალვანებიდან — ორი სოფლიდან, ნაწილობრივ — ლალისყურიდან, ფშაველიდან ცოტანი თუშეთის 32-37 სოფლისკენ მიემართებოდნენ.

ბერდედები დედებს აფრთხილებდნენ: „ბალღებ არ გასწიროთ ალონში!“

თამარ მეფეს უკავშირდება ალვანების წარმომავლობა და ლალისყურისაც. ლეგენდის მიხედვით, დილით, ამალით რომ მოდიოდა, ლალის საყურე დაეკარგაო, და იკითხა — სად არის ჩემი ლალის ყურიო. ეგ ძალიან მიყვარდაო. ლალისყურიც ამიტომ დაერქვა იმ ადგილს. გზა რომ გამოაგრძელეს, მზე თანდათან რომ ამოიწვერა, თქვაო თამარმა — ალიონი იწყებაო, ცოტა ზემოთ რომ ამოვიდა, ახლა ნამდვილი ალიონიაო. ასე გაჩნდა ეს სახელი — ალიონი-ალონი-ალვანი. ალონებს ამიტომ ხმარობენ თუშები.

**— „თუშურ დიალექტს საფრთხე ემუქრება“, — ესეც თქვენი ნათქვამია.**

— ნამდვილად ემუქრება, ჩემდა სამწუხაროდ, მაგრამ არა მარტო თუშურ დიალექტს. ერთ შეხვედრაზე, სადაც ენის დეპარტამენტის ხალხი იყო მოსული, შეკითხვა დავსვი: რას ფიქრობთ ენის კილოკავებსა და დიალექტებზე საქართველოში-მეთქი. ლიტერატურულ ქართულს, რომელიც სქემად იქცა და აღარაფერს აღარა ჰგავს, რა კვებავს, თქვენ როგორ ფიქრობთ? წერილიც მაქვს დაწერილი — ლიტერატურული ქართულის დედამ-

**მატერიალურად შეიძლება გაუადვილა თუშს იმ გზამ ცხოვრება. მაგრამ იმ გზების გაჭრის მიზეზით დაიძრა მთები და ჩაიკეტა თუშეთამდე მისასვლელი ხისომდე. დაგუბდა ალაზანი და ტბა შექმნა. ეს მოაქვს უთავბოლოდ გზების გაჭრას თუშეთში. ეს ხომ არ არის შვეიცარია, სადაც იციან და დიდ ფულს ხარჯავენ, რომ ყველა ხიფათი, განსაკუთრებით, მიწის ზვავების საშიშროება თავიდან აიცილონ.**

საუნჯე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

დინარეში როგორ ჩაედინება ეს ნაკადულები, ეს კილოკავები, ეს დიალექტები, როგორ მდიდრდება მუდმივად იმისგან.

ახლა რა ხდება: დაიცალა სოფლები, წავიდნენ დედები, დარჩნენ ბებოები. ახალგაზრდები უფროსებისგან ცალკე გადგნენ. უჭირავთ ეს მობილურები, ამას ხომ წინ ვერაფერი დაუდგება, თურქულ სერიალებს უყურებენ...

**— დაბორიალებენ სომნამბულებივით...**

— და მეტყველება გახდა ჯოჯოხეთური. საუბედუროდ, უცხო ენები არ ვიცი, მაგრამ, საბედნიეროდ, ვიცი ყველა დიალექტი და ყველა კილოკავი, რაც საქართველოშია. და ზუსტად შემიძლია გითხრათ, რა დააშავა ამა თუ იმ დიალექტზე მეტყველმა ადამიანმა.

თუშურზე ცალკე ვიტყვი.

თუშურ დიალექტს საფრთხე იმიტომაც ემუქრება, რომ მახვილმა გადაინაცვლა. მახვილი ძალიან მნიშვნელოვანია თუშურ დიალექტში, რომელიც ყოველთვის ხმოვანზე მოდის.

*(აქ ქალბატონი ეთერი წვრილად მიხსნის თუშურ დიალექტში მახვილის ხმარების თავისებურებას. ფრიად საინტერესოა, მაგრამ ვინაიდან აუდიო ეფექტის გამოყენება გაზეთში შეუძლებელია, ამ თემის აღნიშვნითღა უნდა შემოვიფარგლო).*

ნასესხობების ენაში შეტანა ბუნებრივი პროცესია. იმდენი ნასესხობა გვაქვს ირანული, თურქული თუ ევროპული ენებიდან და ისე კარგად მორგებული, რომ ვეღარც ვიგებთ, **ფანჯარა** და **ქარხანა** სპარსული რომ არის. ფანჯარა სარკმლის მაგიერ თუშეთშიც დამკვიდრდა: ფანჯარაშიითა გნახე, ეტყვის ერთი მეორეს, — ფანჯრიდან დაგინახეო.

ახლა კი დაწყებულია ნასესხობის სრული მიღვრის პროცესი.

რამდენიმემ ჩემ შემდეგ მოსინჯა, თუშურად დაეწერა ლექსი. ეგეც ბუნებრივია. ეგონათ, თუშურად თუ ილაპარაკებ, ლექსია. ლექსი ხომ სხვა რამეა. რაღაცდროს მიხვდნენ და აღარც უცდიათ. მაგრამ დარჩა თითო-ოროლა ახალგაზრდა, რომლებიც მთელ საქართველოს ატყუილებენ, რომ ვითომ თუშურად წერენ. აი, ეს პროცესები ძალიან მძიმეა, როცა ხედავ, თან შენიდან რომ იპარავს სქემებს და ყველაფერს, რადგან ჩემს მეტი წინაპარი არავინა ყავს დიალექტზე დამწერ ადამიანს. ჩემთვის არავის უსწავლებია. ჩემს სახესაც, ჩემს სიტყვათქმნადობასაც უცებ ვცნობ, ვიცი, რომ ჩემი ლექსია.

*(მარტომ აითვისა ეს ყამირი, ერთადერთმა ტრიალ მინდორზე, მარტომ გაკვალა:*

**არაფერ მაქვ დასამალ, —**
**ტრიალ მინდორს ვლგევარ,**
**ალაგ ხე-ყვავილ ნაშალ,**
**ალაგ გუბედ ვდგევარ.**
**ადგ ალა-ბუღად შლილ,**
**ალაგ ყანად ვღელავ,**
**ალაგ ჩირთ მონაძალარ,**
**ალაგ ბილიკ ვხევარ.**
**ალაგ ხშირ ხილ-ტკმილაი-დ**
**ალაგ ხრილ ხედ-მხმევარ,**
**ზედ ხშირ წვიმა**
**ჩამოღვრილ,**
**ტანშრობად მზის**
**მკვლევარ.**
**არაფერ მაქვ დასამალ, —**
**ტრიალ მინდორს**
**ვლგევარ.)**

სახელს არ ვახსენებ იმ ბიჭისას, რომელიც მამით კახელია, დედით — თუში, მაგრამ გონშიც არ არის, თუშური დიალექტი რა არის და ვითომ თუშურად წერს. წაღებული აქვს ჩემგან ყველაფერი, რისი წაღებაც გაბედა.

**— და გასავალი აქვს.**

— ისე უკრავენ ტაშს! რისთვის უკრავენ? ერთი ლექსიც რომ ავიღოთ და გავარჩიოთ, სრული ჯოჯოხეთია. ურთიერთგამომრიცხავი. არაფერი დაგვრჩება.

ზუსტად ვიცი, რა ხდება თუშეთში. იგივე პროცესებია ფშაურში. მე მაინცადამაინც ლექსების წერაზე არ ვამბობ. პირიქით, ჩვენ ისეთი ნიჭიერი ახალგაზრდები გვყავს ფშავში და ხევსურეთში, ისეთ შესანიშნავ კაფიებს წერენ, რომ ხან ერთი დასცემს ბეჭებზე მეორეს, ხან — პირიქით. ძალიან მიხარია, რომ ეს ხალხური ტრადიცია გრძელდება, სიტყვას ასე რომ ერკინებიან.

ყველა დიალექტი დასაცავია, რადგან საშიში დრო დადგა დიალექტებისთვის და კილოკავებისთვის.

— კიდევ ერთი ციტატა: „როცა იქაურობა ძალიან მომენატრება, მეტირება და ჩუმად ველაპარაკები იმ გზა-ბილიკებს, იმ ნიავს, შრიალით რომ გამივლიდა ყურთან. ხან გავლექსავ ხოლმე ჩემს განცდებს“.

ეგებ, ჩვენი გაზეთის მკითხველებსაც მოასმენინოთ რამდენიმე ნიმუში?

**—** პატარები ავიღოთ მაშინ, ჩასაწერადაც ადვილი იქნება და წასაკითხადაც.

*(და კითხულობს ლექსების კრებულიდან „ჩიტ რო იძახის, წიავ“.*

უნდა უსმინო და უსმინო და მიჰყვე პოეტურ სტროფებს. პატარ-პატარა ჩანჩქერებივით რომ გადაევლებიან უჟამო ჟამის მდინარებით გაჭრილ კალაპოტებს კალთებზე მთისა.

საკუთარს, სხვათათვის მიუწვდომელს.

საკუთარი რიტმითა და რითმებით, რომლებიც ვერლიბრის მსგავსია თითქოს, ეგებ იაპონურ ტანკასაც ჰგავს რაღაცით, მაგრამ ორიგინალურია თავიდან ბოლომდე — ქართულია, თუშური და არც უნდა შემედარებინა არაფრისთვის.

*თენგიზ მირზაშვილი, ჩუბჩიკა თუშეთზე შეყვარებული მხატვარი, ორიანებს უწოდებდა ამ მარგალიტებს: ორიანები წამიკითხეო (სამხაზიანებიც არის, იხსენებს ეთერ). ორსტრიქონიანები — სამყაროს სურათს რომ წარმოაჩენს კალმის ერთი მოსმით, და ადამიანის განწყობილების მრავალწახნაგოვნებას ამასთანავე).*

**დამეძინად რას ვხედავ:**
**ეთერო, აღარ ვარიდ,**
**ფერცრეც ჩიტად ვისახ...**

ან:

**თეთრ, ქათქათა ბუმბულში**
**ნახვევ, მტრედად ნაქცევარ**
**ფირუზ ცისაკ წავედ...**

ან:

**ჩიტმ რო ნისკარტით,**
**ისრ ვზიდ**
**ჩემ საბუდრის წკირებ...**

ახლა სხვებიც მოვისმინოთ:

**დანადუმარ ჭალაებთ,**
**დაჩუმებულ სოფლებმა-დ**
**უნდ მიხეთქონ გულ...**
**ჩქარა გედ,**
**გძელ ზამთარო-დ**
**ჩქარა მოდ გაზაფხულო,**
**ჩემ თუშეთის ცოცხლებად**
**ღონიერ ჩიგდ სულ.**

კიდევ:

**«ჯანმრთელი ურთიერთობები მკვდარია — ნათესავები აღარ ნათესაობენ, ოჯახები ერთმანეთთან ვერ მიდიან. ანუ ყველაფერი, რითაც საქართველო ინარჩუნებდა თავის სითბოს, ნათესაურს, ქრება. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ისე უკვდებათ ახლა დედები და მამები, და-ძმები, რომ სამუშაოს საპოვნელად სადღაც გადახვეწილები ტელეფონით დასტირიან თავისიანებს»**



თუშეთი

**აი, ჩამონამქრული-დ**
**ზამთრისწინა მთებ,**
**ღრუბლის განამქრალ**
**ფარდაი**
**აქა-იქ რო წყდებ.**
**აი, ცხვა გაზაფხულამდ**
**მომლოდინე გზებ.**

ერთიც — ლირიკული:

**ვიც, ბოლო არ ექნების**
**შენამდ მოსაღწევასა-დ**
**შენთან ყოფნის სავალს.**
**რამდენიც გინდ**
**ფეხუხრემლ,**
**თვალულუვომ ვისწრაფო-დ**
**ლოცვის რიდე გაფარე...**
**სუ კითხვა მაქვ უფალსთან:**
**სიყვარულის წაგლეჯა**
**რად არ სტანჯავს,**
**რადავ?..**

და იქვე პასუხად — ლოცვად აღვლენასავით:

**უფალო, შენ წყალობას**
**წამის-წამზე ვგებულობ,**
**მე, ცოდვებს ვერ ნარევალ,**
**სიამეს ვერ ვკლებულობ.**
**ათას უჭკო-მაჭკო ფიქრს**
**თავში ვიყრი-დ ვჭედულობ,**
**რად გიყვარვარ, უფალო,**
**სუ რად გყევარ თვალად,**
**გაგიგეწ, ჩემ უფალო,**
**სიყვარულ ხარ თავად...**

(ეს ლექსები ამოკრეფილია ეთერ თათარაიძის ლექსების კრებულიდან — „ჩიტ რო იძახს, წიავ“, რომელსაც ყდის შიდა მხარეს ვახუშტი კოტეტიშვილის წარწერა აქვს წამძღვარებული: „ეთერ თათარაიძის პოეზია გახლავთ დიალექტზე შექმნილი ლიტერატურის უიშვიათესი შემთხვევა“.

და ზურაბ კიკნაძის დასკვნა აგვირგვინებს. (ესეც ყდაზე, ოღონდ ბოლოს, როგორც სცენაზე წარმოდგენილი ბრწყინვალე წარმოდგენის დასასრულს, ტაშის გრიალში დაშვებული ფარდა).

**— უფალი ხომ არ გაწერინებთ ამ საოცრებებს, ქალბატონო ეთერ?**

— ეგ ხმამაღალი იქნება. მაგრამ მე შემხვედრია (მარტო თქვენ გეტყვით) ჩემი ლექსები, რომლებიც არც კი მახსოვს, როგორ დავწერე. გეტყვით, რომ გამხარებია: ის როდის გავაკეთე და როგორ კარგათ-მეთქი?! უფალს ჩემნაირებთან რა უნდა...

**— ერთმა თუშმა გზაზე მკვდარი ნიბლია ჩიტი ნახა და თქვა: ეგ რა თუშივით გზაში მომკვდარაო. გზაზე მინდა გკითხოთ. თქვენ გითქვამთ: ქალაქში მანქანით ორჯერ მოვხვდი და „არ მინდა იმ გზების დანახვა. მე სულ სხვა გზებით მივლია და ჩემი სული ვერ ეგუება იმ დაგლეჯილ მთებს“. აკი გზა სიმდიდრის შემომტანია და გამტანი?**

— გააჩნია რა სიმდიდრით შედის და რას აღარიბებს ის გზა. მატერიალურად შეიძლება გაუადვილა თუშს იმ გზამ ცხოვრება. მაგრამ იმ გზების გაჭრის მიზეზით დაიძრა მთები და ჩაიკეტა თუშეთამდე მისასვლელი ხისომდე. დაგუბდა ალაზანი და ტბა შექმნა. ეს მოაქვს უთავბოლოდ გზების გაჭრას თუშეთში. ეს ხომ არ არის შვეიცარია, სადაც იციან და დიდ ფულს ხარჯავენ, რომ ყველა ხიფათი, განსაკუთრებით, მიწის ზვავების საშიშროება თავიდან აიცილონ.

საშიში იყო მაშინაც, როცა ცხენით დადიოდნენ წვრილ ბილიკებზე, მაგრამ იმ ცხენმა იცოდა, სად გატარებდა. თავის ნებაზე რომ მიგეშვა, თვითონ მიგიყვანდა დანიშნულების ადგილზე. დანოდან წამოსულს ისევ დანოში დაგაბრუნებდა. მთვრალი მწყემსები ბევრჯერ მოუყვანია დანოში ისე, რომც არ გაუგიათ, როგორ მოაღწიეს.

ყველას უნდა თანამედროვე, მშვიდი, ბედნიერი ცხოვრება, წუთიერი გადასვლა კავკასიონზე და იმ საუფლოში მოხვედრა. მაგრამ, თუ ეს გზები თუ გიზიანებს იმ ბუნებას, არ მიმაჩნია (შეიძლება ჩამორჩენილი ვარ) სწორი იყოს — აღარ დაუტოვო სასუნთქი შენ ქვეყანას. კანონმდებლობით უნდა იყოს დაცული ის მხარეები.

რაც ცოცხალი ვარ, არ გამახსენდება რომელიმე მთავრობას ეკითხა ჩემთვის, რას ფიქრობ თუშეთზეო. მეტი რა ვიცი!

მთის პრობლემებზე მომუშავე კომისიის წევრებმა არ იციან, მთა სასმელია თუ საჭმელი.

ამიტომაა ჩვენი მთების საქმე ასე ცუდად. მე ნუ დამიძახებენ, მაგრამ მიიწვიონ ადგილობრივი მოსახლეობა, ჰკითხონ, რითი მიეხმარონ იქაურ ხალხს.

რომელი მთის კანონი მუშაობს, იქნებ მითხრან! შიმშილით რომ იხოცებიან და გვირაბებში და გამოთხრილებში რომ ცხოვრობენ?!

**— ახლა ტურიზმის განვითარებაზე ლოცულობენ.**

— ამან ხომ სულ გადააგვარა თუში ადამიანი. არ მიგიპატიჟებს. წყალიც, შეუძლია გთხრას, არ მაქვსო. ძალიან ძუნწები გახდნენ. გამონაკლისები დარჩნენ ნამდვილ თუშებად.

ახლა მოხევეებიც ერთმანეთს ეკითხებიან: მანქანა გაქუ? — არაო თუ უპასუხებს, — არც დელიკაიო? — ჩაეკითხება.

**— დელიკა რა არის?**

— დელიკა იაპონური მინივენია, რომლითაც დაარბენინებენ ტურისტებს.

ტურიზმს მთაში ძალიან დიდი რეგულაციები სჭირდება, კარგად გათვლა. მასპინძელიც უნდა უხვდებოდეს სტუმრებს ღირსეული. ამ საქმეში თათები უდევს დიდ სასტუმროებს — ერთსა და იმავე კუთხეებში, თუშურად რომ ვთქვა, ადოდგოებენ ტურისტებს და რაც სანახავია, იქ არ უშვებენ. იმიტომ, რომ მარტო ამათ გააკეთონ ფული.

**— მომსახურე ხალხად ვიქეცით.**

— მომსახურეც არ ჰქვია — მოსამსახურე და მოჯამაგირე გაგვხადეს. ეგაა ყველაზე ცუდი რამე.

**— ამას რაღა ეშველება?**

— სანამ მართლა რაღაცას არ გადაგვყრის უფალი, რომ მივხვდეთ და შევჩერდეთ, სხვა აღარაფერი გვიხსნის. იმ დაბერებასა და შიშშიც ეგა მაქვს ნაგულისხმევი! ყველაფერი დავიწყებისკენ მიექანება. ტელევიზიაც კი არ გვაქვს, სადაც თუნდაც ერთი ეროვნული გადაცემა მიდიოდეს.

ერთი და იგივე სტუმრები, სისულელეებზე ლაპარაკი, უკაცრავად და, გატყლარჭული „საზოგადოება“. ვინ არიან? თუ ისინი არიან ამ ქვეყნის სახე, მაშინ ეს არის უბედურება!

არაფერი არ დატოვეს ეროვნული. ეცინებათ — ჩამორჩენილობააო. მე არ მაშინებს ასეთი ჩამორჩენილობა.

იმ ძველმა, ერთადერთმა ტელევიზიამ თავის დროზე მოახერხა და ცალკე გადაცემა გაუკეთა ფოლკლორს.

**— ხალხური შემოქმედების მთავარი რედაქცია დააარსა ნუგზარ ფოფხაძემ, კომიტეტის მაშინდელმა თავმჯდომარემ.**

— დღეს ამაზე აღარც კი ფიქრობენ. ესეც დაბერების ნიშანია.

**— დაღლის.**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. დასასრულ, მოდი, ყველამ, ვინც ოდესმე თუშეთში ავსულვართ, ეთერ თათარაიძის ამ ლექსით გავიხსენოთ ეს სასწაული მხარე და სული გავილაღოთ:**

**მწვანე ხეებს ჩარიგებ,**
**ლურჯ ცას დადგამ თაღად,**
**შუაში ედემს დახფენ,**
**ჩიტებს ცას აშლ ლაღად.**
**ცივ-ლიპ ზამთარს**
**გადაშლი-დ**
**საქონს მიხფენ დაღად,**
**მთვარეს პირბადრს,**
**განამსვებს**
**ცას ჩამაბამ ჭაღად.**
**ვაი, შენ იქ არ ყოფნაი,**
**ნადარ ნამწვარ ბადაგს.**

საკითხავი აი ეს არის...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მომავალი თაობა მშვიდობის და მეგობრობის სულისკვეთებით უნდა აღვზარდოთ. ეს გრძნობები ჩვენი ხალხისთვის ოდითგანვე მახლობელი იყო, მაგრამ ურწმუნოებამ ბევრი რამ დაამახინჯა და ამიტომაც ეგოიზმს აყოლილი ჩვენი ახალგაზრდები ხშირად ავლენენ დაუნდობლობას მოყვასის მიმართ... სამართლიანობა და სიყვარული მთავარი პირობაა ადამიანებს შორის მშვიდობისა“.**

# როდის ინგრევა მომავალი თაობის ფსიქიკა?

„ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან?“ — ეს არ არის პოეტის რიტორიკული შეძახილი, დღეს ეს ჩვენი ერისთვის ყოფნა-არყოფნის საკითხია — როგორი მომავალი თაობა გვეზრდება, რა პრინციპებითა და იდეალებით ნასაზრდოები.

განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში ჩვენი უწმინდესი პატრიარქი ილია მეორე ეკლესიას ანიჭებს, ჯერ კიდევ 1997 წელს თავის საშობაო ეპისტოლეში მან თქვა: „სამწუხაროდ, ღვთის რწმენისა და სიყვარულის დაკარგვით დაიკარგა მიწიერი სიყვარულიც. სიყვარული, რომელიც უფრო მეტს გასცემს, ვიდრე იღებს, ანუ მშობლების სიყვარული შვილებისადმი და პირიქით, **დაიკარგა ან დამახინჯდა შვილების სიყვარული მშობლებისა და წინაპრებისადმი.**

იმის გამო, რომ დედ-მამა არ უყვართ, ბავშვები ხშირად ბედნიერებას ოჯახის გარეთ ეძებენ და, სამწუხაროდ, მეტწილად იქ, სადაც იგი საერთოდ არ არის. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ ოჯახებში ნამდვილი სიყვარული არ სუფევს“.

რაც შეეხება მოვალეობის გრძნობას სამშობლოს წინაშე, „ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდა ამ მიმართულებითაც უნდა გაძლიერდეს. ბავშვებს მამულის სიყვარულის, სულის სიძლიერის და ვაჟკაცობის გრძნობა, პირველ ყოვლისა, მშობლებმა უნდა ჩაუნერგონ; ეს უნდა ასწავლონ სკოლაშიც; ამ თემაზე უნდა დაიწეროს წიგნები და სპექტაკლები და კინოფილმები უნდა შეიქმნას“; „მომავალი თაობა მშვიდობის და მეგობრობის სულისკვეთებით უნდა აღვზარდოთ. ეს გრძნობები ჩვენი ხალხისთვის ოდითგანვე მახლობელი იყო, მაგრამ ურწმუნოებამ ბევრი რამ დაამახინჯა და ამიტომაც ეგოიზმს აყოლილი ჩვენი ახალგაზრდები ხშირად ავლენენ დაუნდობლობას მოყვასის მიმართ... სამართლიანობა და სიყვარული მთავარი პირობაა ადამიანებს შორის მშვიდობისა“.

საიტზე orthodoxy.ge გამოაქვეყნებულია დარიგებანი მართლმადიდებლური ოჯახის შესახებ, რომელსაც ჩვენს მკითხველებს დღეს ვთავაზობთ, რადგან ეს დარიგებანი ყურად უნდა იღოს, უპირველესად, ყველა ქართველმა და აქციოს ისინი თავისი ცხოვრების გზამკვლევად.



**ოჯახი არის ის გარემო, რომელშიც ბავშვის ფსიქიკა ყალიბდება. აქ ეზიარება იგი რწმენასა და სიყვარულს, აქ ღვივდება მისი სული, აქ იქცევა იგი პიროვნებად. სამწუხაროა, რომ თანამედროვე ოჯახი თანდათან კარგავს ამ ღრმა აზრს; თანდათან უფრო შემაშფოთებელია მისი რღვევის ნიშნები**

„პრობლემა, რომელსაც ჰქვია გაუცხოება მშობლებსა და შვილებს, ახალგაზრდობასა და უფროს თაობას შორის, სათავეს ოჯახის ტრადიციის რღვევიდან იღებს. როდესაც ოჯახი ირღვევა, ინგრევა მომავალი თაობის ფსიქიკა, სულიერება, შესაბამისად, ინგრევა მომავალი თაობაც, ამიტომ ოჯახზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული“, — გვმოძღვრავენ სულიერი მამები.

ეკლესია გვეუბნება, რომ სულიერი განწმენდის გარეშე თავისუფლებას სიკეთე არ მოაქვს. ქრისტე ვერ შეიცნეს ფარისევლებმა და მწიგნობრებმა, რადგან მისგან ამქვეყნიურ თავისუფლებას მოელოდნენ. რომაელების ბატონობის ქვეშ მყოფ ებრაელებს ქრისტე ასწავლიდა, რომ უპირველეს ყოვლისა, სულიერი განწმენდისთვის უნდა ეზრუნათ. ეს კარგად ჩანს დღევანდელი საქართველოს პრესისა და ტელევიზიის ზოგიერთ მაგალითზეც. **მარტო გარეგნული პირობებით ადამიანი ვერასდროს გახდება თავისუფალი და ვერც სულიერ სიმშვიდეს მოიპოვებს. ღვთის შვილობა თუ გინდა, უნდა გძულდეს ბოროტება, ბოროტების ჩამდენი ადამიანი კი უნდა გებრალებოდეს, მისი გამოსწორებისათვის უნდა ლოცულობდე, ევედრებოდე ღმერთს.**

**გახსოვდეს, ერთი ადამიანიც რომ გძულდეს, შენს ლოცვას ღმერთი არ შეისმენს!**

**...როდესაც შეიგნებ, რომ ყოველი წამი შენი ცხოვრებისა ღვთის ხელშია, გახდები მადლიერებით მლოცველი; გაჭირვებისას — მდაბლად ითხოვ, დალხინებისას — აქებ და ადიდებ ღმერთს. გახსოვდეს, სანამ მხოლოდ ღმერთზე არ დაამყარებ იმედს და სავსებით არ მიენდობი მის ნებას, ვერასოდეს გახდები თავისუფალი!** იკითხე წმინდა წერილი (ძველი და ახალი აღთქმა), წმინდანთა ცხოვრება და მათი დარიგებანი, რათა მოგემატოს რწმენა და სიყვარული ღვთისა... **ღმერთი გუშინ და დღეს ერთი და იგივეა. ჭეშმარიტება არ იცვლება დროის ან მატერიალური პირობების მიხედვით.**

**...მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესია ინახავს უცვლელად ქრისტეს მიერ მოციქულებზე გადმოცემულ და ქრისტიანთა შვიდ მსოფლიო კრებაზე დამტკიცებულ ჭეშმარიტებას. გახსოვდეს, რომ იესო ქრისტემ თავისი ჯვარცმით მთელი კაცობრიობა გამოისყიდა ცოდვებისაგან და დედამიწაზე დაამყარა ეკლესია, რომლის გარეშეც სულის გამოხსნა შეუძლებელია!**

ოჯახი არის ის გარემო, რომელშიც ბავშვის ფსიქიკა ყალიბდება. აქ ეზიარება იგი რწმენასა და სიყვარულს, აქ ღვივდება მისი სული, აქ იქცევა იგი პიროვნებად. სამწუხაროა, რომ თანამედროვე ოჯახი თანდათან კარგავს ამ ღრმა აზრს; თანდათან უფრო შემაშფოთებელია მისი რღვევის ნიშნები.

მხოლოდ ქალს შეუძლია გადაარჩინოს ოჯახი: დედა ასწავლის შვილს პირველ ლოცვას, უკითხავს მას პირველ ლექსს. დედა შვილით ცხოვრობს, შვილით სუნთქავს, სხეულით გრძნობს მის სულიერსა და ხორციელ სატკივარს. როცა შვილი განსაცდელშია, დედა ნათელმხილველი ხდება, მისი ლოცვა სასწაულმოქმედ ძალას იძენს. **წმიდა მამები ამბობენ, რომ დედის ლოცვას შეუძლია ჯოჯოხეთიდან ამოიყვანოს შვილის სული!**.. ქალმა დაიწყო ადგილის ძიება ოჯახის გარეთ. ცივი გონებით განსჯამ, პრაქტიციზმმა გააუხეშა და დაარღვია მისი ფაქიზი ქალური ბუნება. მას გაუნელდა შვილების ყოლისა და მათი აღზრდის სურვილი. გამოვიდა რა ოჯახიდან, ქალმა დაკარგა შინაგანი სიმშვიდე, კდემამოსილება, სისადავე, შინაგანი სიღრმე, გაუმჟღავნებელი განცდა; იდუმალების კვალი ნელ-ნელა ქრება თანამედროვე ქალის სახიდან.

...როცა ოჯახში ასეთი სიყვარულია, ამას აუცილებლად ხედავენ შვილები. ისინი გრძნობენ მშობლიურ სიყვარულს, ხედავენ მათ ურთიერთ სიყვარულს და მათში ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობის გრძნობას ზრდის, უჩნდებათ სურვილი, რომ თვითონაც ასეთივენი იყვნენ მშობლების, ერთმანეთის და საზოგადოების მიმართ. მართლმადიდებლური ოჯახის წევრები უნდა იცავდნენ ეკლესიურ წესებს: უნდა მარხულობდნენ, სახლში ყოველდღიურად უნდა ლოცულობდნენ; აუცილებელია შაბათ-კვირას და დღესასწაულის დღეებში ეკლესიაში სიარული, სინანულითა და აღსარების საიდუმლოს მადლით ცოდვათაგან სულის განწმენდა, ხშირად ზიარება, ყოველწლიურად სახლის კურთხევა. აუცილებელია გარდაცვლილ ახლობელთა და წინაპართა სულებისათვის ლოცვა, ეკლესიის მიერ სპეციალურად მიცვალებულთა მოხსენიებისათვის განკუთვნილ დღეებში... წმიდა მოციქული პავლე ამბობს, რომ ასეთი ოჯახი გადაიქცევა „სახლის ეკლესიად“, იქ დაივანებს უფალი და დაიცავს მას მშვიდობით, სიყვარულითა და კეთილდღეობით. **ზოგიერთი მშობელი წუხს, ტირის შვილების უდიერი საქციელის გამო და ვერ შეუგნია, რომ უმეტესწილად თვითონ არის ამაში დამნაშავე, რადგან ქრისტიანული რწმენითა და სიყვარულით არ აღზარდა ისინი. მშობლებო, არასოდეს, არავითარ შემთხვევაში არ დაწყველოთ თქვენი შვილები, არამედ დალოცეთ, აკურთხეთ ისინი! გებრალებოდეთ და გიყვარდეთ ისინი. გახსოვდეთ, რომ თქვენს სიტყვებს დიდი ძალა აქვს და აუცილებლად აუხდება თქვენს შვილებს!** ბიბლია გვასწავლის, რომ მშობლის კურთხევა და ლოცვა განამტკიცებს შვილებს, მათ სახლსა და ოჯახს, წყევლა კი საძირკვლამდე ანგრევს მათ. შვილებს კი მუდამ უნდა ახსოვდეთ უფლის მეხუთე მცნება: „პატივი-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელი იყო ქვეყანასა ზედა“. **მშობლების პატივისცემაზეა დამოკიდებული შვილების კეთილდღეობა.** წმიდა წერილი გვასწავლის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დედ-მამის დალოცვას, ოღონდ დალოცვა უნდა იყოს დამსახურებული, მშობლების დაფასებით მოპოვებული. განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება ხანდაზმულ, ავადმყოფ, დაუძლურებულ მშობლებს. არადა, ზოგიერთი თავიდან იშორებს მათ და მოხუცებულთა თავშესაფარში გზავნის. ეს საშინელი სისასტიკეა. დედ-მამის უპატივცემულობის მიზეზით შვილები შემდეგ სხვადასხვა ავადმყოფობით იტანჯებიან; მათ ოჯახებში არ არის სიმშვიდე და სიყვარული. ...არ შეიძლება ქრისტიანენი ვიყოთ მხოლოდ ეკლესიაში და მის კარიბჭეზე გადმობიჯებისთანავე დავინთქმებოდეთ ხოლმე მიწიერი მიზნებისა და საზრუნავების მორევში. **ეკლესიიდან შინ, ოჯახში, უნდა წამოვიღოთ ქრისტიანული სულისკვეთება, მცნებათა აღსრულება და ყოველდღიური ცხოვრების წესად ვაქციოთ. მხოლოდ მაშინ ექნება ჩვენს ოჯახებს მშვიდობა, სიმტკიცე, ღვთის შეწევნა და წყალობა, ქვეყანას კი ეყოლება ქრისტეს მცნებით ნასაზრდოები ჯანსაღი მომავალი თაობა.**

**ზოგიერთი მშობელი წუხს, ტირის შვილების უდიერი საქციელის გამო და ვერ შეუგნია, რომ უმეტესწილად თვითონ არის ამაში დამნაშავე, რადგან ქრისტიანული რწმენითა და სიყვარულით არ აღზარდა ისინი**

შენ ხარ მარადიული, განუყრელი და ერთგული წევრი და მსახური შენი მშობელი საქართველოსი.

შენი სამშობლოს მტერი შენი პირადი მტერია, ხოლო მისი მეგობარი — შენი პირადი მეგობარი.

ყველაფერი, რაც გაქვს და გექნება, შენი სიცოცხლეც კი, შენს მამულს ეკუთვნის.

შენ მიეცი მას წრფელი გულით ყოველივე და ისიც მოგცემს ყოველივეს.

მაინც მუდმივ მხოლოდ შენი თავის იმედი იქონიე. ისე იცხოვრე, ვითომ ამქვეყნად არც მოვალე გყოლია და არც მშველელი.

განაგე თავი შენი და დაუმორჩილე გონებას შენი ჟინი, კერპი გული და ურჩი სურვილები.

გზის გაკვლევა და გამარჯვება შეიძლება მხოლოდ შრომით და პატიოსნებით. ზარმაცობა, ცუღლუტობა, სიცრუე და სიყალბე ადამიანს ადრე თუ გვიან უეჭველად დაღუპავს.

სანამ საკუთარ ფეხზე არ დამდგარხარ, მშობლებს ყველაფერი დაუჯერე. იმათ შენთვის მხოლოდ სიკეთე უნდათ. ჯერჯერობით საკუთარ ჭკუას, ჟინს და გულის ზრახვას ნუ აჰყვები.

თავმოყვარეობა შეიძინე და თავის თავის ფასი ისწავლე, მაგრამ ნუ გადააჭარბებ, არ გაამაყდე.

ბოლოს და ბოლოს, ყოველთვის სჯობს სამი რამ: პირველი — შრომა, მეორე — შრომა და მესამე — შრომა.

ზემონათქვამი დაიხსომე და შეითვისე.

შენი მოსიყვარულე მამა, მიხეილ ჯავახიშვილი

რუბრიკას უძღვება **დარეჯან ანდრიაძე**

**„მხოლოდ ის ხალხი ჩაითვლება ერად, რომელსაც აქვს თავის ხალხოსნობის შეგნება, თვითცნობიერება. მაშასადამე, ერი თვით მცოდნე ხალხია, ეროვნება — შეგნება ნათესაობის და კავშირისა განსაზღვრულ ადამიანთა შორის, შეგნება აგრეთვე იმ აზრისა, რომ ეგ კავშირი სხვა, უფრო ძლიერ მტერთან ბრძოლისთვის აუცილებელი და უსაჭიროესი იარაღია“.**

ისტორიანი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# არჩილ ჯორჯაძე და ეროვნული პრობლემა საქართველოში

**არჩილ ჯორჯაძე დიდი პატრიოტი, პუბლიცისტი, ფილოსოფოსი და სოციოლოგი, ძალზე ღრმად ჩასწვდა ქართულ სინამდვილეს. მან პირველმა დაიწყო ჩვენი ერის საზოგადოებრივი და ეროვნული მოძრაობის ისტორიის კვლევა. მის თხზულებებს ამ მხრივ ფასდაუდებლად მიიჩნევს ივანე ჯავახიშვილი: „თქვენ ეხებით ისეთს საყურადღებო და საგულისხმო საკითხებს, რომლის გათვალისწინება და ცოდნა ყოველი ქართველისათვის არის საჭირო და სახელმძღვანელოდ ექნება თანამედროვე საზოგადოებას. თქვენის ნაწერებისა მე გულწრფელობა და პირუთვნელობა მომწონს, მიუდგომელი, ნამდვილის მეცნიერული მსჯელობა, მაგრამ ცივი და გულგრილი კი არა, არამედ მხურვალეს, შემატკივარ და თანამგრძნობ გულით დაწერილი. თქვენს გარდა, ჩვენში არავინ იკვლევს ჩვენი ერის საზოგადოებრივ და ეროვნულ მოძრაობის ისტორიას და თქვენი თხზულებები ამ მხრივ პირდაპირ დაუფასებელია. სწორედ საჭირო იყო ამ საკითხს შეჰხებოდნენ ჩვენ მწერლობაში, რომ ჩვენს თანამედროვე აზროვნებას და მსჯელობას მუდამ ღრმა საფუძვლიანობა ჰქონდეს და ხვალ არ დავიწყოთ ის, რაც გუშინ და გუშინწინ ნათქვამი და გაკეთებული იყო“.**

**გთავაზობთ არჩილ ჯორჯაძის სტატიის „ეროვნული პრობლემა საქართველოში“ ფრაგმენტებს.**



ქართველ რევოლუციონერთა I კონფერენციის მონაწილეები: ვარლამ ჩერქეზიშვილი, მიხაკო წერეთელი, არჩილ ჯორჯაძე (ერთ-ერთი ორგანიზატორი და მომხსენებელი), გიორგი დეკანოზიშვილი, სანდრო გაბუნია და კომანდო გოგელია

„ხალხი შევიწროებული და შეხუთულია, ხოლო მოადგებოდა რა მას მტერი, იგი ივიწყებდა თავის ვარამს, ხელს აძლევდა თავის მჩაგვრელს და მასთან ერთად მტერს ებრძოდა. ეტყობა, ის გარეშე მტერი მას უფრო მავნებელ მტრად მიაჩნდა, ვიდრე შინაური ბატონი, რომ, მიუხედავად ნივთიერ უთანასწორებისა, **ჩვენი გლეხი რაღაცით დაკავშირებული იყო სხვა წოდებასთან. მას შინაური მონობა ერჩია გარეშე ძალის მონობას. ეს რაღაც იყო — ენა, ზნე, ჩვეულება, სარწმუნოება, ისტორიული ტრადიცია და სხვა და ის სხვა — ის, რასაც მეცნიერები ფიზიკურ ფაქტორს უწოდებენ. მაშასადამე, ჩვენი ხალხი თავის თავს იცავდა, იცავდა თავის მიწასა და სარწმუნოვებას.**

ყველა ამისი დაცვა მას თავისუფლების დაცვად მიაჩნდა და **გარეშე მტერს იგი უყურებდა, როგორც იმის სიცოცხლის და თავისუფლების დამამხობელს.** ასე, რომ ძველ დროში ეროვნული კითხვა ქართველი ხალხის, სიცოცხლის და თავისუფლების კითხვა იყო. სიცოცხლე და თავისუფლება ხომ ხალხს თავისებურად ესმოდა.

**ჩვენს დროში რაღა არის ეროვნული საკითხი?**

**რა ნიადაგზე შეიძლება შეთანხმება ორგვარი მოვლენისა — ერთი მხრივ, ეროვნული თანხმობის, მეორე მხრივ, თანამედროვე ეკონომიური წინაღმდეგობისა, განხეთქილებისა?**

**რანაირად შეზავდეს ერთმანეთში კლასთა ბრძოლის პრინციპი და ეროვნება?**

ამ კითხვის გამოკვლევისთვის ჩვენ დაბეჯითებით უნდა ვიცოდეთ ის, თუ რა არის ეროვნება ანუ ნაციონალიზმი, შეგნება იმ აზრისა, რომ მე, როგორც კერძო ადამიანს, მაქვს ნივთიერი და სულიერი კავშირი ჩემ ხალხთან. ხოლო საიდან წარმოდგება ეს კავშირი? იმ შეგნებიდან, რომ ეს კავშირი თავდებია სიცოცხლის, ბედნიერების და თავისუფლებისა. ისტორიულ მსვლელობაში ადამიანი ერთბაშად ვერ მიხვდა, რომ ყოველი ადამიანი ადამიანია, ვიდრე ის იმ აზრამდე მივიდოდა, მისთვის საჭირო იყო განვლილი გზა განევლო, ოჯახების შეერთებიდან თან-და-თან თემი შედგა, თემების შეერთებიდან – ხალხი და ხალხი ცნობიერების გაღვიძების წყალობით ერად იქცა. ასე რომ, **მხოლოდ ის ხალხი ჩაითვლება ერად, რომელსაც აქვს თავის ხალხოსნობის შეგნება, თვითცნობიერება. მაშასადამე, ერი თვით მცოდნე ხალხია, ეროვნება — შეგნება ნათესაობის და კავშირისა განსაზღვრულ ადამიანთა შორის, შეგნება აგრეთვე იმ აზრისა, რომ ეგ კავშირი სხვა, უფრო ძლიერ მტერთან ბრძოლისთვის აუცილებელი და უსაჭიროესი იარაღია“.**

„...კიდევ ეროვნება და ეროვნების შესახებ ლაპარაკი! იფიქრებს მკითხველი.

წარსულ საუკუნის მეორე ნახევარში ამ საგნის გარშემო ტრიალებდა ქართველი ინტელიგენციის აზრი. ბევრი წერილი დაწერილა, ბევრი სჯა-ბაასი გამართულა ამ პრობლემის შესახებ. გადავდგით ფეხი მეოცე საუკუნეში და ისევ აგვეტუზა თვალწინ ისევ იგივე საგანი, ისევ აგვალაპარაკა, ისევ ჩაგვაფიქრა და გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩაგვაგდო.

და უნდა ვსთქვათ, რომ წინად ეროვნების შესახებ ლაპარაკი ქართველ პუბლიცისტიკისთვის ერთგვარი გულის მოსაფხანი საშვალება იყო. ეხლა ამ ლაპარაკს საქმიანობის ელფერი დაეტყო. პუბლიცისტი აღარ ჰგოდებს, აღარ იმსჭვალვება სევდით, იგი ეძებს პრაქტიკულ გზას, პრაქტიკულ პირობებს, რომელშიაც მას სწადია ეროვნული ცხოვრების ჩაყენება.

დღეს ეროვნული პრობლემა არა მარტო თეორიულ და რომანტიულ ინტერეს წარმოადგენს, არამედ სამკვიდროსასიცოცხლო საგანს, იმისთანა რამ საგანს, რომელიც ყოფს ქართველ ინტელიგენციას ორ დიდი ბანაკად, მაშინ, როდესაც ამ საგანს ორ პროგრესულ პარტიათა შორის ქიშპობა და მძულვარება კი არ უნდა გამოეწვია, არამედ შეთანხმებული და ერთი აზრით გამსჭვალული მოქმედება.

დღეს ჩვენს საზოგადოებაში სხვადასხვა კლასიფიკაციის საფუძვლად ეროვნული პრობლემა გახდა. არავინ დაეძებს, თუ რა მსოფლმხედველობის პატრონი ხართ საზოგადოდ, რა თვალით უყურებთ შრომის ორგანიზაციის საქმეს, რა გიყვართ ხელოვნებაში და რას ეძებთ, რას ესწრაფვით სიცოცხლეში. ყოველივე ეს დღეს საინტერესო არ არი. **საინტერესოა მხოლოდ ერთი რამ, სახელდობრ ის, თუ როგორ გესმით ეროვნული პრობლემა; ავტომონომისტი ხართ თუ ავტონომიის მოწინაღმდეგე; ამაყად ატარებთ ქართველი კაცის სახელს თუ სირცხვილით იწვით, რომ განგებამ ქართველად გშობა და ქართულ ენაზე მოსაუბრე ადამიანად გაგაჩინა.**

თუ აშკარაა და ნათელი ამ საგნის შესახებ თქვენი აზრი, დანარჩენი ყველაფერი ნათლით იფინება, თუ თქვენ იმდენად გულუბრყვილო ბრძანდებით, რომ ქართველობა არ გეთაკილებად, არც გეზიზღებათ, იცოდეთ შავრაზმელთა ჯგუფში უნდა ჩაირიცხოთ, ნაციონალისტის სამარცხვინო სახელი უნდა ატაროთ და წყვდიადი და ბნელეთია მაშინ თქვენი ხვედრი და, თუ გამოხვედით მოედანზე და შესძახეთ გულში ხელის ჩარტყმევით: ამხანაგებო, წარსული მძულს და აწყმო მეზიზრება-თქო, იცოდეთ, რომ თქვენი მომავალი უზრუნველყოფილია, შარავანდედით შეიმკობა თქვენი კოსმოპოლიტიკური გვამი და ქუჩაში გავლისას თქვენზე თითით მიანიშნებენ და იტყვიან: აი ჩვენი მხსნელი, აი თავისუფლების მოციქული და შავრაზმელ ნაციონალისტთა ამომგდებიო“.

არჩილ ჯორჯაძე ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ მაინც ძალზე ბევრის გაკეთება მოასწრო თავისი ქვეყნისთვის. **ის იყო ქართველ რევოლუციონერთა I კონფერენციის მოწვევის ერთ-ერთი ორგანიზატორი და მომხსენებელი.** კონფერენცია გაიმართა 1904 წელს ჟენევაში. მას ესწრებოდნენ: ვარლამ ჩერქეზიშვილი, მიხაკო წერეთელი, არჩილ ჯორჯაძე, გიორგი დეკანოზიშვილი, სანდრო გაბუნია და კომანდო გოგელია.

**არჩილ ჯორჯაძემ თავის თანამოაზრეებთან ერთად მოითხოვა მეფის რუსეთის პოლიტიკური ძალაუფლების დეცენტრალიზაცია. რუსეთის ფედერაციული მოწყობა და მიწის სოციალიზაციის დემოკრატიული პროგრამის განხორციელება. ამ ჯგუფმა, არჩილის ინიციატივით, პირველმა დააყენა საქართველოს ავტონომიის შექმნის მოთხოვნა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ერის კონსოლიდაციისთვის.**

**ისევე, როგორც დღეს, არჩილ ჯორჯაძის დროსაც ქართველობა ახალი ცხოვრების დაწყების ზღურბლთან იდგა.** **არჩილი წერდა, რომ „ის, რითაც გვიცხოვრია, დაძველდა, გაცვდა და ახალი გზის ახალი იდეალის ძიებაში ვართ... ჩვენ დუღილის ხანაში ვართ. ეს ჩვენი სინორჩე, გამოურკვევლობა, „დუღილი“ უნდა გვახარებდეს, გვამხნევებდეს, რადგან ყოველივე ეს სიცოცხლის მომასწავებელია; რადგან სიცოცხლე მოლოდინია, მოლოდინი და რწმენა კი დიდი ბედნიერებაა, მაგრამ მარტო მოლოდინით ვერ დავკმაყოფილდებით, ვითარება და ჩვენი მოლოდინი საქმეს გვავალებს, ეს საქმე უნდა იყოს ცოცხალი, ცხოვრებისეული, მსჯელობას მოქმედება მოჰყვეს, ცოცხალი, მარტივი ქმედება, მაგრამ რას უნდა მივაქციოთ პირველ რიგში ყურადღება, რა უნდა იყოს ჩვენი პირველი საქმე? ამის გადაწყვეტა ძნელია, რადგან ჩვენში ბევრი რამაა გასაკეთებელი“.**

ჯორჯაძე ილიასავით „მოყვარეს პირში უზრახეო“-ს პრინციპით ხელმძღვანელობდა, როცა **წერდა, რომ ქართველები „ზარმაცები ხართ, არამუყაითნი, დაუდევარნი, არამტკიცე, აპილპილდებით მოკლე ხნით და გამუდმებული შრომა კი გეზარებათ. გატაცებით მოკიდებთ საქმეს ხელს, ხოლო მალე დატოვებთ დაუმთავრებელს. ოცნებობთ, განყენებულის თეორიებით ცხოვრობთ და გავიწყდებათ, რომ ოცნება, თეორია და პრაქტიკული ცხოვრება ერთი არაა, გიყვართ პოლიტიკაზე ბაასი, მაღალი, დიდი საქმეები და არ ფიქრობთ, რომ სინამდვილე უფრო პატარა საქმეებისაგან შედგება და დიდი საქმე იმსხვრევა, როცა ნიადაგი არა აქვს მომზადებული პატარა, ყოველდღიური მუშაობით. ყველას მაღალი თანამდებობა, დიპლომი, ჩინი, სამსახური გინდათ მაშინ, როცა საჭიროა პატიოსანი, ბეჯითი, მხნე, უბრალო მუშაკი, შემოქმედი ქვეყნის სიმდიდრისა, ახალი კულტურის გამავრცელებელი, ცხოვრების გამაუმჯობესებელი“.**

ა. ჯორჯაძის აზრით, **ქართული ეროვნება და ეროვნული ცნობიერება ქართულმა სახელმწიფომ (სამეფომ) შექმნა. დასუსტებული სახელმწიფოებრიობის პირობებში ქართული პოლიტიკა ცბიერებისა და დაუნდობლობის სფერო ხდება და ჩვენ ეროვნულ თვითშემეცნებას ძალადობისა და ამორალური პოლიტიკის დაღი აზის.**

არჩილ ჯორჯაძე ქართული ეროვნული იდეალების შემუშავებისა და განხორციელების საქმეში მთავარ როლს **ინტელიგენციას** აკისრებდა.

**იგი გამოყოფს „სამ უმთავრესს საკითხს ჩვენი ცხოვრებისა: ა) ქართული ენის დაცვა, ბ) ქართული ვაჭრობა-მრეწველობის შექმნა და გ) ქართული მეურნეობის ქართველთა ხელში დარჩენა“.** ეს საკითხები დღესაც ისევე აქტუალურია.

მაგრამ პოლიტიკურ ძალებს არაფერი აინტერესებთ, პირადი ცხოვრების მოწყობისა და სენსაციების გარდა, ქვეყნის სატკივარზე ფიქრისთვის არ სცალიათ... ყველას უნდა ცხოვრების სუფრაზე უდარდელად წამოსკუპებაო.

არჩილ ჯორჯაძის აზრით, ქართველ ერს თავისი თავი დიდი იდეალების განმახორციელებლად ჰქონდა წარმოდგენილი, საქართველო კი — დიდ მოვლენათა ასპარეზად. სინამდვილეში იდეალები ჩაკვდა და შეგვრჩა გაძარცული, უსაზრისოდ გარინდებული ქართული სინამდვილე.

**„საქართველო სოციოლოგიური და სოციალისტური პრობლემების გასარკვევი ლაბორატორია გვეგონა, გამოირკვა, რომ ჩვენ პატარა ხალხი ვართ, შემდგარი მეცხვარეების, მევენახეებისა და მიწათმოქმედთაგან. აღმოჩნდა, რომ ქართველ ხალხს არც საძოვარი აქვს ცხვრებისთვის და არც სახნავ-სათესები. ყველაფერი დაიკარგა, სხვა ერებმა მიითვისეს... დაღონებული და დასევდიანებული ვგრძნობთ, რომ ის, რასაც ვაკეთებთ, ნამდვილი საქმე არაა და ის, რითაც ვცხოვრობთ, აზრს და მიზანს მოკლებულია“. „როდესაც ერის განადგურების მოწმე ხდები, — პირველი აზრი, რომელიც უნდა დაიბადოს ამ ხალხის გულის სიღრმეში თავისი ვინაობის დასაცავად და შესანარჩუნებლად, არის საერთო აღორძინების და საერთო მოქმედების იდეა“.**

ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში ინტელიგენციასთან ერთად არჩილ ჯორჯაძე უდიდეს როლს აკისრებდა საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას „რომელიც ისტორიულად იყო ძალა, რომელსაც შეეძლო, ერი ეხსნა გადაგვარებისაგან და რომელიც მუდამ ჟამს მისი ინტერესების დაცვის სადარაჯოზე იდგა“.

„ნიკბეზი“ საზოგადოებისთვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ძალადობრივი დანაშაულის საერთო რაოდენობის ერთი მეოთხედი განეკუთვნება ისეთ შემთხვევებს, როცა მსხვერპლმა აქტიურად შეუწყო ხელი მის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენას. იმიტომ კი არა, რომ მას ეს სურდა, არამედ იმიტომ, რომ იგი თვითონ გახდა ერთ-ერთი აუცილებელი პირობა და მიზეზი იმისა, რომ აგრესია განვითარებულიყო მის წინააღმდეგ.**

**მასალა, რომელსაც დღეს გთავაზობთ, თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეებისთვის, მეცნიერი-იურისტებისთვის ჩამორთმეული ერთგვარი კოლექტიური ინტერვიუა, უფრო ზუსტად, ამონარიდები სამართალმცოდნეების საუბრებიდან. მათი დებულებები და განმარტებები ვიქტიმოლოგიის თეორიასა და პრაქტიკაზეა აქცენტირებული. სტატიის ბოლოს მიწერილი სახელი და გვარი კი მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ „ავტორს“ ერგო ამ ნააზრევის გაერთიანების პატივი ამ შემთხვევაში.**

# შეიძლება, რომ მსხვერპლი საკუთარ თავს ხელყოფდეს?



**ვიქტიმოლოგია არის მეცნიერება მსხვერპლის შესახებ; ვიქტიმურობა — ადამიანის მიდრეკილება მსხვერპლად გახდომისკენ, მისი ფარგლები და მასშტაბები — ინდივიდური და კოლექტიური**

თორემ რესპონდენტებს სამეცნიერო სტატიებისა და ნაშრომების გამოცემა, ტელე და საგაზეთო ინტერვიუები არ აკლიათ.

გვარ-სახელით არავინაა მოხსენიებული, რადგან ადრინდელი თუ ამჟამინდელი თანამდებობა თუ მდგომარეობა, საერთაშორისო იურიდიული კომისიების წევრობა და ა.შ. უზღუდავს ნებისმიერ მიმდინარე დავებში არათუ მონაწილეობას, არამედ მათ შესახებ დამოკიდებულების საჯაროდ გამოთქმას.

სასამართლოს განაჩენის დადგომამდე და მას შემდგომაც.

სხვები **ად ჰოკ მოსამართლეებად** რჩებიან (ლათინურად ნიშნავს — „სპეციალურად ამისთვის“, „განსაკთრებული შემთხვევისთვის“ განკუთვნილს, სათადარიგო მოსამართლეობას) და ამის გამო ექვემდებარებიან „ამკრძალავ“ მოთხოვნებს.

მოკლედ, მიიღეთ, რაც არის და როგორც არის.

პირველი, რაც მათი პასუხებიდან შევიტყვე, არის ის, რომ ობივატელის დონეზე და იურისტების წრეებში გავრცელებულ ლეგენდას, რომ ცნობილმა რუსმა ადვოკატმა **პლევაკომ** (ქართულ ვარიანტში **ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა**), ბატონის მკვლელი მეეზოვე გაამართლა, სიმართლეს არ შეეფერება.

ეს ყოფილა ძველი რომაული არაკი.

ყოველ დილით შეურაცხყოფდა ბატონი მონას, დასცინოდა, — კუზიანი ხარო... ბოლოს და ბოლოს, მონამ ვეღარ მოითმინა და მოკლა პატრონი.

იმ ლეგენდარულმა რომაელმა ადვოკატმა დამცველის სიტყვა ასე დაიწყო:

— უფალო მოსამართლენო, — და გაჩერდა.

მეოცეჯერ რომ იგივე გაიმეორა, ჩაქუჩი ესროლეს.

— ბატონებო, უფალოს რომ გიწოდებდით, ის ვერ მოითმინეთ და აღშფოთდით, კუზიანებოო, რომ დამეძახა, ხომ მომკლავდითო!

მოსამართლეებმა გაამართლეს მონა.

ახლა კი **რა არის ვიქტიმოლოგია.** ეს არის იურისპუდენციის ძალიან საინტერესო მიმართულება, რომელიც ძირითადად განვითარდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ და წარმოგვიდგება, როგორც კრიმინოლოგიის განშტოება.

სიტყვასიტყვით კი ნიშნავს მსხვერპლოლოგიას — მოძღვრებას დანაშაულის მსხვერპლის შესახებ. მეცნიერული მიმდინარეობაა, რომელიც სწავლობს საკუთრივ დანაშაულის მსხვერპლის როლს მის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გენეზისსა და ეტიოლოგიაში, რა წვლილი მიუძღვის ამ დანაშაულში.

სერიოზული მიმართულებაა, რომელიც ემყარება სოციოლოგიურ გამოკვლევებს, რომელთა მიხედვით, ძალადობრივი დანაშაულის საერთო რაოდენობის ერთი მეოთხედი განეკუთვნება ისეთ შემთხვევებს, როცა მსხვერპლმა აქტიურად შეუწყო ხელი მის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენას. იმიტომ კი არა, რომ მას ეს სურდა, არამედ იმიტომ, რომ იგი თვითონ გახდა ერთ-ერთი აუცილებელი პირობა და მიზეზი იმისა, რომ აგრესია განვითარებულიყო მის წინააღმდეგ.

ამის მაგალითი ძალიან ბევრია. მთელი ის ნაწილი სისხლის სამართლის კოდექსის, რომელიც უკავშირდება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებას ან აფექტით ჩადენილ დანაშაულს, **ვიქტიმური** შემთხვევებია.

**ვიქტიმობა ნიშნავს, რომ არიან ადამიანები, რომლებშიც მომძლავრებულია ვიღაცის მსხვერპლად ქცევისკენ მიდრეკილება.**

კლასიკურ მაგალითად გამოდგება **ბერტოლდ ბრეხტის** ეპიკური პიესის „კავკასიური ცარცის წრის“ ერთი სცენა.

მთავარი გმირი აზდაკი მოსამართლე „ლოთი, მექრთამე და ჯიბგირია“, მაგრამ, იურიდიული შედევრების ავტორიც გახლავთ. ეს აზდაკი განიხილავს „დაზარალებული“ ახალგაზრდა ქალის საჩივარს, რომელსაც ქართულ ვარიანტში ჰქვია ჟუჟუნა, აზდაკი კი ძალიან ღრმა დეკოლტიდან საყოველთაო სახილველად გამოფენილი გულმკერდის გამო ჯუჯუნას (ძუძუნას) ეძახის. ქალი ჩივის, რომ იგი მეჯინიბემ გააუპატიურა. აზდაკი არკვევს დანაშაულის გარემოებებს და ეკითხება ძალადობის მსხვერპლს, — როგორ და რანაირად მოხდაო.

მივედიო საჯინიბოში.

მერე, მერეო?

მერე რატომღაც დავიხარეო.

როგორო?

ასეო, და დაიხრება მოსამართლის წინაშე ისე, როგორც იქ, საჯინიბოში ახალგაზრდა მეჯინიბის თვალწინ. დაიხარა და — მტრისასა: ცალკე შიშველი მკერდი გამოუჩნდა, ცალკე სხეულის ის ნაწილი, რომელსაც სარცხვენელი ჰქვია (და რომლის „პირველყოფილი“ სახელწოდების ხსენებას დღევანდელ მასმედიაში არავინ ერიდება).

მერე, მერეო?

მერე, თქვენ წარმოიდგინეთ, მეჯინიბემ ჩემზე ძალა იხმარაო.

ბევრი არ უფიქრია აზდაკს და გამოაცხადა განაჩენი: **ჟუჟუნამ გააუპატიურა მეჯინიბე!**

ახლა არაძალადობის ცხოვრებისეულ მაგალითს წარმოგიდგენთ.

საბჭოთა კავშირის დროა. გერმანელი პროფესორი **შრედერი** ნათლისღების ყინვების დღეებში მოსკოვში სამართალმცოდნეების რომელიღაც კონფერენციაზე ჩამოდის. აეროპორტში ძვირფას ქურქს მოპარავენ. საპირფარეშოში ამ მძიმე და კოჭებამდე სიგრძის ქურქით შესვლა არაკომფორტული იყო. გაიხადა და საპირფარეშოს კართან ჩემოდანზე დადო.

რომ გამოვიდა, ქურქი აღარ დახვდა.

რატომ მოიქეცი ასეო, რომ ჰკითხეს, უპასუხა, რომ გერმანიაში ყოველთვის ასე აკეთებდა.

მაგრამ ის აეროპორტი საბჭოთა კავშირში იყო, ისეთ სახელმწიფოში, რომლის მოდელს **მარქსმა** პროლეტარიატის დიქტატურა უწოდა.

უპოვარი პროლეტარები ქურქს შეარჩენდნენ წყეულ კაპიტალისტს?!

ე.ი. პროფესორმა (დაზარალებულმა) თვითონ შექმნა დანაშაულის ჩადენის წინაპირობა.

გავაფართოოთ ვიქტიმოლოგიის „სამოქმედო არეალი“.

პროფესორი შნაიდერი ვიქტიმოლოგიის საფუძვლებზე საუბრისას განმარტავს, რომ ვიქტიმურობის ნიშანი შეიძლება ზოგიერთ ერსაც აღმოაჩნდეს. ამ შეხედულებას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. მაგალითად, თავად შნაიდერი კატეგორიულად არ იზიარებს რადიკალურად განწყობილი ავტორების მოსაზრებას ებრაელი ერის ვიქტიმურობაზე, თუმცა იმოწმებს, როგორც საილუსტრაციო მასალას.

ამავე ასპექტით ზოგჯერ სომხებსაც მოიხსენიებენ და არგუმენტად ასახელებენ ტრაგიკულ ისტორიულ ფაქტს თურქეთში, სადაც ისინი მოგვევლინენ არა მხოლოდ ვიქტიმურებად, არამედ თვითონაც ხოცავდნენ სხვებს.

პიკანტური თემაა, მაგრამ მოიხსენიებენ იმიტომ, რომ არსებობს.

გავიმეოროთ: **ვიქტიმოლოგია არის მეცნიერება მსხვერპლის შესახებ; ვიქტიმურობა — ადამიანის მიდრეკილება მსხვერპლად გახდომისკენ, მისი ფარგლები და მასშტაბები — ინდივიდური და კოლექტიური.**

არიან ისეთი ადამიანები, ლუარსაბ ანდრონიკაშვილს თუ დავესესხებით, ისეთი ფიზიონომიებით, რომ სამ დღეშიც ვერ მიმოაფურთხებო სრულად (не оплюешь). ამ ვიქტიმურ გამოწვევას რომ არ აჰყვეთ, ნებისყოფის სრული მობილიზება დაგჭირდებათ.

ეს, ეტყობა, ადამიანის ნებელობის ჩარჩოებში ვერ ჯდება და „ბუნებისგან ნაბოძებ ვიქტიმურობად“ უნდა ჩავთვალოთ.

შავი იუმორია.

აქვე დგება ვიქტიმური პროფილაქტიკის საკითხი, რაც ნიშნავს: თუ შევძლებთ საკუთრივ მსხვერპლის მხრიდან ვიქტიმურობის გამოხატვის შემცირებას, დანაშაულის საერთო რაოდენობა 25 პროცენტით შემცირდება. ასე მიაჩნიათ ანალიტიკოსებს.

იციან ეს თემიდას მსახურებმა? გამოძიება და სასამართლო აქცევს კი ყურადღებას ვიქტიმურობის პრობლემას?

როგორც ამბობენ, იციან, რადგან კანონი შესაბამისი მუხლებით აიძულებთ, რომ იცოდნენ და ითვალისწინებდნენ.

მაგრამ გონიერი საზოგადოება სიმართლის თქმას გაურბის, ეშინია ბრბოსი. არადა, აქ დასმული შეკითხვები ლეგიტიმურად ჩნდება. კლასიკოსი იურისტები ამბობენ, რომ არ შეიძლება განსაჯო შემთხვევა, თუ არ გეცოდინება მისი ეტიოლოგია და გენეზისი.

ამას გარდა: მომავალ იურისტებს ასწავლიან, რომ სამოქალაქო სამართალში არსებობს ისეთი მცნება, როგორიცაა ე.წ. **შერეული ბრალეულობისა და შერეული პასუხისმგებლობის პრინციპები.** შეიძლება, ადამიანმა ავტოავარია მოახდინოს, მაგრამ ამ ავარიის მიზეზი შეიძლება ნაწილობრივ იყოს დაზარალებულის (მსხვერპლის) ბრალი — ისიც არღვევდა წესს. ეს კი გავლენას ახდენს დეტერმინაციის ხარისხზე — ავტომანქანის საჭესთან მსხდომი შეზღუდული იყო თავისუფალ არჩევანში; ბრალის ხარისხსა და პასუხისმგებლობის ხარისხზე.

ვიქტიმურობა თავისთავად უზნეობას არ ნიშნავს, მთავარია მისი, როგორც მიზეზობრივი ფაქტორის, წარმოჩენა.

დაბოლოს: **საზოგადოებრივმა აზრმა უნდა იმოქმედოს თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე?**

ამ შეკითხვის პასუხად ასეთი სახელდახელო ლექცია მოვისმინე:

საზოგადოებრივმა აზრმა დადებითად უნდა იმოქმედოს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ნორმალური საზოგადოება. თუ საზოგადოება არის ბრბო, მაშინ ზემოქმედება უარყოფითია, სამართლისა და ჭეშმარიტების საზიანოა.

სასამართლო ხელისუფლება წარმოიშვა ორი სხვა, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების საპირწონედ. ის ორი პოლიტიკური ხელისუფლება საზოგადოების აზრზეა დამოკიდებული. ხალხმა იცის, რა სურს — უნდა, რომ იყოს ბედნიერი, „კაი სვას და კაი ჭამოს“. მაგრამ რა არის საჭირო იმისთვის, რომ ეს სურვილი რეალობად იქცეს, არ უწყის. ხალხს არ გამოუგონებია ბორბალი, ცეცხლი, არ გამოუგონებია ინტერნეტი, ხალხმა ქრისტე გოლგოთაზე წამებით სიკვდილისთვის გაიმეტა...

ამიტომ ხალხს ვერ ენდობი. ამიტომ შეიქმნა მესამე ხელისუფლება, ხალხის ლეგიტიმაციით აღჭურვილი ხელისუფლება. ეს არის (უნდა იყოს) სათანადოდ გაწვრთნილი, პროფესიულად მომზადებული და არა მხოლოდ ხალხის მიერ ფორმირებული სასამართლო ხელისუფლება.

**უცხოეთში მართლმსახურების რაინდთაგან შემდგარი კომისია წყვეტს, ვინ უნდა იყოს მოსამართლე. ჩვენთან, რომ იკითხო, ყველა და ყველაფერი ხალხმა უნდა აირჩიოს. მაგრამ თავისთავად, უკიდეგანო დემოკრატიამ მხოლოდ ქაოსი შეიძლება გამოიწვიოს, ამიტომ ამ საკითხში ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო.**

მაგალითად, შემოიტანეს ნაფიც მსაჯულთა სულელური სასამართლო, რომელმაც ოდესღაც დადებითი როლი შეასრულა, მაგრამ შემდეგ გადაიქცა თავისი თავისთვის დაბრკოლებად. „მიშაია სულელი შეეცადა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დამკვიდრებას საქართველოში ამერიკელების გულის მოსაგებად“.

ასი საერთაშორისო სასამართლო არსებობს მსოფლიოში. ასი! მათგან არცერთი არ იყენებს ნაფიც მსაჯულებს. რატომ? ვერ იპოვეს? არა, რა თქმა უნდა! **არ იყენებენ ამ ინსტიტუტს იმიტომ, რომ არ ვარგა!**

„ჩნდება კითხვები“, — ეს წინადადება ყოველ წამს ისმის ტელეეკრანებიდან. იურისპუდენციის დიდოსტატებიც იყენებენ ამ მოარულ შტამპს და კითხულობენ: რატომ უნდა ასწავლიდეს მათ სამშობლოს სიყვარულს ოთო კახიძე და ეკრანიდან უკითხავდეს ლექციებს დაბრძენებულთა თაობას?!

თუ მოუნდა, კიდეც შეაგინებს!

იმიტომ, რომ ეს დემოკრატიულია.

დემოკრატიულობა მიზანი არ არის, საშუალებაა. თუ მართლა ასეთი მიზნით ვხელმძღვანელობთ, გავიდეთ ქუჩაში და დავიძახოთ, ვინ ხართ ქირურგი, მოდით და ოპერაცია გამიკეთეთ! თუ დემოკრატიულობაა მთავარი, გადააღებინეთ კინოფილმი ქუჩის მიერ შერჩეულ კანდიდატს.

გაწვდება ვითომ ამ საქმეს?!

საქართველო აღმოჩნდა ერთადერთი ქვეყანა, რომელშიც იურისტი აცხადებს, რომ არ სურს თავისი იურიდიული საქმის გაკეთება. სხვისთვის დამითმიაო — ნაფიცი მსაჯულებისთვის.

არც ერთ სხვა პროფესიის წარმომადგენელს არ უკადრებია ასეთი რამ, თვითკრიტიკულად აღნიშნეს განსწავლულმა იურისტებმა.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. სამართალმცოდნეებმა ისიც თქვეს, რომ საქართველოში ყველაფერი კეთდება ფუნქციების გადანაცვლებით. ორგანოებს, ანუ საკუთარი სხეულის ნაწილებსაც არადანიშნულებისამებრ იყენებენო. ასეა?**

**ა.ს.**



**აშშ-ის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაში ვაშინგტონი, უწინარეს ყოვლისა, ძალის ზემოქმედებისა და დიქტატორობის იდეოლოგიას აღიარებს.**

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უზნეობა დემოკრატიის სახელით



## ლგბტ დროშა აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის საელჩოების თავზე ფრიალებს! გაუმარჯოს პედერასტებს(?!)

**2018 წლის 17 მაისს ბელარუსში დიდი ბრიტანეთის საელჩომ თავის შენობაზე ლგბტ-ის დროშა გადმოფინა. რადიო „თავისუფლების“ ინფორმაციით, იგივე გააკეთა აშშ-ის საელჩომაც.**

რამდენიმე დღის შემდეგ ბელარუსის შინაგან საქმეთა სამინისტროს საიტზე გამოქვეყნდა ცნობა, რომ უწყება „სინანულს გამოთქვამს“ დროშების „აქციის“ გამო და წარმატებულად არ მიიჩნევს „უცხოეთის სახელმწიფოს ინიციატივას, შექმნას პრობლემები იქ, სადაც ისინი არ არსებობს“.

„ამგვარ მოვლენებზე თვალის დახუჭვის არავითარი უფლება არ გვაქვს. ამას მე ვუწოდებ ცხოვრების ისეთი წესის პროპაგანდას, რომელიც ჩვენთვის მიუღებელია. ეს არის ძირითადი მოტივი იმისა, რომ გარკვეული დროის შემდეგ გავაკეთეთ ჩვენი კომენტარი“, — განუცხადა შს მინისტრმა ჟურნალისტებს.

„არ გავუკეთებ შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებას კომენტარს. ვფიქრობ, ნებისმიერმა სახელმწიფო ან პოლიტიკურმა მოღვაწემ, ნებისმიერმა სტრუქტურამ, ამა თუ იმ განცხადების გაკეთებისას, უნდა გაითვალისწინოს უფრო ფართო მასშტაბის შედეგები“, — განუცხადა ჟურნალისტებს ბელარუსის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ვლადიმერ მაკეიმ** „მინსკის ფორუმის“ გახსნის შემდეგ.

„ეს მარტივი საკითხი არ არის. ჩვენ გაგვაოცა ამ განცხადებამ, რომელიც ფრიად მოულოდნელი იყო. გვსურს, ბელარუსში ვიმუშაოთ ისე, როგორც სხვა ქვეყნებში — ყველა ანტიდისკრიმინაციული ღონისძიების სასარგებლოდ. და ყველა ქვეყანაში, სადაც შესაძლებელია, მხარს ვუჭერთ ისეთ პროექტებს, რომელთა შემწეობით ადამიანებს, თავიანთი სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად, შეუძლიათ თავიანთი პოტენციალის რეალიზაცია. შსს-ს განცხადებამ, რა თქმა უნდა, გაგვაოცა“, — შენიშნა შვედეთის ელჩმა ბელარუსში.

„აშკარაა, რომ, სამწუხაროდ, ბელარუსში არის დისკრიმინაცია. საგარეო საქმეთა მინისტრი ჩვენს საელჩოებს მთელ მსოფლიოში მოუწოდებს, გამოფინონ ასეთი დროშები“, — თქვა დიდი ბრიტანეთის ელჩმა ბელარუსში **ფიონა გიბმა.**

„თავსმოხვეული პროპაგანდაა. სწორედ ეს სიტყვა ზუსტად ასახავს ჩემს დამოკიდებულებას ყველაფრისადმი, რაც კი ლგბტ თემას ეხება. მსურს, ჩემი შვილიშვილები აღზარდონ დედამ და მამამ და არა პარტნიორმა №1-მა და პარტნიორმა №2-მა. სექსუალური ორიენტაციის საკითხები უნდა დარჩეს საძინებელ ოთახებში და არ გამოიფინოს, როგორც სიამაყის საბაბი. მინდა, რომ ჩემმა შვილებმა არ იცხოვრონ ისეთ მსოფლიოში, სადაც თეთრკანიან ჰეტეროსექსუალ მამაკაცს ყველაზე ნაკლები უფლებები აქვს“, — ასე შეაფასა „მინსკის სკანდალი“ ბელარუსის სახალხო ფრონტის აქტივისტმა **ანა სმილევიჩმა.**



## დედას ციხეში ჩასვამენ ახალშობილ ვაჟთან სექსუალური ქმედების ბრალდებით

**ახალგაზრდა ქალი ვიდეოზე აღბეჭდავდა თავის ახალშობილ ვაჟთან გადაღებულ სექსუალურ კადრებს და მამაკაცს უგზავნიდა, რომელიც თითქოს აიძულებდა მას ამის გაკეთებას.**

პეისიგამ განაცხადა, მას ასევე უგზავნიდა ჩანაწერებს, რომლებზეც აღბეჭდილი იყო მისი სექსუალური კავშირი სხვა მამაკაცთან, და „შიშველ“ ფოტოებს, რადგან ფული სჭირდებოდა. ამას გარდა, ის ბავშვზე ძალადობის ვიდეოჩანაწერს რეგულარულად აწვდიდა პედოფილს, რომელსაც შარშან 37 წლით პატიმრობა მიუსაჯეს ბავშვის სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის გავრცელების ბრალდებით.

## ამძუვნებული მასწავლებელი ქალი

**29 წლის ახალგაზრდა ქალს, სომერ ოდომს, ლუიზიანის შტატის ლეიკ-ჩარლზის აკადემიის ორ არასრულწლოვან მოსწავლესთან სექსუალური ურთიერთობის დამყარებისთვის 14 წლით თავისუფლება აღუკვეთეს, იუწყება Daily Star.**



ბიჭებიდან ერთი 13 წლისა იყო, მეორე — 14-ის. გამოძიება 2015 წელს დაიწყო, მას შემდეგ, რაც ერთ-ერთის დედამ პოლიციას მასწავლებლის უზნეო ქცევის შესახებ აცნობა. გაირკვა, რომ ამძუვნებულმა ქალმა ორალური სექსი ერთ-ერთ ბიჭთან უშუალოდ საკლასო ოთახში გააჩაღა.

მეორე ბიჭის დედამ კი სასამართლოზე განაცხადა, რომ მისმა შვილმა ისეთი მორალური ტრავმა მიიღო, რომ, მესამე წელია, ფსიქოთერაპევტთან დაჰყავთ სამკურნალოდ.

„თქვენ შეურაცხყოფდით მათ ფიზიკურად და მორალურად. თქვენი ქცევით გაანადგურეთ ჩვენი ბიჭები. სირცხვილისა და ბრალის ტვირთი ახლა თქვენ დაგაწვათ, რათა სრულად შეიგრძნოთ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე“, — მიმართა ამ ქალბატონმა სასამართლო სხდომაზე „სექსუალურად გააქტიურებულ“ მასწავლებელს.



## ამერიკული ლობის სახე: ჰიტლერის თაყვანისმცემელი, პედოფილიის დამცველი, რასიზმის პროპაგანდისტი და ნარკოტიკების ლეგალიზაციის მხარდამჭერი

**აშშ ყოველთვის აფასებს დემოკრატიულ ღირებულებებს და ლამის საერთაშორისო ჟანდარმად წარმოგვიდგება სამართლის სტრუქტურაში, მაგრამ ეს ყველაფერი მოსაჩვენებელი სპექტაკლია. მაღალი თანამდებობები კი დაკავებული აქვთ აშკარა არაადეკვატებს.**

მაგალითად, აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის, რომელიც ამერიკის კანონმდებელი სახელმწიფო ორგანოა, ახალი სახე, 37 წლის **ნეითან ლარსონი** აბსოლუტურად ცინიკურად აფასებს დემოკრატიულ ღირებულებებს. დამწყები პოლიტიკოსი თავისი დასკვნებით, რბილად რომ ვთქვათ, გაოცებას იწვევს.

იგი იზიარებს თეთრკანიანთა უპირატესობის (რასიზმის) იდეას. მის წინასაარჩევნო პროგრამაში ჰიტლერი 32-ჯერაა ნახსენები; მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს ალკოჰოლის ხმარებაზე დაწესებული ასაკობრივი ზღვარი; მოითხოვს ნაადრევი ქორწინების, ნარკოტიკების ლეგალიზაციას; ცდილობს, დაამტკიცოს, რომ „ებრაელები, ისევე, როგორც რუსები და ჩინელები, თეთრკანიან ამერიკელებს უპირატესობას ეცილებიან“. ამ ყველაფერთან ერთად, გულგრილი არ არის პედოფილიის მიმართ.

პირდაპირ რომ ვთქვათ, ეს კაცი ამორალურია. მისი ყველა წამოწყება საშიშია და მის ადეკვატურობას საეჭვოს ხდის. მისი იდეები შორსაა დემოკრატიული ნორმებისგან და დიქტატორულ რეჟიმს უფრო შეესაბამება.

ყველაზე საშიში კი ისაა, რომ ეს ახალგაზრდა მალე აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის წევრი გახდება, რადგან იქ ასეთი „ამბიციურები“ უყვართ და იმიტომაც, რომ სწორედ ასეთი ადამიანები მუშაობენ შეერთებული შტატების სახელმწიფო სტრუქტურებში.

ისიც ვთქვათ, რომ აშშ-ის ხელისუფლების სათავეში ამგვარი ტიპები ამერიკელების ნებით მოდიან.

**რატომ ხდება ასე?**

იმიტომ, რომ **აშშ-ის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაში ვაშინგტონი, უწინარეს ყოვლისა, ძალის ზემოქმედებისა და დიქტატორობის იდეოლოგიას აღიარებს.**

ახალგაზრდა კაცი პედოფილიას მხარს რომ დაუჭერს, იმას დემოკრატობა არ უნდა მოსთხოვო!



ყველაზე ყველაზე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახალი ზელანდიის სამხრეთში მდებარე ქალაქ დანიდინის ქუჩა ბოლდუინი ყველაზე ციცაბო ქუჩად ითვლება მსოფლიოში. ეს 350-მეტრიანი ქუჩა დასაწყისში მცირედ არის დახრილი, შემდეგ კი დახრა მკვეთრად იმატებს და აღწევს მაქსიმუმს — 1:2,86-ს, ანუ 19 გრადუსს. ქუჩა ისეთი დახრილია, რომ მის ზედაპირს ბეტონით ფარავენ ასფალტის ნაცვლად; წინააღმდეგ შემთხვევაში თბილ, მზიან დღეს მთელი ასფალტი ქუჩის დასაწყისში ჩამოიღვენთება.**

# უცნაური ქუჩები

გინესის რეკორდების წიგნი — ეს არის არა მხოლოდ განსაცვიფრებელი ცნობარი, არამედ შესანიშნავი გიდი მოგზაურისთვის. გთავაზობთ, უჩვეულო და უცნაურ ქუჩებს, რომლებზეც გასეირნება ნამდვილად ღირს.



## ყველაზე მოკლე ქუჩა

შოტლანდიის ქალაქ უიკში იუნიონ-სტრიტსა და რივერ-სტრიტს შორის მდებარე ქუჩა **ებენეზერ-პლეისი** მსოფლიოში ყველაზე მოკლე ქუჩად ითვლება და შეტანილია გინესის რეკორდების წიგნში. ებენეზერ-პლეისის სიგრძე 2,60 მ-ია. ქუჩაზე არის მხოლოდ ერთი სახლი — ბისტრო, რომელიც სასტუმრო Mackays-ს ნაწილს წარმოადგენს.



## ყველაზე ციცაბო ქუჩა

ახალი ზელანდიის სამხრეთში მდებარე ქალაქ დანიდინის **ქუჩა ბოლდუინი** ყველაზე ციცაბო ქუჩად ითვლება მსოფლიოში. ეს 350-მეტრიანი ქუჩა დასაწყისში მცირედ არის დახრილი, შემდეგ კი დახრა მკვეთრად იმატებს და აღწევს მაქსიმუმს — 1:2,86-ს ანუ 19 გრადუსს.

ქუჩა ისეთი დახრილია, რომ მის ზედაპირს ბეტონით ფარავენ, ასფალტის ნაცვლად. წინააღმდეგ შემთხვევაში თბილ, მზიან დღეს მთელი ასფალტი ქუჩის დასაწყისში ჩამოიღვენთება.



ლომბარდ-სტრიტი

## ყველაზე მიხვეულ-მოხვეული ქუჩა

სან-ფრანცისკოს (აშშ) ქუჩა ლომბარდ-სტრიტიზე, რომელიც ციცაბო ფერდობზე მიიკლაკნება, ავტომობილის ნორმალურად ტარება შეუძლებელია, იმდენი მიხვეულ-მოხვეული აქვს.

„გველის ხეივნის" (ასე უწოდებენ ამ ქუჩას) მშენებლობა 1898 წელს დასრულდა. 84-მეტრიან მონაკვეთზე 8 მკვეთრი მოსახვევია და 17,8 მ-ზე (21%) ადის.





ლომბარდ-სტრიტი

## ყველაზე გრძელი ქუჩა

ტორონტოს (კანადა) ქუჩა **იანგ სტრიტი** მსოფლიოში ყველაზე გრძელ ქუჩად ითვლება. მისი სიგრძე 1896 კმ-ია. იანგ სტრიტი იწყება ტორონტოს ცენტრში, გარს უვლის ტბა ონტარიოს, შემდეგ კიდევ ერთ ტბას — სიმკოს, უხვევს დასავლეთისკენ და მიდის შტატ მინესოტას (აშშ) საზღვრამდე.

იანგ სტრიტი — ეს არის ისტორიის ნაწილი არა მხოლოდ ცალკე აღებული ქალაქისა, არამედ სრულად კანადის. თავდაპირველად ეს იყო ინდიელთა ბილიკი, შემდეგ ამ ბილიკით სარგებლობდნენ ევროპელები. სახელი მას **სერ ჯორჯ იანგის** პატივსაცემად დაარქვეს 1793 წელს.

დღეს ამ ქუჩაზე უამრავი მაღაზია, ბარი, სასტუმრო, კაფე თუ რესტორანია, არის თეატრები და კინოთეატრები, ტორონტოს საჯარო ბიბლიოთეკა, ჰოკეის დიდების დარბაზი.



## ყველაზე ძველი ქუჩა

გიზიდან კაირომდე გზა დაახლოებით 4,5 ათასი წლისაა. ეს გზა შეიქმნა, როდესაც დაიწყეს პირამიდების აგება. იმის გათვალისწინებით, რომ გიზა ამჟამად კაიროს ნაწილია, გზაც ქალაქის საზღვრებშია და, შესაბამისად, შეიძლება ეწოდოს ქუჩა. ამ ქუჩის სიგრძე დაახლოებით 20 კმ-ია და მთავრდება ნილოსის ნაპირებთან.

საინტერესოა, რომ ეს გზა ცნობილი შეიქნა მას შემდეგ, რაც XX საუკუნის 90-იან წლებში მის შესახებ შეიტყვეს გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლებმა.



## ყველაზე ფართო ქუჩა

9-დე-ხულიო-ავენიუ (9 ივლისის ქუჩა) — არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესის ქუჩა ყველაზე ფართო ქუჩაა მსოფლიოში. მისი სიგანე 110 მ-ია.

ქუჩის მშენებლობა 1937 წელს დაიწყო, ძირითადი ნაწილი 1960 წელს დასრულდა, საბოლოო სახე კი 9-დე-ხულიო-ავენიუმ 1980 წელს მიიღო.

სპორტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩემპიონატი გაიხსნება 14 ივნისს, 18 სთ-ზე (მოსკოვის დროით) რუსეთისა და საუდის არაბეთის ეროვნული ნაკრებების მატჩით სტადიონ „ლუჟნიკებზე“. დასრულდება 15 ივლისს საფინალო მატჩით იმავე ლუჟნიკებზე. სულ გაიმართება 64 შეხვედრა.**

# მსოფლიოს XXI საფეხბურთო ჩემპიონატი




**14 ივნისს რუსეთში სტარტს აიღებს მსოფლიოს XXI საფეხბურთო ჩემპიონატი, რომელიც 15 ივლისს დასრულდება. ეს სახელმწიფო ისტორიაში პირველად მასპინძლობს უდიდეს საფეხბურთო ფორუმს. მსოფლიოს ჩემპიონატი პირველად ჩატარდება აღმოსავლეთ ევროპაში, უფრო მეტიც, ორი კონტინენტის — ევროპისა და აზიის ტერიტორიაზე. საფეხბურთო მატჩები გაიმართება რუსეთის 11 ქალაქის 12 სტადიონზე. ეს ქალაქებია: მოსკოვი, სანქტ-პეტერბურგი, კალინინგრადი, ნიჟნი ნოვგოროდი, ვოლგოგრადი, ყაზანი, სამარა, სარანსკი, როსტოვი, სოჭი, ეკატერინბურგი. ამ მსოფლიო ჩემპიონატზე პირველად გამოიყენებენ ვიდეოგამეორების სისტემას.**

### A ჯგუფი
1. რუსეთი;
2. საუდის არაბეთი;
3. ეგვიპტე;
4. ურუგვაი.

### B ჯგუფი
1. პორტუგალია,
2. ესპანეთი,
3. მაროკო,
4. ირანი.

### C ჯგუფი
1. საფრანგეთი,
2. ავსტრალია,
3. პერუ,
4. დანია.

### D ჯგუფი
1. არგენტინა,
2. ისლანდია,
3. ხორვატია,
4. ნიგერია.

### E ჯგუფი
1. ბრაზილია,
2. შვეიცარია,
3. კოსტა-რიკა,
4. სერბეთი.

### F ჯგუფი
1. გერმანია,
2. მექსიკა,
3. შვედეთი,
4. სამხრეთი კორეა.

### G ჯგუფი
1. ბელგია,
2. პანამა,
3. ტუნისი,
4. ინგლისი.

### H ჯგუფი
1. პოლონეთი,
2. სენეგალი,
3. კოლუმბია,
4. იაპონია.

აღსანიშნავია, რომ რუსეთმა ჩემპიონატის ჩასატარებლად საჭირო ღონისძიებებსა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება-განვითარებაზე დაახლოებით **6 მლრდ დოლარი** დახარჯა: აშენდა 60-ზე მეტი ახალი სასტუმრო 10 ათას ადგილზე, განახლდა და აშენდა 11 ახალი სტადიონი და 113 სავარჯიშო მოედანი.

* ჩემპიონატის მოთამაშეების, სტუმრების უსაფრთხოებისთვის დაიხარჯა 480 მლნ დოლარი;

* ჩემპიონატის მატჩებს, სავარაუდოდ, ნახავს სხვადასხვა ქვეყნის დაახლოებით 2,5 მლრდ ტელემაყურებელი;

* 2018 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის ოფიციალური თილისმაა მგელი **ზაბივაკა;**

შესარჩევმა ტურნირმა გამოავლინა 32 ეროვნული ნაკრები, რომლებმაც XXI მსოფლიო ჩემპიონატზე უნდა იასპარეზონ.

ეს გუნდები კენჭისყრის შედეგად 8 ჯგუფში განაწილდნენ.

ჩემპიონატი გაიხსნება 14 ივნისს, 18 სთ-ზე (მოსკოვის დროით) რუსეთისა და საუდის არაბეთის ეროვნული ნაკრებების მატჩით სტადიონ „ლუჟნიკებზე“. დასრულდება 15 ივლისს საფინალო მატჩით იმავე ლუჟნიკებზე. სულ გაიმართება 64 შეხვედრა.

**ცნობისთვის:**

* 2018 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატზე ინგლისი ერთადერთი ნაკრებია, რომლის ყველა ფეხბურთელი თამაშობს სამშობლოში — ინგლისის პრემიერლიგაში. ინგლისელების მწვრთნელიც კი „ნისლიანი ალბიონიდან“ ჰყავთ — **გარეტ საუთგეიტი.**

* **ისლანდია** — ეს არის მოსახლეობის მხრივ ყველაზე მცირერიცხოვანი ქვეყანა, რომლის საფეხბურთო ნაკრებსაც ოდესმე გაუღწევია მსოფლიო ჩემპიონატის საფინალო ეტაპზე. კუნძულ ისლანდიაზე 330 ათასი ადამიანი ცხოვრობს. შესადარებლად: ლუქსემბურგში, რომელსაც ჯუჯა სახელმწიფოს ეძახიან და რომლის ეროვნულ ნაკრებთანაც რამდენიმე დღის წინათ დამარცხდა საქართველოს ნაკრები, 2-ჯერ მეტი ადამიანი ცხოვრობს;

* ისლანდიელებმა მსოფლიო ჩემპიონატის საფინალო ტურნირზე გასვლა მოახერხეს იმ ჯგუფში გამარჯვებით, რომელშიც მათთან ერთად ასპარეზობდნენ ხორვატია, უკრაინა და თურქეთი.

**ისლანდია** და **პანამა**. ეს ორი ქვეყანა პირველად მოხდა მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ისლანდიელებზე ზევით უკვე ვთქვით, პანამელებმა კი ჩემპიონატის ფინალური ტურნირის საგზური აშშ-ს გამოსტაცეს ხელიდან.




**ეგვიპტე.** ეს ერთადერთი გუნდია, რომელიც მონაწილეობდა საფინალო ეტაპზე, მაგრამ არც ერთი მატჩი არ მოუგია.

* საფინალო ეტაპზე გასული გუნდების მწვრთნელთა შორის ყველაზე მაღალი ანაზღაურება აქვს გერმანიის ნაკრების თავკაც **იოახიმ ლოვს** — 3,85 მლნ ევრო, ბრაზილიელი **ტიტესა** და ფრანგი **დიდიე დეშამის** ანაზღაურება წელიწადში 3,5 მლნ ევროა. ყველაზე დაბალი ანაზღაურება კი აქვს სენეგალელთა მწვრთნელს **ალუ სისეს** — 200 ათასი;

* ინგლისის ჩემპიონმა „მანჩესტერ სიტიმ“ სხვადასხვა ნაკრებში გაგზავნა 16 ფეხბურთელი. სმ მაჩვენებლით **ხოსეპ გვარდილას** გუნდის შემდეგ მოდის მადრიდის „რეალი“ — 15 კაცი, მესამეა „ბარსელონა“ — 14;

2018 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ტურნირზე ინგლისის პრემიერლიგიდან ჩავიდა 124 ფეხბურთელი, ესპანეთის ლა ლიგიდან — 81; გერმანიის ბუნდესლიგიდან — 67.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

**ისლანდია — ეს არის მოსახლეობის მხრივ ყველაზე მცირერიცხოვანი ქვეყანა, რომლის საფეხბურთო ნაკრებსაც ოდესმე გაუღწევია მსოფლიო ჩემპიონატის საფინალო ეტაპზე. კუნძულ ისლანდიაზე 330 ათასი ადამიანი ცხოვრობს. შესადარებლად: ლუქსემბურგში, რომელსაც ჯუჯა სახელმწიფოს ეძახიან და რომლის ეროვნულ ნაკრებთანაც რამდენიმე დღის წინათ დამარცხდა საქართველოს ნაკრები, 2-ჯერ მეტი ადამიანი ცხოვრობს**



## მსოფლიოს ჩემპიონები ფეხბურთში

| № | წელი | ჩატარების ადგილი | ჩემპიონი |
|---|---|---|---|
| 1. | 1930 | ურუგვაი | ურუგვაი |
| 2 | 1934 | იტალია | იტალია |
| 3. | 1938 | საფრანგეთი | იტალია |
| 4 | 1950 | ბრაზილია | ურუგვაი |
| 5. | 1954 | შვეიცარია | გფრ |
| 6 | 1958 | შვედეთი | ბრაზილია |
| 7 | 1962 | ჩილე | ბრაზილია |
| 8 | 1966 | ინგლისი | ინგლისი |
| 9 | 1970 | მექსიკა | ბრაზილია |
| 10 | 1974 | გფრ | გფრ |
| 11. | 1978 | არგენტინა | არგენტინა |
| 12 | 1982 | ესპანეთი | იტალია |
| 13 | 1986 | მექსიკა | არგენტინა |
| 14 | 1990 | იტალია | გფრ |
| 15. | 1994 | აშშ | ბრაზილია |
| 16 | 1998 | საფრანგეთი | საფრანგეთი |
| 17 | 2002 | იაპონია, სამხრეთ კორეა | ბრაზილია |
| 18. | 2006 | გერმანია | იტალია |
| 19 | 2010 | სამხრეთ აფრიკა | ესპანეთი |
| 20 | 2014 | ბრაზილია | გფრ |

# პოროშენკო გეიაღლუმის სათავეში. ასე მოითხოვეს ევროდეპუტატებმა



**უკრაინის პრეზიდენტმა პეტრე პოროშენკომ ევროპარლამენტის 35 დეპუტატისგან მიიღო წერილი მოთხოვნით, სათავეში ჩაუდგეს გეიაღლუმს, რომელიც 17 ივნისს უნდა ჩატარდეს კიევში.**

ევროპარლამენტის დეპუტატებმა უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებს — პრეზიდენტს, მთავრობის წევრებს, პარლამენტის დეპუტატებს მოუწოდეს სექსუალური უმცირესობების „თანასწორობის მარშში" მონაწილეობისკენ. მათ, აგრეთვე, აღნიშნეს პროგრესი, რომელსაც მიაღწია უკრაინამ ქვეყანაში ლგბტ პირების უფლებების დაცვის გზაზე და კიევს მოსთხოვეს, უზრუნველყოს გეიაღლუმის მონაწილეთა უსაფრთხოება.

**ევროპარლამენტარებმა წერილში ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ლგბტ პირების უფლებების დაცვა, ყველა ადამიანისთვის თანაბარი უფლებების უზრუნველყოფა, კანის ფერისა თუ სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად, ევროკავშირის უმთავრესი პრინციპია.**

ევროპარლამენტარები უკვე აღარ მალავენ თავიანთ ზრახვებს უკრაინის მიმართ, იმ ქვეყნის მიმართ, რომელიც თავის დროზე თვითონ წააქეზეს და ძმათამკვლელი ომი დააწყებინეს რუსებთან, შედეგად ქვეყანა გაპარტახებულია და ეკონომიკური მაჩვენებლებით აუტსაიდერთა შორისაა, არათუ ევროპის, მსოფლიოს ქვეყნებს შორისაც. და იმის ნაცვლად, რომ უკრაინას ეროვნული ფასეულობების დაცვასა და ეკონომიკის აღორძინებაში დაეხმარონ, ევროპარლამენტარები ამ ქვეყნის ხელისუფლებას გეიაღლუმის მოწინავე რიგებში ჩადგომისკენ მოუწოდებენ, რაც ხელს შეუწყობს უკრაინის სრულ ლგბტ-ზაციას.

ანალოგიური ბედი ელის საქართველოსაც, რომლის ხელისუფლებაც თვალებში შესციცინებს დასავლელ სტრატეგიულ პარტნიორებს და მის მითითებებს უსიტყვოდ ემორჩილება...

მოამზადა
**დავით ბერიძემ**

# კიდევ ერთი წარმატებული თეატრალური სეზონი

## ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრი 49-ე სეზონს რევაზ ლაღიძის ოპერით «ლელა» დახურავს

**15 ივნისს 18 საათზე ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი (სამხატვრო ხელმძღვანელი — ირინე ლომინაძე) 49-ე თეატრალურ სეზონს დახურავს. ამ წარმატებული, ნაყოფიერი სეზონის ბოლო აკორდად იქცევა რევაზ ლაღიძის ოპერა „ლელა" (დამდგმელი დირიჟორი — რევაზ ხურცილავა, დამდგმელი რეჟისორი — ზურაბ ანჯაფარიძე, დამდგმელი მხატვარი — თემურ არსენიძე, დამდგმელი ქორეოგრაფი — ელგუჯა გუმბერიძე, სპექტაკლი აღადგინა მაია გაჩეჩილაძემ).**



თეატრალური სეზონის დასკვნით საღამოს „ლელას" შეასრულებენ ქუთაისის ოპერის თეატრის სოლისტები — ფერიდე ჯინჯიხაძე (ლელა), ბადრი სახამბერიძე (ბერდო), ბაკურ კვირიკაშვილი (გელა), კალისტრატე ხარჩილავა (შერგილი), ნუცა ზაქაიძე (მეზარე), ემილ ჩარგაზია (მლოცველი), თეატრის გუნდი (მთავარი ქორმაისტერი — ნათია გოგუაძე), ორკესტრი, ქორეოგრაფიული დასი. სპექტაკლს თეატრის მთავარი დირიჟორი რევაზ ჯავახიშვილი წარუძღვება.

49-ე თეატრალურ სეზონში ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა არაერთ სპექტაკლსა და კონცერტზე მიიწვია აუდიტორია, ათეულობით მუსიკალურ ღონისძიებასაც უმასპინძლა. სარეპერტუარო სპექტაკლებიდან სრულდებოდა ჯუზეპე ვერდის „ტრავიატა", რუჯერო ლეონკავალოს „ჯამბაზები", სერგეი რახმანინოვის „ალეკო", ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი", „დაისი", ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე", ოთარ თაქთაქიშვილის „მინდია", „პირველი სიყვარული", რევაზ ლაღიძის „ლელა", ვანო გოკიელის „წითელქუდა", წარმატებით ჩატარდა კონცერტები თეატრის სოლისტების, გუნდისა და ორკესტრის მონაწილეობით; იყვნენ გასტროლიორებიც, მათ შორის ევროპაში დიდი წარმატებით მოღვაწე ქართველი მომღერლები — გოჩა აბულაძე, მარია კუბლაშვილი, ასევე თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტები — მარიკა მაჩიტიძე, არმაზ დარაშვილი, სულხან გველესიანი, ნინო ჩაჩუა...

და მაინც, ამ ფონზეც, ცხადია, უმთავრესი იყო პრემიერა — თეატრის დაბადების დღეს 27 დეკემბერს მაყურებლის, მსმენელის სამსჯავროზე წარდგენილი იყო საოპერო მუსიკის მარგალიტი — ჯუზეპე ვერდის „რიგოლეტო" (სპექტაკლზე იმუშავა დამდგმელმა ჯგუფმა შემდეგი შემადგენლობით: დირიჟორი — რევაზ ჯავახიშვილი, რეჟისორი — მაია გაჩეჩილაძე, მხატვარი — თეო კუხიანიძე, ქორეოგრაფი — ვახტანგ უშვერიძე). საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებულმა ამ სპექტაკლმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. აი, როგორ შეაფასა „რიგოლეტოს" პრემიერა საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის მრჩეველმა, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე გიორგი გეგეჭკორმა: „აღფრთოვანებული ვარ სპექტაკლით! შესრულება იყო ძალიან მაღალი კლასის. მსმენელის დონეზე შემიძლია ვთქვა, რომ, რაც მომისმენია მსოფლიოს საოპერო სცენებზე, გნებავთ ვენაში, ციურიხსა თუ „ლა სკალაში", მათ არაფრით ჩამოუვარდებოდა. ეს ეხება არა მხოლოდ წამყვანი პარტიების შემსრულებლებს, არამედ ყველა სოლისტსა და განსაკუთრებით, გუნდს. შესანიშნავი იყო!.. ასეთი მიზერული თანხებით თუ ქუთაისის თეატრმა ესოდენ მაღალი დონის სპექტაკლის დადგმა შეძლო, კარგი დაფინანსების შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, საერთაშორისო დონის სპექტაკლებსაც გამოუშვებენ". აღნიშნული ოპერა დამკვიდრდა თეატრის რეპერტუარში და გაამდიდრა, გაამრავალფეროვნა ის.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის — ირინე ლომინაძის თქმით, მომავალ 50-ე თეატრალურ სეზონშიც მრავალი სიურპრიზი ელოდება ქუთაისის ოპერის სახელმწიფო თეატრის მსმენელებს. ამჯერად მხოლოდ ერთს დავაანონსებთ და გაცნობებთ მთავარი ღირსშესანიშნავი მოვლენის თაობაზე — დაარსდება ქუთაისის საერთაშორისო საოპერო ფესტივალი, რომლის ორგანიზატორები არიან: ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი, საერთაშორისო ფონდი „მსოფლიოს ტალანტები" (დამფუძნებელი — დავით ღვინიანიძე), ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია. პირველი ფესტივალის ჩარჩოებში სექტემბერში ცნობილი უცხოელი და ქართველი მომღერლების მონაწილეობით გაიმართება რამდენიმე საოპერო სპექტაკლი და გალა-კონცერტი, ფესტივალის დასკვნით აკორდად კი იქცევა პიეტრო მასკანის „სოფლის ღირსების" აღდგენილ-განახლებული დადგმის პრემიერა, რომლითაც დაიხურება ფესტივალი და გაიხსნება 50-ე საიუბილეო თეატრალური სეზონი. აღნიშნული ფესტივალი უთუოდ მნიშვნელოვან ეტაპად იქცევა არა მხოლოდ ქუთაისის ოპერის თეატრის, არამედ ქალაქის განვითარებისა და აღმავლობის გზაზე, ამის ყველა წინაპირობა არსებობს.

**ზურაბ ოიკაშვილი**

# როლანდ ჯალაღანიას გახსენება



**„მრავალნი არიან მოწოდებულ, მცირედნი — რჩეულ"... ბატონი როლანდ ჯალაღანიაც იმ მცირედთაგანი და რჩეულთთაგანია. ყოველთვის მაოცებდნენ და მხიბლავდნენ უდრეკი ნებისყოფის ადამიანები. უნდა ვთქვა, რომ ბატონი როლანდ ჯალაღანიაც სწორედ ასეთი ადამიანების სათვალავში გახლდათ.**

ცნობილი მწერალი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, გაზეთ ,,ილორის" რედაქტორი ჩვენი საბრალო სამშობლოს ერთ-ერთი უშიშარი მეციხოვნე და გულდათუთქული ჭირისუფალი გახლდათ. სიცოცხლის ბოლო წლებში უკურნებელ სენს ებრძოდა. ბევრჯერ მიფიქრია: სულით როგორი ძლიერი უნდა იყოს ადამიანი, იცოდეს, როგორი ვერაგი სენითაც არის დაავადებული და, უკვე იმქვეყნად წასასვლელად გამზადებული, მაინც დღენიადაგ სამშობლოს გადასარჩენად იღვწოდეს-მეთქი...

არა, ასეთი რამ მართლაც ძლიერთა ხვედრია... კაცი მოვიდა, იცხოვრა, იღვაწა და წავიდა. აქ კვალი ნათელი დატოვა და იქ კიდევ მამა-პაპათ პირნათელი მიუვიდა.

ბედნიერებაც სწორედ ეს არის.

ჩვენი ბედკრული სამშობლო გადარჩება და ამაში როლანდ ჯალაღანიას წვლილი უდავოდ დიდი იქნება.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული, მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის სამშობლოს მიწა!

**ზურაბ კვარაცხელია**

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გაზეთ „ილორის" რედაქტორი

**როლანდ ჯალაღანია**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს დააკლდა კიდევ ერთი გულანთებული პატრიოტი, ჩვენ კი დავკარგეთ უღალატო მეგობარი და კოლეგა.

ღმერთმა საუკუნო სასუფეველში დაავანოს მისი ნათელი სული.

# აშშ-ში მამაკაცმა მძევლად აყვანილი ოთხი ბავშვი მოკლა და შემდეგ თავი მოიკლა



**აშშ-ის ქალაქ ორლანდოს მრავალბინიან კომპლექსში მამაკაცმა 1-დან 12 წლამდე 4 ბავშვი, რომლებიც თითქმის ერთი დღე-ღამის განმავლობაში მძევლად ჰყავდა აყვანილი, მოკლა, შემდეგ კი თავი მოიკლა.**

ეს დანაშაული, პოლიციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გერი ლინდსიმ ჩაიდინა.

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894